CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ბოდიში თავად გაქვთ მოსახდელი, ოცნებააახდენილო ირაკლი ბატონო, „ალიასთვისაც“ და ხალხისთვისაც და ახლავე ჩამოგიყრით, რატომ!

ალია

N175/3297/ 18 ნოემბერი 2015 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

WWW.ALIA.GE

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

## რამდენი დახარჯა შსს-მ რესტორნებში და საჩუქრებზე? 12

## „უსუფაშვილი ნირწამხდარია...“ 5

ვინ დაიბარა და სინამდვილეში რისთვის ჩავიდა უსუფაშვილი აშშ-ში?



„კომპენსაცია რატომ უნდა გადაიხადონ ბიუჯეტიდან? თუ ძალიან უნდათ, გადაუხადოს ივანიშვილმა თავისი ჯიბიდან. მე თუ მკითხავ, ეს სკანდალი ბიძინა ივანიშვილს აუგორეს სპეციალურად არჩევნების წინ“

## რაში დახარჯა ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ ბიუჯეტიდან 292 000? 7



„დღეს ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველოს სპეცსამსახურებს დაფინანსება უნდა გაუორმაგდეთ და ეს წინადადება „თავისუფალმა დემოკრატებმა“ დააყენეს. ეს არის დემაგოგია, რადგან, თუკი შეზღუდული კანონით იმოქმედებენ, მათ არაფერში სჭირდებათ გაორმაგებული ფინანსები“

## რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს საქართველოს უსაფრთხოების კანონმდებლობაში 11

## რაზე ესაუბრა მამუკა არეშიძე გერმანიაში საფრანგეთის სპეცსამსახურებს? 13

## რა რეაქცია ექნება „ისლამურ სახელმწიფოს“ „აიფონ+“-ის ვიდეოზე, როგორ დასჯის მას „ეფლის“ სათავო ოფისი და რატომ არ იხდიან ბოდიშს ვიდეოს ავტორები?! 4




## ბაგა-ბაღებში ბავშვებს გაურკვეველი წარმოშობის ქათმის ხორცს აჭმევენ... 9

რას აცხადებენ ბაღების სააგენტოში



## ჰოდა, ეს მამაძაღლობები რომ აპატიეთ „ნაცმოძრაობას“, იმიტომ ხართ გასაყრელები დიდიცა და პატარაც!



პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძემ პარლამენტში სპეციალური ბრიფინგი გამართა და „ნაციონალური მოძრაობის“ 2010-2012 წლების წინასაარჩევნო დაპირებებზე ისაუბრა. საქმე ეხება სოციალურად დაუცველთა რაოდენობის დინამიკას არჩევნების მიხედვით და ასევე, კოდეინის შემცველი პრეპარატების იმპორტის ზრდას, რასაც თან მისდევს ქვეყანაში პრობაციონერთა რაოდენობის ზრდაც.

– მასალები, რომელიც საზოგადოებას გავაცანი, ადასტურებს იმ ფაქტს, რაზედაც ჩვენ არაერთხელ გაგვიკეთებია კომენტარი. „ნაცმოძრაობა“ მთელი თავისი მმართველობის პერიოდში წინასაარჩევნოდ ყველანაირ მანიპულაციას იყენებდა. მე გავასაჯაროვე ის ფაქტები, რაც უშუალოდ ჩემს სფეროს ეხება – სოციალურ მიმართულებას და ნარკოპოლიტიკას. წარმოვადგინე სტატისტიკური მონაცემები, როგორ იზრდებოდა სოციალურად დაუცველთა რაოდენობა არჩევნების მიხედვით. მაგალითად: 2010 წელს სოციალურად დაუცველთა რაოდენობა 350 000-მდე გაიზარდა, ხოლო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის 500 000 გადასცდა. სტატუსის გაცემის ქრონოლოგია ზედმიწევნით მისდევს არჩევნების მოახლოებას. ეს არის არჩევნებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკა საარჩევნო ხმების მისაღებად და არა საკუთარი მოსახლეობის მდგომარეობის გამოსასწორებლად, – განაცხადა ხუნდაძემ.

რაც შეეხება ნარკოპოლიტიკას, მისი თქმით, პირადად მისთვის შოკისმომგვრელი იყო ის ფაქტი, როდესაც გაეცნო კოდეინის შემცველი პრეპარატების იმპორტის ზრდის ტემპებს არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით.

– 2010 წელს საქართველოში შემოტანილი იყო 6 მილიონი ერთეული, ხოლო 2012 წელს ამ ნიშნულმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და 14 მილიონამდე გაიზარდა. პარალელურად ამ პერიოდში იზრდება პირობით მსჯავრდადებულთა რაოდენობაც და 2012 წლის აგვისტოს მონაცემებით 40 500 აღწევს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 2014 წელს საქართველოში შემოტანილ იქნა მხოლოდ 5 400 ერთეული კოდეინის შემცველი პრეპარატები სამედიცინო დანიშნულებისთვის და ეს მარაგი დღემდე არ ამოწურულა. ამ ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყოფილი ხელისუფლება ნარკოპოლიტიკასაც არჩევნების მიხედვით ცვლიდა. არჩევნების მოახლოებასთან ერთად ზრდიდნენ ნარკოტიკული საშუალებების იმპორტს საქართველოში. ამით, ერთი მხრივ, აკმაყოფილებდნენ ნარკოტიკებზე დამოკიდებულთა მოთხოვნას და მეორე მხრივ, მათივე საშუალებით ზრდიდნენ პრობაციონერთა რაოდენობას. ეს კი ამ კატეგორიაზე კონტროლის მოპოვების საუკეთესო საშუალება იყო, – აცხადებს ხუნდაძე.

მისივე თქმით, ეს სტატისტიკური მონაცემები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ „ნაცმოძრაობა“ სახელმწიფო პოლიტიკას მხოლოდ საარჩევნო პოლიტიკაზე აგებდა და მოსახლეობაზე მანიპულირების ყველა საშუალებას იყენებდა, მათ შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თემებსაც.

– ეს არის იმის ნათელი მაგალითი, როგორ არ უნდა მართო სახელმწიფო. საბედნიეროდ, ეს დრო მათ მმართველობასთან ერთად დამთავრდა და იმედი მაქვს, საქართველოში ვერც ერთი ხელისუფლება ველარ შეძლებს ხალხის ასეთი თემებით მანიპულირებას, – განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## აფერუმ „ნაცების“ გამჭრიახობას — „ქოცებს“ ბიზნესის დატერორებაში ადანაშაულებენ

ბიუჯეტისთვის ნებაყოფლობით შეწირული 72 მილიონი – ფინანსთა სამინისტრო არ ასაჯაროებს იმ კომპანიებისა და პირთა ვინაობას, რომლებმაც სხვადასხვა პროექტის დასაფინანსებლად სახელმწიფო ხაზინაში დიდი რაოდენობით თანხა გადარიცხეს.

თამაზ მეჭიაურის ინფორმაციით, ბიუჯეტში ნებაყოფლობითი შემოწირულობის სახით თანხის უმეტესი ნაწილი ბიძინა ივანიშვილმა გადარიცხა. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც, მისივე თქმით, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებს ეყრდნობა, ბიუჯეტში 72 მილიონ ლარზე მეტის ნებაყოფლობით თანხის შეტანას ადასტურებს.

72 მილიონის ნებაყოფლობითი შემოწირულობის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ხადურის უწყებიდან „ბათუმელებმა“ გამოითხოვა. გამოცემამ კითხვებზე, ვინ არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, ვინც სახელმწიფო ბიუჯეტში თანხას ნებაყოფლობით რიცხავენ, პასუხები ვერ მიიღო.

უმცირესობის წევრები ბიუჯეტში ნებაყოფლობით შემოწირულობას „ბიზნესის ხელოვნურ ტერორს“ უწოდებენ.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ აცხადებენ, რომ ხელისუფლება ამ მეთოდს ბიუჯეტის შევსებისთვის იყენებს.

საპარლამენტო ოპოზიცია მთავრობისგან ნებაყოფლობით შემომწირველებზე განმარტებებს ელოდება.

უმცირესობის კითხვების საპასუხოდ უმრავლესობა საბიუჯეტო კოდექსს იშველიებს.

მმართველ გუნდში ამბობენ, რომ კანონი არ ირღვევა, რადგან ნებაყოფლობითი ტრანსფერები ბიუჯეტის შემოსავლების ერთ-ერთი სახეა.

გაუმჭვირვალობის პრობლემაზე საუბრობენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, რომელიც უწყებების საბიუჯეტო დანახარჯებს მონიტორინგს უწევს, ფინანსთა სამინისტროსგან ნებაყოფლობით შემომწირველების შესახებ დეტალური ინფორმაციის წარდგენას ითხოვს. (rustavi2.com)

**ვინ იფიქრებდა, „ნაცებს“ თუ შევაქებდით, მაგრამ რეალობაა ასეთი, სამწუხარო, მაგრამ რეალობა — ყველანაირად დაჯაბნა „ნაცმოძრაობამ“ „ოცნება“, აბსოლუტურად ყველა ასპექტში და რაც ყველაზე განსაცვიფრებელია, „ნაციონალური მოძრაობა“ „ქართულ ოცნებას“ უკვე ბიზნესის დატერორებაშიც კი სდებს ბრალს. მართალია, ამ ტერორს ხელოვნურს უწოდებს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, ჭკუაში ხომ კიდევ ერთხელ აჯობეს მთავარ ოპონენტებს?!**

**ვავა, „ოცნება“, ვაი და ვუი თქვენ და აფერუმ „ნაცებს“!!!**



## კიდევ გამყარებულა...



ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში მცირედით გამყარდა. კერძოდ, 17 ნოემბრისთვის 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,4010 ლარი გახდა. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც 16 ნოემბერს მოქმედებდა, 2,4018 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0008 ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის თანახმად, ეროვნული ვალუტა მცირედით ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა. კერძოდ, დღეიდან ერთი ევროს შეძენა 2,5751 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2,5879 ლარს შეადგენდა. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0128 ლარი შეადგინა. (ინტერპრესნიუსი)

## ჰმ, ერთი ამათ მაიმუნობებს უყურეთ, რა!



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის ლაშა თორდიას განცხადებით, საჯარო უწყებებში დასაქმებული ადამიანები პრემიებს უნდა იღებდნენ, თუმცა ეს უნდა იყოს დასაბუთებული.

ამის შესახებ თორდიამ გადაცემა „არჩევანში“ განაცხადა. თორდიამ პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის წესზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ყველა უწყება სწორედ ამ წესის მიხედვით უნდა მოქმედებდეს.

როგორც მთავარი აუდიტორი ამბობს, ხშირ შემთხვევაში უწყებების ხელმძღვანელებს ერთი წლით ადრე აქვთ გამოწერილი სახელფასო დანამატები, რაც დადგენილ წესს არ შეესაბამება.

– მთავრობის დადგენილებით, არის წესი, თუ რა შემთხვევაში გაიცემა პრემია და რა შემთხვევაში გაიცემა დანამატი. ამ ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე, ვაკეთებთ ჩვენ შეფასებებს. როდესაც ჩვენ სხვადასხვა უწყებებში ვხედავთ, რომ ერთი წლით ადრე აქვთ დანიშნული უწყების ხელმძღვანელებს დანამატები, ეს ეწინააღმდეგება განაწესს. არ შეიძლება წინასწარ განისაზღვროს ვინ ღამის ცვლაში იმუშავებს ან დამატებით სამუშაოს შეასრულებს. სწორედ მსგავს შემთხვევაში გაიცემა სახელფასო დანამატი. ასევე, დავინახეთ, რომ მკვეთრად გაიზარდა დანამატის განაცემები. მაგალითისთვის, ინფრასტრუქტურის სამინისტროში დანამატები 69 პროცენტით გაიზარდა, იუსტიციის სამინისტრო 206 პროცენტით, სასჯელაღსრულების სამინისტროში 414 პროცენტით, კულტურის სამინისტროში 1509 პროცენტით, ჯანდაცვის სამინისტროში 270 პროცენტით და ასე შემდეგ. ამის შემდეგ ჩვენ გავაკეთეთ დასკვნა, რომ პრემიის გაცემა შეიცვალა დანამატით, – ამბობს თორდია.

კითხვაზე, რამდენად მიუახლოვდა სახელფასო დანამატების რაოდენობა პრემიების რაოდენობას, თორდია პასუხობს:

– მოგაწოდებთ ინფორმაციას, თუ თანხობრივ გამოხატულებაში რამდენით შეიცვალა, ეს არის ბიუჯეტის ჩანაწერი – პრემია შემცირდა 31 მილიონით, სახელფასო დანამატი გაიზარდა 45 მილიონით. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით პრემიებს ან დანამატებს. მაგრამ განაცემები უნდა იყოს დარეგულირებული. ადამიანები უნდა იღებდნენ პრემიებს, თუმცა ყველა პრემია დასაბუთებული უნდა იყოს, – აღნიშნა თორდიამ. (ნიუპოსტი)



## სიტყვებში გვატყუებ, ჩქიმ ჯიმა, თუ როგორაა საქმე?



– 2016 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტით, თბილისის მერიის ადმინისტრაციისა და სახელფასო ხარჯების ზრდა ნავარაუდევი არ არის, – ამის შესახებ თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ თბილისის საკრებულოში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

დავით ნარმანიამ კომენტარი გააკეთა საკრებულოს ოპოზიციური დეპუტატების მიერ გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით, რომ მომავალი წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტით თბილისის მერიის ადმინისტრაციისა და სახელფასო ხარჯები 7 მილიონით იზრდება.

– სახელფასო ხარჯის რაიმე ზრდა 2016 წლის ბიუჯეტით ნავარაუდევი არ არის, ისევე როგორც ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა. პირიქით, მცირდება საწვავზე ხარჯები, ვიდრე ეს იყო 2015 წელს. ერთადერთი, მომავალ წელს მოგვიწევს აღებული სესხის გასტუმრება, რაც, ჯამში, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილშია შესული. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელფასები იზრდება ან აპარატის შენახვის ხარჯები, – განაცხადა დავით ნარმანიამ. (ინტერპრესნიუსი)

**ნავარაუდევი არ არის, მაგრამ არც გამორიცხული, ხომ კი? ან საწვავის ხარჯები რომ მცირდება, კაცო, თუ ეს შესაძლებელია 2016 წლის შემთხვევაში, 2015 წელს რატომ არ მოუკელით საწვავს, ჰაა?**

**აღდგომა და ხვალეო, დავით ბატონო, ეს თქვენი სიტყვები ტვინში მაგრად ჩავინიშნეთ და ვნახოთ, გაიზრდება თუ არა სახელფასო ხარჯები. ისე, ხელფასი ჰო, მაგრამ იმას რატომ არ ამბობთ, არც პრემიები გაიზრდება 2016 წელსო, სიტყვებში გვატყუებთ, კაცო? არ ვარგა მერე მასე, არა!!!**

## აშენდება აბა უკრაინა — გენპროკურორად დავით საყვარელიძე ინიშნება?



უკრაინის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ქვეყნის მთავარი პროკურორი ვიქტორ შოკინი თანამდებობიდან გადაყენებულია. უკრაინული სააგენტოების ინფორმაციით, გადაწყვეტილება პოროშენკომ შეერთებული შტატების ზეწოლის შედეგად მიიღო, რომელიც ქვეყნისთვის ახალი ფულადი ტრანშის გამოყოფას არ აპირებდა, სანამ ამ თანამდებობაზე შოკინი იქნებოდა.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, შოკინის შემცვლელის ძებნა უკვე მიმდინარეობს. როგორც სააგენტოები წერენ, არ არის გამორიცხული, ეს პოსტი უცხო ქვეყნის მოქალაქემ დაიკავოს.

უკრაინული მედია წერს, რომ შოკინი შესაძლოა, დავით საყვარელიძემ შეცვალოს. შოკინის თანამდებობიდან გადაყენებას ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოშიც ითხოვდნენ. პეტიციას ხელი რადას 100-ზე მეტმა წევრმა მოაწერა. დეპუტატები შოკინს იმაში ადანაშაულებდნენ, რომ მას არ სურს, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში კორუფციას ებრძოლოს. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბოდიში თავად გაქვთ მოსახდელი, ოცნებაახდენილო ირაკლი ბატონო, „ალიასთვისაც“ და ხალხისთვისაც და ახლავე ჩამოგიყრით, რატომ!



დრო ყველაფრის მკურნალია, ყველაფერს დაგავიწყებსო და თუ თანამდებობაც დაემატება ჟამთა სვლას, იცოცხლე, ყველაფერს მხოლოდ კი არ დაივიწყებ, ფეხებზეც შესანიშნავად დაიკიდებ!

რას ვგულისხმობთ, ჩემო ბატონო და ირაკლი სესიაშვილს – აწ უკვე საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს და ყოფილ სამხედრო ექსპერტს...

იყო დრო, როცა ირაკლი სესიაშვილი „ალია“-„ქრონიკის“ არცთუ ურიგო რესპონდენტი გახლდათ, ოღონდ სანამ პარლამენტარი გახდებოდა. არა, ცოდვას ვერ ვიტყვით, სატელეფონო ზარებს დღესაც პასუხობს ხოლმე, მაგრამ „დროის მკურნალობას“ მასზეც მოუხდენია გავლენა – დაუვიწყებია ეს ყველაფერი და ნამეტანი პრეტენზიულიც გამხდარა...

მოკლედ, აღარ არის საჭირო ამდენი მიკიბულ-მოკიბული, პირდაპირ დავცხებთ:

ირაკლი სესიაშვილმა „ალიას“ პრეტენზიები წაუყენა სტატიის გამო, რომელსაც „გავბედეთ“ და ისეთი სათაური და მინაწერი გავუკეთეთ, როგორიც საჭიროდ მივიჩნიეთ.

ყოველი შემთხვევისთვის მაინც შეგახსენებთ, რომ სამშაბათის „ალიაში“ სესიაშვილთან ინტერვიუ გამოქვეყნდა სათაურით: „სპეცსამსახურებისთვის დაფინანსების გაზრდას, „ოცნებას“ ურჩევნია, ხალხს საკუთარი თავის დაცვის საშუალება მისცეს და იარაღის ტარება დაუკანონოს!“

ინტერვიუ რედაქციის მინაწერით სრულდებოდა, სადაც ვწერდით (და სხვათა შორის, „ალია“ ამას უკვე 25 წელია, წერს), რომ კანონმორჩილ მოქალაქეებს დიახაც, უნდა ჰქონდეთ იარაღის ტარების უფლება, რათა შეძლონ და თავი დაიცვან ტერორისტის, ყაჩაღისა თუ სექსუალური მანიაკის თავდასხმისგან. ლოგიკა მარტივია – სანამ პოლიცია მივა მსხვერპლის დასახმარებლად, უდიდესი ალბათობით, მას თავდამსხმელი ბოლოს მოუღებს, როგორც ეს თუნდაც საფრანგეთის შემთხვევაში მოხდა. ირაკლი სესიაშვილს კი სურს, ტერორისტებისგან ქვეყნის დასაცავად შესაბამის სამსახურებს დაფინანსება გაეზარდოთ...

ჰოდა, იმას ვამბობდით, რომ გაბედა ირაკლი სესიაშვილმა და „ალიას“ პრეტენზიები წაუყენა ამ სტატიის გამო და უტიფრად ბოდიშის მოხდაც კი მოგვთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოში გიჩივლებთო.

დედააა, თქვენ იმ გუნდის წარმომადგენელი არ ხართ, მედიას არ ვზღუდავთო, გაუთავებლად რომ ამტკიცებს?! აბა, რომელი სასამართლოთი გვემუქრებით, ირაკლი ბატონო?! ააა, თამაზ ურთმელიძის სასამართლოს თუ გულისხმობთ, კი, ბატონო, დიდი ალბათობით, ურთმელიძის სასამართლო კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით ანთხევდა ბოღმას „ალია“-„ქრონიკაზე“, მაგრამ არა, „გადავრჩით“ – არ გიჩივლებთ, ჯანდაბას, მაგრამ ბოდიში მომიხადეთო, სესიაშვილმა ჰრქუა...

ჰმ, ბოდიში, არა?! კარგით! ახლავე! აი, უცქირეთ:

ბოდიში, ბატონო ირაკლი, ძალიან დიდი ბოდიში თავად გაქვთ მოსახდელი „ალიასთვისაც“ და ხალხისთვისაც და ახლავე ჩამოგიყრით, რატომ:

– ირაკლი სესიაშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს იმიტომ, რომ მის გუნდს არ შეუსრულებია ამომრჩევლისთვის მიცემული არაერთი დაპირება;

– ირაკლი სესიაშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს იმიტომ, რომ მისმა გუნდმა ვერ აღადგინა სამართლიანობა;

– ირაკლი სესიაშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს იმიტომ, რომ მისმა გუნდმა ხალხი მოატყუა;

– იმიტომ, რომ მისმა გუნდმა ქვეყანაში სამუშაო ადგილები ვერ შექმნა;

– იმიტომ, რომ ხალხი ისევ მშიერია;

– ბოდიში გაქვთ მოსახდელი იმის გამოც, რომ პარლამენტარების, მინისტრების, მინისტრთა მოადგილეების, მერების, ვიცე-მერებისა და მოკლედ, მთელი თქვენი ნაზირვეზირების ჩათვლით ჩვენი, ხალხის, ფულით ნავარდობთ;

– ბოდიში აქეთ გაქვთ მოსახდელი იმიტომ, რომ ვერ აჯობა „ქართულმა ოცნებამ“ ფუფუნების სიყვარულს და ჩააგდო კანონი, რომელიც ჩინოვნიკებისთვის პრემია-დანამატების აკრძალვას გულისხმობდა, თანაც სამუდამოდ კი არა, გარკვეული დროით;

– აქეთ უნდა მოგვიხადოთ ბოდიში, ირაკლი ბატონო, იმის გამოც, რომ საერთაშორისო ასპარეზზე „ქართული ოცნება“ ხეირიანად ვერაფერს აკეთებს და ამას თქვენი გუნდიც აღიარებს – „ნაცები“ უფრო აქტიურობენ, ვიდრე ჩვენო;

– თუმცა რომელ საერთაშორისო ასპარეზზეა საუბარი, თუ რამეს ახერხებს და ფაფხურობს „ქართული ოცნება“, სათქმელი ხეირიანად საკუთარ ხალხთანაც ვერ მიაქვს;

– იმიტომ უნდა მოიხადოთ აქეთ ბოდიში, რომ თავხედობასა და უტიფრობას მიგაჩვიათ თანამდებობებმა და რასაც იტყვით, გგონიათ, რომ იმას წყალი არ გაუვა;

– არადა, წყალი გაუვა კი არა, უკვე ათასჯერ ჩაიფსა „ქართულმა ოცნებამ“ და ამისთვისაც ბოდიში უნდა მოგვიხადოთ. რა თქმა უნდა, არ გაპატიებთ, მაგრამ მაინც...

ასე დაუსრულებლად შეგვიძლია, გავაგრძელოთ, ირაკლი ბატონო და უამრავი მიზეზი ჩამოგითვლით, კიდევ რატომ გაქვთ აქეთ მოსახდელი ბოდიში, მაგრამ დრომ აშკარად გიმკურნალათ – აღარაფერი გახსოვთ, ყველაფერი დაგავიწყდათ და ყველაფერი ფეხებზე გკიდიათ.

რა გენაღვლებათ, ცხოვრება აიწყვეთ, პარლამენტარი ბრძანდებით, ჩემო ბატონო, მარტო სტატუსი რად ღირს, როგორ ჩინებულ-დიდებულად ჟღერს, რომ აღარაფერი ვთქვათ პრივილეგიებზე, რომელიც ისევ ჩვენი, ხალხის, დამსახურებით მიიღეთ.

ისე, ირაკლი ბატონო, დრო მხოლოდ მკურნალი არ არის! დრონი მეფობენ და არა მეფენიო, გაგებული გექნებათ, ალბათ – მოგიწევთ თქვენც „ჩამოლაბორანტება“ და არ შეგრცხვებათ ხალხისთვის თვალებში ჩახედვის?! ალბათ, არა, თორემ არც მოიქცეოდით ასე!

ყოყლოჩინობა ცუდი რამეა, ძალიან ცუდი რამე და კარგს არაფერს მოგიტანთ, გაითვალისწინეთ ეს და არ დაივიწყოთ, რა იცით, რაში გამოგადგეთ!!!

**ალია**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 10 თვის მონაცემებით, თვითმკვლელობამდე მიყვანის 382 საქმიდან გახსნილია... 0!



შსს-ს 10 თვის მონაცემებით, 2015 წელს საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყებაში თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით (მუხლი 115) 382 საქმეა რეგისტრირებული.

2015 წლის 1-ლი იანვრიდან 31 ოქტომბრამდე საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყებაში თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით რეგისტრირებულია 382 დანაშაული, აქედან გახსნილია – 0.

2014 წლის 1-ლი იანვრიდან 31 ოქტომბრამდე კი თვითმკვლელობამდე მიყვანის 366 საქმეა რეგისტრირებული. აქედან გახსნილის 3. რაც გახსნილი დანაშაულის 0,82 პროცენტს შეადგენს.

შსს-ს მონაცემებით, 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, ქვეყნის მასშტაბით თვითმკვლელობის რაოდენობამ 16-ით მოიმატა.

შეგახსენებთ, 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულ იქნა 29 500 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 17 211. დანაშაულის გახსნის პროცენტია 58,34. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა – 3,89. (ipress.ge)

**382 საქმიდან გახსნილია არც ერთი! თუმცა დიდად არც გვიკვირს, რადგან აბა, როგორ მოხდება თვითმკვლელობების გამოძიება და დამნაშავის დასჯა-დადგენა, როცა დამნაშავე ხელისუფლებაა?! დიახ, სწორედ ხელისუფლებაა დამნაშავე იმაში, რომ გამწარებულ ადამიანებს ამ უკიდურესი ნაბიჯისკენ სწორედ გაჭირვება უბიძგებს ხოლმე! თუმცა არა, დამნაშავეა ბანკებიც, სოკოებივით მომრავლებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ონლაინსესხების გამცემი კანტორებიც და სწორედ მათ კისერზეა ასობით სიცოცხლემოსპობილი ადამიანი და ათასობით გაუბედურებული და გამწარებული ოჯახი.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სად აქვს ხალხს 1-ლარიანი პურის ყიდვის საშუალება, ქალბატონო გუგული, ღადაობთ?!



უმრავლესობის დეპუტატი გუგული მაღრაძე ამბობს, რომ პენსიის ზრდა ამ ეტაპზე თითქმის შეუძლებელია. როგორც ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში მაღრაძემ განაცხადა, ხელისუფლებას პენსიის გაზრდის შემთხვევაში მოუწევს, თანხა სხვა მიმართულებას მოაკლოს.

– ჩვენ შეგვიძლია, მოვუმატოთ 50 ლარი პენსიონერს, თუ ამ თანხას არ დავხარჯავთ ჯანდაცვაში. თუმცა არჩევანია, რა ჯობია, რომ მოვუმატოთ 50 ლარი ყველას, სჭირდება თუ არ სჭირდება, თუ ვუმკურნალოთ ადამიანს? ვინმეს ეჭვი ეპარება იმაში, რომ მე ხალხის ბედნიერება მინდა? ჩვენ უნდა გავაკრიტიკოთ ხელისუფლება იმაში, რა შეეძლო და არ გააკეთა. არსებობს რაღაც საწყისი, ვის რა აქვს. ჩემთვის 10 ლარი არაფერია, მაგრამ ვიღაცისთვის 10 ცალი პურია. ახლა პენსია გაიცემა, როგორც სოციალური დახმარება მოხუცზე, რომელიც გარკვეულ ასაკს მიაღწევს, მიუხედავად იმისა, ის ღარიბია, მდიდარია, სჭირდება თუ – არა. მაშინ უნდა გვქონდეს სხვა მიდგომები, რომელსაც დრო და გარკვეული დოვლათის დაგროვება სჭირდება, – განაცხადა მაღრაძემ. (ნიუპოსტი)

**არა, „ძემოკრატიულ“ სახელმწიფოს კი ვაშენებთ და ყველას უნდა ჰქონდეს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება, მაგრამ ასეთის?!**

**დავიწყოთ იმით, რომ 10 ლარი ბევრისთვის არ და ვერ არის 10 პური, იმიტომ, რომ 1-ლარიანი პურის ყიდვის უფლებას საკუთარ თავს ბევრი ოჯახი ვერ აძლევს. თქვენ, ალბათ, არც მეორადი ტანსაცმელი გეცოდინებათ, მაგრამ უფრო მეტსაც გეტყვით — მეორადი პურიც კი არსებობს, ქალბატონო გუგული, დიახ, მეორადი პურიც!**

**რაც პირადად მინახავს, ქალბატონო გუგული, „ვარკეთილის“ მეტროსთან არის საცხობი, სადაც წინა დღეებში გამომცხვარ პურს 25-30 თეთრად ყიდიან და ნეტა განახათ, როგორი რიგები დგას ხოლმე...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ყველაფერს მანქანებითა და ხელფასებით რატომ ზომავთ, თამაზ ბატონო?



უმრავლესობის წევრი თამაზ მეჭიაური მიიჩნევს, რომ შესაბამისი სამსახურებისთვის დაფინანსების გაზრდის საკითხს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი და მთავრობა უნდა აყენებდეს.

ამის შესახებ მეჭიაურმა „თავისუფალი დემოკრატების“ ინიციატივის კომენტირებისას განაცხადა.

– ამას უნდა ითხოვდეს თვითონ სამსახური კონტრდაზვერვის დეპარტამენტი და მთავრობა. უნდა იყოს წარმოდგენილი კონკრეტული გეგმა, რისთვის სჭირდება ეს. გაორმაგება რას ნიშნავს? ორი მანქანით უნდა იაროს, ორი ხელფასი უნდა აიღოს, თუ ორი მდივანი უნდა ჰყავდეს? უნდა იყოს გაწერილი დეტალურად, რაში სჭირდება თანხები. ასევე, გაწერილი უნდა იყოს ღონისძიებები, რაში გამოიყენება ეს თანხები, – აცხადებს მეჭიაური. (ნიუპოსტი)

**ასე ხელის ერთი მოსმით რომ არ შეიძლება სპეცსამსახურებისთვის დაფინანსების გაზრდა და უფრო მარტივი გზებიც რომ არსებობს ტერორისტებისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლისთვის, კი დავაფიქსირეთ ჩვენი მოსაზრება ირაკლი სესიაშვილთან და ვაწყენინეთ კიდეც, გული ვატკინეთ, მაგრამ თამაზ მეჭიაურს სხვა რამე უნდა ვკითხოთ — ყველგან მანქანები, ხელფასები და მდივნები რატომ გელანდებათ, კაცო, მარტო ეგაა მთავარი? თუმცა, ჰო, რასაც „ოცნებას“ ვუყურებთ, სწორედაც „ფირმა მაშინები“ და ხელფასებია ყველაზე მთავარი, ხალხს კი, ხალხს ჯანდაბამდეც გზა ჰქონია!**

# რა რეაქცია ექნება „ისლამურ სახელმწიფოს“ „აიფონ+“-ის ვიდეოზე, როგორ დასჯის მას „ეფლის“ სათავო ოფისი და რატომ არ იხდიან ბოდიშს ვიდეოს ავტორები?!

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



კომპანია „აიფონ+“-მა „საოცარი“ სარეკლამო ხასიათის ვიდეო გაავრცელა: „ეიფლის“ მაისურიანი, სათამაშო ავტომატებით შეიარაღებული ნიღბიანი მამაკაცები ზუსტად იმ ტიპის ვიდეომიმართვას აკეთებენ, როგორც ამას „ისლამური სახელმწიფოს“ თუ სხვა ტერორისტული დაჯგუფების წევრები აკეთებენ ხოლმე – ცენტრში მდგარი ერთ-ერთი ნიღბიანი მოსახლეობას არაბული დიალექტით და ქართული სუბტიტრებით ახარებს, რომ თურმე, „აიფონ+“ 2016 წლის იანვრიდან „ეიფლის“ ოფიციალური პარტნიორი ხდება. ვიდეოს ბოლოს კი ყველა ერთხმად „ალაჰ აკბარს“ ყვირის...

ეს ვიდეო წესიერად დადებულიც არ იყო, რომ მას, ლამის, რეკორდული გამოხმაურება მოჰყვა – სოციალური ქსელის მომხმარებელთა უმრავლესობა აღშფოთებას ვერ მალავდა, გმობდნენ კლიპის შინაარსს და კომპანიას ბოიკოტს უცხადებდნენ.

**„ალია“ „აიფონ+“-ის წარმომადგენელ გოგა თირქიას ესაუბრა:**

– გვინდოდა, პროტესტი გამოგვეხატა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების წინააღმდეგ და ჩვენ მიერ გაკეთებული ვიდეო იყო ერთგვარი სატირა, გროტესკი, რომელიც მიზნად ისახავდა ძალადობის დაგმობას, ტერორიზმის დაცინვას და ეს არანაირად არ არის სხვა პოლიტიკური მესიჯი.

**— ვიდეოკლიპის იმ ფორმაში, რომელიც თქვენ აირჩიეთ და რომელიც არის სარეკლამო ხასიათის, არ ჩანს პროტესტი. ვიდეოს დასასრულს ყველა ერთხმად „ალაჰ აკბარს“ ყვირის. პროტესტი კი არა, მაგ ვიდეოს გამო, მომხმარებლები ბოიკოტს გიცხადებენ.**

– რაც შეეხება, ზოგადად, მომხმარებლებს, სრული ინფორმაცია არ გვაქვს, მაგრამ ვიცი, ბევრმა გამოთქვა პროტესტი ამის შესახებ. თუმცა არიან ადამიანები, ვინც ეს ვიდეო პოლიტიკური კონტექსტის ნაწილად არ აღიქვა. ვიდეორგოლი, ბუნებრივია, კომპანიის გვერდზე დევს და კომპანიის სახელით არის გაკეთებული, ხოლო რაც შეეხება მის შინაარსს, შეგვიძლია გემოვნებაზე ვიდაოთ, მაგრამ ყველაფერი, რაც ვიდეოშია, სრულად ჯდება გამოხატვის თავისუფლების ფორმებში, არ ეწინააღმდეგება კანონს არც ერთი ფორმით, თუმცა ადამიანებს შეგვიძლია, სხვადასხვაგვარად აღვიქვათ ეს ვიდეო, ამის სრული უფლება აქვს ყველას.

**— თქვენი კომენტარი ვნახე ერთ-ერთ საიტზე — „მესმის, რომ ჩვენს ქვეყანას არ გაუვლია ბოლომდე განვითარების კონკრეტული გზა, თუმცა, ალბათ, მივალთ იმ დრომდე, როცა ეს არ იქნება ისეთი აქტუალური და მნიშვნელოვანი, რომ ადამიანებმა ეს ცუდ კონტექსტში აღიქვანო“. გაქვთ იმის უფლება, ხალხის თუ ქვეყნის განვითარების დონეზე ისაუბროთ? განვითარების რა დონეზე უნდა მივიდეთ, რომ მსგავსი ვიდეოს შინაარსი სწორად გავიგოთ?**

– ჩვენ იმიტომ ვიყავით „შარლი ებდო“, რომ გამოხატვის თავისუფლება არის მნიშვნელოვანი, თუ ის კანონის ფარგლებშია. ამაზე მაქვს საუბარი. საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ და არ ვიქნები პირველი, რომ ქართველი საზოგადოება (და მეც შევდივარ ამ საზოგადოებაში) არ არის გასული განვითარების იმ ეტაპზე, რაც, მაგალითად, ევროპის ქვეყნებსა და დასავლურ ცივილიზაციაშია, ამაზე მაქვს საუბარი და ამის ერთ-ერთი მაგალითი მოგვყავს – ხმა გამოხატვის თავისუფლებისა. მე არ ვამბობ, რომ ვიღაცამ სწორად ან არასწორად აღიქვა ეს ვიდეო, უბრალოდ, ფაქტია, რომ ადამიანებმა სხვადასხვანაირად აღიქვეს.




**— იმაზე მაინც როგორ არ დაფიქრდით, რომ ამერიკელები და ის კომპანია, რომელთან ურთიერთობის გაოფიციალურება ასე გახარებთ, აღშფოთდებოდა ამ თქვენს იდეაზე? არ მიგიღიათ ჯერ მინიმუმ შენიშვნა მაინც ამერიკელებისგან?**

– არ მაქვს ინფორმაცია, შედგა თუ არა კომუნიკაცია ჩვენს კომპანიებს შორის.

**— წელან „შარლი ებდო“ ახსენეთ, ეს არის გამოცემა, რომელიც დასცინის ხალხების, ეროვნებების რელიგიურ გრძნობებს და მოკლედ, დასცინის იმას, რასაც არ შეიძლება, დასცინო. აღნიშნული ვიდეოკლიპი არ არის თქვენი მხრიდან ერთგვარი პროვოკაცია? ამდენი ადამიანია აღშფოთებული და არ აპირებთ, ელემენტარულად, ბოდიშის მოხდას მისი შინაარსის გამო?**

– რაც შეეხება „შარლი ებდოსთან“ დაკავშირებით თქვენს ლოგიკას, ზოგადად, შემიძლია გითხრათ, რომ „შარლი ებდო“ მოვიყვანე მაგალითად და ეს არ ნიშნავს, რომ მასავით ვიქცევით. ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენ ვიყავით „მე ვარ შარლი“, რადგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლება.

**— ეს ვიდეო გამოხატვის თავისუფლებაა?**

– კი, რა თქმა უნდა, რადგან ის სრულიად ზის კანონის ჩარჩოში, არ არის ვინმეს წინააღმდეგ მიმართული, ის არის ტერორიზმის „დაცინვა“.

**— ამ „გამოხატვის თავისუფლებამ“, მისმა შინაარსმა ძალიან ბევრი ადამიანი გააღიზიანა.**

– უკაცრავად, ჩვენ არ ჩაგვიტარებია კვლევა, რომ, ვთქვათ, ვიდეომ საზოგადოების უმეტესი ნაწილი გააღიზიანა.

**— კვლევა არც მე ჩამიტარებია, ელემენტარულად, გადახედეთ სოციალურ ქსელს და თავად ნახავთ, რა რეაქცია აქვს სოციალური ქსელის მომხმარებლის უმეტესობას.**

– კი, გასაგებია, მაგრამ როდესაც კონკრეტულ ტერმინს ვიყენებთ, მას აქვს თავისი არსი. ნაწილი უკმაყოფილოა, კი, ბატონო.

**— და ბოდიშის მოხდას რაც შეეხება?**

– კონკრეტულად, რაზე უნდა მოვიხადოთ ბოდიში? იმაზე, რომ ტერორისტებს დავცინით? კონკრეტული ადამიანის აღქმაზე ბოდიშს ვერ მოვიხდით.

**— არ აპირებთ ამ კლიპის საიტიდან აღებას, ან რაიმე მსგავსი სარეკლამო ხასიათის ვიდეოკლიპის გადაღება ხომ არ გაქვთ კიდევ გეგმაში? მსოფლიოში კიდევ სხვა ათასი პრობლემური საკითხია, რაც შეიძლება გამოიყენოთ და გააშარჟოთ.**

– კონკრეტულად ასეთი რამ წინასწარ დაგეგმილი არ არის, არც გამოვრიცხავ და არც დავადასტურებ. რა იქნება მომავალში, ვერ ვიმკითხავებ. რაც შეეხება დღევანდელ დღეს, ამ ეტაპზე ამ კლიპის აღებაზე საუბარი არ მიდის, რადგან არც აქვს აზრი. რა მოხდება მისი აღებით?

**რედაქციისგან: აღმაშფოთებელი ვიდეო ნამდვილად არის, აღვშფოთდით და გადავირიეთ, კი, ბატონო, მაგრამ ახლა მთავარს უნდა დაფიქრება, რაც თავად ამ სულელური იდეის ავტორებმა რატომღაც, საერთოდ არ გაითვალისწინეს: ვის დასცინით, ხალხო, „ისლამურ სახელმწიფოს“ და მის ტერორისტებს?! იმ ტერორისტებს დასცინით, რომლებმაც საფრანგეთის დედაქალაქი სისხლით მორწყეს?! ღმერთმა ყველა ჯანმრთელად გამყოფოთ, მაგრამ როგორ და რატომ არ დაფიქრდით, რომ ამ დაცინვას, მით უმეტეს, „ალაჰ აკბარის“ უაზროდ ყვირილს რეაქცია შეიძლება მოჰყვეს, თან სერიოზული რეაქცია?! მით უმეტეს, თავადაც გხსომებიათ „შარლი ებდოს“ ამბავი?!**

# ჰიპერმარკეტი „გორგია“ მომხმარებელს ცენტრალური გათბობის სისტემებს ყველაზე დაბალ ფასად სთავაზობს

**ცენტრალური გათბობის სისტემებს ჰიპერმარკეტი „გორგია“ თავის მომხმარებელს ყველაზე დაბალ ფასად სთავაზობს.**

**როგორც ჰიპერმარკეტ „გორგიაში“ ამბობენ, ისინი ყოველთვის ცდილობენ, მომხმარებელს სხვადასხვა პროდუქციაზე ყველაზე დაბალი ფასი შესთავაზონ. ცივი ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით კი გადაწყვიტეს, გათბობის სისტემები მაქსიმალურად მოერგოთ მომხმარებლის მოთხოვნისთვის და ყველაზე იაფად შეეთავაზებინათ.**




– ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, ჩვენს მომხმარებელს ყველაზე ხელმისაწვდომი ფასები შევთავაზოთ, რაც ასეულობით პროდუქტზე ფასდაკლების აქციებით გამოიხატება. მომხმარებელს შეუძლია, ჩვენთან ყოველთვის ნახოს მისთვის საჭირო პროდუქცია ყველაზე დაბალ ფასად. ამ შემთხვევაშიც შევეცადეთ, გათბობის სისტემების მონტაჟი მაქსიმალურად კომფორტული და მარტივი გაგვეხადა ჩვენი მომხმარებლისთვის. ჩვენთან ერთი მეტრკვადრატის გათბობა 25 ლარიდანაა შესაძლებელი, ამ თანხაში შედის მონტაჟიც. მიტანის სერვისსა და პროექტირებას მომხმარებელი საჩუქრად მიიღებს „გორგიასგან“. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რაც უფრო დიდია გასათბობი სივრცე, მით უფრო დაბლა იწევს კვადრატული მეტრის ფასი, – აცხადებენ ჰიპერმარკეტ „გორგიაში“.

ცენტრალური გათბობის სისტემების გარდა, ჰიპერმარკეტში მოსულ მომხმარებელს 50-მდე სახეობის გაზის გამათბობლის შეძენა 389 ლარიდან შეუძლია.

მრავალფეროვანი არჩევანი, ვაჭრობისთვის კომფორტული გარემო, უფასო კონსულტაციები და რჩევები მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ძალიან მარტივად და მოკლე დროში თბილი გარემო მოიწყოს, დაზოგოს კომუნალური გადასახადები და რაც მთავარია, გადაიხადოს გაცილებით ნაკლები.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მომხმარებელს ჰიპერმარკეტ „გორგიაში“ ნებისმიერი პროდუქტის შეძენა 0%-იანი განვადებით შეუძლია.

განსაკუთრებული აქცია მოქმედებს გარემოსადმი მეგობრულ – ენერგოეფექტურ გამათბობლებზე, მისი 0%-იანი განვადებით შეძენის შემთხვევაში გადახდილი თანხის 10% მომხმარებელს უკან დაუბრუნდება.

აქცია, რომელიც ცენტრალური გათბობის სისტემის პროექტირებას, შეძენას, მიტანასა და მონტაჟს მოიცავს ჰიპერმარკეტ „გორგიას“ სამივე ფილიალში თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში მოქმედებს.

# „უსუფაშვილი ნირწამხდარია...“

## ვინ დაიბარა და სინამდვილეში რისთვის ჩავიდა უსუფაშვილი აშშ-ში?





**„კომპენსაცია რატომ უნდა გადაიხადონ ბიუჯეტიდან? თუ ძალიან უნდათ, გადაუხადოს ივანიშვილმა თავისი ჯიბიდან. მე თუ მკითხავ, ეს სკანდალი ბიძინა ივანიშვილს აუგორეს სპეციალურად არჩევნების წინ“**




გელა ზედელაშვილი

555 48-48-61


14 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი ამერიკაში გაიპარა. სიტყვა „გაიპარა“ შემთხვევით არ მიხსენებია, რადგან მისი საიდუმლო ვიზიტის შესახებ, პარლამენტის პრესსამსახურს ინფორმაცია საერთოდ არ გაუვრცელებია (ასეთი რამ არ ხდება ხოლმე), ჟურნალისტებმა შემთხვევით გავიგეთ – უბრალოდ, კაცი თვალში დაგვაკლდა და მოვიკითხეთ. უსუფაშვილი ამერიკიდან ავსტრიაში ჩაფრინდა, სადაც ჩვენმა კოლეგებმა „გამოიჭირეს“:

**„მსიამოვნებს თქვენი ასეთი ინტერესი იმასთან დაკავშირებით, რომ წინასწარ გსურთ, იცოდეთ, სად მივდივარ, როგორ მივდივარ. მე, სამწუხაროდ, ისეთი სამუშაო მაქვს, რომ ასე ჩუმად ვერაფერს ვერ ვაკეთებ და არ გავაკეთებ. უბრალოდ, არის შემთხვევები, როდესაც სამუშაო მოითხოვს ზოგჯერ სწრაფ გადაწყვეტილებებს, არსად არ დავმალულვარ... ვაშინგტონში ვიყავი საჯარო ღონისძიებებზე, დასამალი აქ არაფერი ყოფილა, მაგრამ მომიწია მარტო გამგზავრება, დელეგაციის გარეშე, იმიტომ, რომ ეს არ ყოფილა ოფიციალური ვიზიტი, ეს იყო სამუშაო ვიზიტი. მე მქონდა შეხვედრები ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, იყო საუბარი რეგიონული უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფაზე. ჩვენ ზოგჯერ არასაკმარის ყურადღებას ვუთმობთ იმას, რა ხდება ჩვენგან სამხრეთით ან ჩვენგან აღმოსავლეთით, ჩვენი ყურადღება ხშირად კონცენტრირებულია უფრო იმაზე, რა ხდება უშუალოდ საქართველოში, რა ხდება უკრაინაში, მაგრამ ბოლო ხანებში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მოვლენები ვითარდება სამხრეთით, სირიაში და ჩვენ უნდა ვიყოთ მჭიდრო კონტაქტში ჩვენს პარტნიორებთან“.**

**აქ ცოტა საეჭვოდაა საქმე. ჯერ ერთი, ახლა საქართველოსთვის არავის სცხელა და მეორეც — რეგიონული უსაფრთხოების საკითხებს სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მდივნებთან არ არჩევენ. მაინც, რისთვის ჩავიდა უსუფაშვილი აშშ-ში?**

**„ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა:**

– მე უკვე შემთხვევითი დამთხვევების აღარ მჯერა. დაუკვირდი, უსუფაშვილი რა დროს წავიდა ამერიკაში: როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება. ამის შემდეგ ურთმელიძემ თვითონ გააუქმა საკუთარი განჩინება, თავზე ნაცარი წაიყარა. გარდა ამისა, ამერიკის ელჩი იძახის, უსუფაშვილმა თვითონ მთხოვა, ვაშინგტონში შეხვედრები ჩამიწყვეო, მოხარული ვარ, რომ ეს მოვახერხეო. ასე იყო თუ ისე, „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით აქედან ვილაცა უნდა ჩასულიყო და განმარტებები გაეკეთებინა, ეს იყო გამოძახება ძალიან დაბალ დონეზე. ყველაზე ოპტიმალური ფიგურა ამ შემთხვევაში იყო პარლამენტის თავმჯდომარე, იქ ვერც უმრავლესობის ლიდერს გაგზავნიდნენ და ვერც საგარეო საქმეთა მინისტრს, რადგან ამერიკელები ამათ სერიოზულად არ მოუსმენდნენ, უსუფაშვილი და „რესპუბლიკელები“ მაინც მაგათი შვილობილები არიან. აქ უკვე გაურკვეველია, ეს ყველაფერი „ოცნების“ სისუსტით არის განპირობებული თუ „ნაციონალების“ მუშაობით, მაგრამ ამერიკელები აწვებიან მედიის თავისუფლებას.

**— ბატონო სოსო, თქვენ თქვით, ეს იყო შეხვედრა დაბალ დონეზეო, რატომ?**

– კაცი პარლამენტის თავმჯდომარეა, კონსტიტუციით ქვეყნის ერთ-ერთი პირველი პირი. მე სპეციალურად გადავსინჯე სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო ერთი წლის მიღებები და დადასტურდა, რომ უსუფაშვილი მიიღეს ძალიან დაბალ დონეზე. მას შეხვდნენ სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მდივნის მოადგილეები, ორი ქალი. მათი საუბრის ერთადერთი და მთავარი თემა იყო „რუსთავი 2“. თუმცა უსუფაშვილმა ჩამოთვალა, ამაზე და ამაზე ვისაუბრეთო და მთავარი თემა ბოლოს დაასახელა. ახლა ჩვენს რეგიონში გეოსტრატეგიული მდგომარეობა როგორია, ამერიკელებმა უსუფაშვილზე კარგადაც იციან და ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრზეც კარგად იციან. ამას იქ უნდა გაექარწყლებინა ის გაუგებრობა, რაც ამ ტელევიზიასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა გამოიწვია. ამერიკელებმა უთხრეს, ეს საკითხი ისე უნდა გადაწყდეს, რომ არც ერთი მხარე უკმაყოფილო არ დარჩესო.

**— ყველა მხარე კმაყოფილი რანაირად უნდა დარჩეს?**

– ერთხელ სოლომონ ბრძენმა ორ მომჩივანს უთხრა, შენც მართალი ხარ და შენც მართალი ხარო. იქვე მესამე იდგა, ეგ როგორ, ორივე მართალი როგორ არისო? სოლომონმა უპასუხა, შენც მართალი ხარო. ეს არ არის ის მომენტი, როცა არც მწვადს დაწვავ და არც შამფურს, ერთ-ერთი უნდა დაიწვას. დაბალ დონეზე შეხვედრა იმაზე მიგვანიშნებს, რომ დღეს ამერიკისთვის ჩვენ არ ვართ პრიორიტეტი, ამას აქვს ობიექტური მიზეზები, ჯერ ერთი ის, რომ ამერიკაშიც იწყება საპრეზიდენტო არჩევნები, მეორე – ბარაკ ობამამ ორივე ფეხი ჩაყო თავისავე დაგებულ მახეში, რომელსაც ჰქვია ახლო აღმოსავლეთი. როდესაც უსუფაშვილი ჩავიდა ვაშინგტონში, უკვე კარზე იყო მომდგარი დიდი ოცეულის შეხვედრა. აგერ, პუტინს შეხვდა ობამა, რა უთხრა, საქართველოზე ელაპარაკა? მე მაინც მეგონა, რომ უსუფაშვილს უმრავლესობის ლიდერი თუ არა, უმცირესობის ლიდერი მაინც შეხვდებოდა. როგორც გაირკვა, თვითონ ამბობს, ვილაც სენატორებსაც შევხვდიო, მაგრამ ისინი რიგითები არიან. უსუფაშვილი ნირწამხდარია... იქ დაუწყეს, სიტყვის თავისუფლება უნდა იყოს და თან არც ერთი მხარე არ უნდა დაზარალდესო. ჩემი გონებრივი ჰორიზონტი ამას ვერ სწვდება, ეს როგორ უნდა მოხდეს, შენ იცი?

**— ალბათ, ქიბარ ხალვაშს გადაუხდიან კომპენსაციას და „რუსთავი 2“-ს შეეშვებიან, ორივე მხარე დარჩება კმაყოფილი.**

– კომპენსაცია რატომ უნდა გადაიხადონ ბიუჯეტიდან? თუ ძალიან უნდათ, გადაუხადოს ივანიშვილმა თავისი ჯიბიდან. მე თუ მკითხავ, ეს სკანდალი ბიძინა ივანიშვილს აუგორეს სპეციალურად არჩევნების წინ. ერთ-ერთ წინა ინტერვიუში გითხარი, ურთმელიძე „ნაციონალების“ დაკვეთას ასრულებს-მეთქი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, მაგ მოსამართლეს დიდი ფული გადაუხადეს **(გამოდის, რომ ოცნებაახდენილთა „სასტავიც“ მანანა კობახიძის თამადობით, ბიძინას დაუპირისპირდებიან? – რედ.)**. თუ ივანიშვილს ამ ეტაპზე რამე არ აწყობდა, ამ თემის წამოწევა-გააქტიურება იყო. დღეს ბიძინას ჰყავს ორი დაუძინებელი მტერი – „რუსთავი 2“ თავის „ნაციონალებით“ და დავით ნარმანია. ნახე, ქალაქში რა ხდება, ცენტრალური ქუჩები გადათხარეს და ასფალტს ველარ აგებენ, ან ამ გაგანია უამინდობაში რა უნდა გააკეთონ? მოვყვეთ გლდანიდან და გავიდეთ დიღომში, ყველგან ერთი და იგივე ხდება. ბოლო ორი დღე თბილისში იყო მზე, ჭავჭავაძის გამზირი გადათხარეს და თითი არ გაუნძრევიათ, დაყარეს „კატოკები“, ტრაქტორები და სადღაც გაქრნენ. როგორც კი წვიმა წამოვა, ეგრევე გამოჩნდებიან, აქ ვცხოვრობ, ყველაფერს საკუთარი თვალით ვხედავ. ამის გამო 1937-ში ხალხს ხვრეტდნენ, დღეს კიდევ საყვედურსაც ვერავის ეტყვი, მით უმეტეს, კოკელ ნარმანიას. იცი, ასე რატომ ხდება? თუ სიტუაციას გადაფხეკავ, უცებ აღმოჩნდება, რომ ვილაცა ვილაცის ცოლის ნათესავია, ვილაცა პარლამენტარის ბიძაშვილია. მე ვიცი, რომ თქვენც უკვე ამოგივიდათ ყელში ეს „სითი პარკი“, ბოლო-ბოლო, კომპანიაა თუ „მამაო ჩვენო“? რა გახდა, რით ვერ მოვიშორეთ?!

**— ოოო... ეს ჩვენი ჯადოა, რომელიც უგულავამ გაგვიკეთა და ნარმანია ვერ ხსნის, არ აქვს სამაგისო უნარ-ჩვევები.**

– ბიჭო, დღემდე იტაცებენ მანქანებს, ხალხს ინფარქტები ემართება, თან 60 ლარი უნდა გაისროლო ჰაერში. ერთხელ ნარმანიამ თქვა, მაგათ 14 კითხვა გავუგზავნე და პასუხს ველოდებიო, 8 თვე გავიდა იმის შემდეგ. ზის აქ „სითი პარკის“ ებრაელი დირექტორი და ვკიდივართ, აბა, ერთი თავის ქვეყანაში გაბედოს ასეთი რამე, თუ ეგრევე ციხეში არ მიაბრძანებენ. საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ „რუსთავი 2“-ს, რომლის გარშემო სკანდალი ბიძინას ნამდვილად არ აწყობდა, ემატება თბილისის მერი, რომელმაც მთელი ზაფხული გაატარა და ახლა დაიწყო ასფალტის დაგება ნახევარ ქალაქში. დღეს ქვებს ნარმანიას ესვრიან და ხვდება ივანიშვილს. ადრე თბილისის „დინამოში“ ერთი ფეხბურთელი ჩამოიყვანეს ბათუმიდან. ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხეს, სად უფრო კარგად გრძნობთ თავს, ბათუმში თუ თბილისშიო? ამან უპასუხა, რა თქმა უნდა, თბილისში, იქ რომ ვიყავი, დედას მე მაგინებდნენ, აქ კიდევ ყველა იძახის, შენი ჩამომყვანის დედაო. ზუსტად ასეა ნარმანიას საკითხით. ადგეს და შეცვალოს, რა პრობლემაა, ხომ ხედავს, რომ კაცი ასფალტსაც ვერ აგებს?

**— აზრი აღარ აქვს, არჩევნები კარს მოგვადგა. იმპიჩმენტი შეიძლება ველარ მოესწროს.**

– კარგი, რა, თუკი უნდა, დაუძახებს და ეტყვის, დაწერე განცხადება, რომ ნერვები აღარ გივარგაო. აგერ, წყალდიდობა იყო, ასფალტის დამგებებმაც მოგატყუეს, ნერვული სისტემა მოგეშალა, გჭირდება დასვენება. წავა ნარმანია კოკში და თავის ოჯახში დაისვენებს, ნერვულ სისტემას აღიდგენს! დანიშნოს ერთი მეურნე კაცი, არ გვჭირდება დიდი პროფესორი და აკადემიკოსი. მოკლედ, ივანიშვილს არც გარე მტრები აკლია და არც შიდა, ისევ თავისიანები ულებენ ბოლოს. თუ თვითონ არ გამოფხიზლდა, არჩევნებში მაგასაც გაუჭირდება და „ოცნებასაც“.

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „დაბალი რანგის მოხელეებს პრემიის მოლოდინი უნდა ჰქონდეთ, მაღალი თანამდებობის პირებს — არა“ — ქუცნაშვილი



რატომ არ დაუჭირა მხარი უმრავლესობამ ზაქარია ქუცნაშვილის ინიციატივას, ამასთან დაკავშირებით დეპუტატს პასუხი არ აქვს. რაც შეეხება კანონპროექტს პრემიებთან დაკავშირებით, როგორც კანონპროექტის ავტორი განმარტავს, საშუალო და დაბალი რანგის მოხელეებისთვის პრემია უნდა შენარჩუნდეს, სახელმწიფო თანამდებობის პირებისთვის კი – არა.

– დამოკიდებულებაში გარდატეხის შეტანა რომ მოვახერხოთ, არ არის მარტივი. საშუალოდ დაბალი რანგის მოხელეებს პრემიის მოლოდინი უნდა ჰქონდეთ. მაღალი თანამდებობის პირებს არ უნდა ჰქონდეთ პრემიები. დღეს 5000-6000 ლარი აქვთ მინისტრსა და მინისტრის მოადგილეს. მარეგულირებელი კომისიის წევრებს 10000-დან 15000 ლარამდე აქვთ ხელფასი. ეს ამ ქვეყანაში საკმარისი თანხაა, რომ მაღალკვალიფიციური პატიოსანი მოხელეების რეკრუტირება მოვახდინოთ მაღალ თანამდებობებზე, – აცხადებს ქუცნაშვილი. (ნიუპოსტი)

## რუსეთმა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სტრატეგიული ავიაციის გამოყენება დაიწყო



რუსეთმა სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციების დაბომბვა ორჯერ გაზარდა.

17 ნოემბრიდან ისლამისტების დაბომბვა რუსეთის სტრატეგიულმა ავიაციამაც დაიწყო. როგორც რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, სერგეი შოიგუმ პუტინს უპატაკა, დაბომბვებში ჩაერთო ტუ-160, ტუ-95 და ტუ-22-ის ტიპის სტრატეგიული ბომბდამშენები.

ცნობილია, რომ რუსულმა ავიაციამ ალეპოსა და იდლიბის პროვინციებში ისლამისტების პოზიციების მიმართულებით 34 ფრთოსანი რაკეტა გაუშვა. სულ, ერთი დღის განმავლობაში რუსეთის სტრატეგიულმა ავიაციამ 127 საბრძოლო გაფრენა შეასრულა, დაიბომბა ტერორისტების 206 ობიექტი. (ipress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# ჯერ სადა ვართ — გაზაფხულისთვის ინფლაცია პიკზე იქნება!




საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ინფლაციასთან დაკავშირებით მორიგი პროგნოზი გამოაქვეყნა და საკმაოდ მძიმე პერსპექტივაც გამოჩნდა. სებ-ი წლის ბოლოსთვის ინფლაციის 6 პროცენტამდე გაზრდას ვარაუდობს, ხოლო მომავალი წლის პირველ კვარტალში 7 პროცენტს გადააჭარბებს.

ოქტომბერში წლიური ინფლაცია 5,8 პროცენტს შეადგენს და ეროვნული ბანკის 5-პროცენტიან მიზნობრივ მაჩვენებელს კარგა ხანია რაც გადააჭარბა. ეროვნული ბანკში მიაჩნიათ, რომ ინფლაციის ზრდა კვლავწარმოების შუალედური ხარჯების ზრდამ გამოიწვია, რასაც უცხოური ვალუტის სესხებზე მომსახურების ტვირთის ზრდა განაპირობებდა. პარალელურად, ლარის დევალვაცია ხანგრძლივი მომსახურების იმპორტული საქონლის ფასზე აისახა, რაც ინფლაციის ზრდის კატალიზატორი იყო.

აღსანიშნავია, რომ უკვე 3 თვეა, რაც წლიური ინფლაციის დონე ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ მიზნობრივ მაჩვენებელს (5,0 პროცენტი) გასცდა. ეს იმ ფონზე, როდესაც სებ-ი წლის დასაწყისიდან მოყოლებული პერმანენტულად ამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას. 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მონეტარული პოლიტიკის კოეფიციენტი კიდევ ერთხელ 0,5 პროცენტით გაიზარდა და 7,5 პროცენტს მიაღწია. ასეთი მაღალი მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი ბოლოს 2011 წლის სექტემბერში იყო.

– ინფლაციის ზრდის განმსაზღვრელი კვლავ მიწოდების მხარეს მოქმედი ფაქტორებია. კერძოდ, გაცვლითი კურსის გაუფასურებით განპირობებული წარმოების შუალედური ხარჯების გაძვირება და ცალკეულ იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდა. ინფლაციის მაჩვენებელზე, ასევე, მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ელექტროენერგიის გადასახადის მატებას, – აღნიშნულია სებ-ის განცხადებაში.

ლარის გაუფასურება რომ ქვეყანაში ფასების ზრდას გამოიწვევდა, ძნელი მისახვედრი არ იყო, თუმცა ბოლო ერთი წლის განმავლობაში მთავრობა და სებ-ი ამ საკითხს ყურადღებას ნაკლებად უთმობდნენ, რადგან ლარის კურსის ვარდნაში ერთმანეთის დადანაშაულებით იყვნენ დაკავებულნი.

– სიმართლე გითხრათ, ველოდი კიდეც, რომ მიზნობრივ ინფლაციაზე შეჩერება გაჭირდებოდა. ახლა ბევრი რამ დამოკიდებულია როგორც ეროვნული ბანკის ქმედებაზე, ასევე იმპორტიორებზე. მთავარია, რამდენად მოახერხებენ ისინი ისეთ პრობლემასთან გამკლავებას, როგორიცაა ლარის გაუფასურება, პროდუქტების გაძვირება.

მართალია, წლის ბოლომდე ცოტა დროა დარჩენილი, მაგრამ ამ ყველაფერმა შეიძლება საშიში ფორმა მიიღოს, რაც კიდევ უფრო გაართულებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ყოფა-ცხოვრებას. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი ფინანსური კრიზისის გაღრმავების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ჩვენ სახეზე გვაქვს იმის ნიშნები, რომ შეიძლება სავალუტო კრიზისი გაღრმავდეს, – აცხადებს საბანკო სფეროს ექსპერტი მიხეილ თოქმაზიშვილი.

ჯერჯერობით კი საქართველოს მოსახლეობამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიიღო 40 პროცენტით გაუფასურებული ეროვნული ვალუტა, გაზრდილი ინფლაცია, რომელიც უკვე გასცდა მიზნობრივ მაჩვენებელს და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა, რამაც, პირველ რიგში, გააძვირა კრედიტები ლარში, ხოლო დანარჩენ უარყოფით შედეგებს ქვეყანა უახლოეს მომავალში მოიმკის. ცხადია, რომ გაზაფხულზე 7-პროცენტიანი ინფლაცია მოსახლეობის ცხოვრების დონეს კიდევ უფრო გააუარესებს. (for.ge)

# „ქუჩაში დაეწივნენ და დანით დაჩეხეს“ — რაზე ოცნებობდა 20 წლის ფეხბურთელი, რომელიც სასტიკად მოკლეს



15 ნოემბერს, გამთენიისას, თბილისის ცენტრში, კანდელაკისა და ტაშკენტის ქუჩების გადაკვეთის ადგილას კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა. კლუბ „მაჭახელას“ 20 წლის ფეხბურთელი, თენგიზ ფერსელიძე ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოკლეს.

ახლობლები ამბობენ, რომ თბილისში დაბადებულ და გაზრდილ თენგოს ოცნებად ჰქონდა, რომ, როცა სპორტულ კარიერას მორჩებოდა, ხელვაჩაურში, მშობლიურ ახალსოფელში დაბრუნებულიყო, ბებია-ბაბუის სახლისთვის მიეხედა და იქ ეცხოვრა. თუმცა მისი ოცნებები 20 წლის ასაკში, ხელვაჩაურიდან თბილისში მორიგი დაბრუნებისას სამუდამოდ დასრულდა. ნიჭიერ ბიჭს მთელი სპორტული კარიერა წინ ჰქონდა, თუმცა არ დასცალდა...

„თენგოს მრავლობითი ჭრილობები მიაყენეს კისრისა და გულის არეში. თენგო თბილისში იყო, მეგობრის დაბადების დღეზე. სიკვდილამდე ერთი დღით ადრე, გუნდს წარმატება მოუტანა, 90-ე წუთზე ბურთი გაიტანა და კიდევ ერთხელ დაგვამახსოვრა თავი. ძალიან კარგი ადამიანი იყო, ყველას ძალიან გვიყვარდა. რა გახდა მკვლელობის მიზეზი, ამაზე ლაპარაკი არ გვინდა, რადგან ზუსტად არაფერი ვიცით“...

**რეზო სურმანიძე, სოფელ ახალსოფლის მკვიდრი:**

– კიდევ ვერ ვიჯერებ, რომ ასეთი გონიერი, ლამაზი და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა კაცი ცოცხალი არ არის. ჯერ ხომ საოცრად მომხიბვლელი გარეგნობა ჰქონდა, მერე ისეთი გულლია და თბილი ადამიანი იყო. დედ-მამა და დედმამიშვილები თბილისში ჰყავდა, მაგრამ თავად სოფლისკენ მოუწევდა გული, თითქოს დაემთხვა კიდეცო, „მაჭახელაში“ დაუძახეს. ვარჯიშის შემდეგ სოფელში ამოსული, ხომ დაღლილი იყო ვარჯიშით, მაგრამ მთელ სოფელს ჩამოივლიდა მაინც და ყველას მიეფერებოდა. იმ დღესაც დაღლილი იყო, მაგრამ თბილისში მაინც წავიდა – მეგობრის დაბადების დღეა და აუცილებლად იქ უნდა ვიყოო. მაგ დაბადების დღეზე დაიწყო ყველაფერი; მკვლელს არც გული ჰქონია, არც ადამიანი ყოფილა, რადგან თენგოზე ხელის აწევა და დანის დარტყმა შეძლო. ასეთი სიკეთით სავსე ბიჭი მოსაკლავად როგორ გაიმეტა, როგორ?! მერე კი გაიქცა და სისხლიანი დანა ქუჩაში დააგდო!

**— გავრცელებული ინფორმაციით, თენგო ქუჩაში შელაპარაკებისას მოკლეს?**

– ქუჩაში კი მოკლეს, მაგრამ ჩვენ როგორც ვიცით, ჩხუბი დაბადების დღეზევე დაიწყო. თანაც რაზე? – სიგარეტზე. თენგოსთვის სიგარეტი უთხოვიათ, ამას უთქვამს, „არ ვეწევიო“. „რას ჰქვია, არ ეწევი, რატომ არ ეწევიო“ და ასე დაწყებულა ჩხუბი... სამი კაცი ერთად დაესია თურმე. მოკლედ, ეს ის ბოროტებაა, როცა ხალხს სხვისი სიკეთე შურს. მოკლედ, ბიჭმა რომ ნახა, იქ ყოფნა აღარ შეიძლებოდა, ადგა და წამოვიდა, ის ბოლმიანები და არაადამიანები ქუჩაში დაეწივნენ და დანით დაჩეხეს. ბიჭს ისეთი ჭრილობები ჰქონდა, გადარჩენა ვერ შეძლეს....

**— ანუ რამდენიმე ადამიანი მონაწილეობდა მკვლელობაში?**

– როგორც ამბობენ, კონფლიქტი რამდენიმესთან მოუვიდა, თუმცა ერთია მხოლოდ დაკავებული. მკვლელობა დაახლოებით დილის 5 საათზე მოხდა... თენგომ საავადმყოფომდე კი იცოცხლა, მაგრამ მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა, არ ვიცი, მისმა მკვლელმა როგორ უნდა იცოცხლოს, ეს სიბოროტე როგორ უნდა ჩამოირეცხოს... (kvirispalitra.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

# საპატიმრო დაწესებულება მარიხუანის მოხმარებისთვის მსჯავრდადებულმა 10-მა პირმა დატოვა



სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მარიხუანის მოხმარებისთვის პირის დაკავების არაკონსტიტუციურად გამოცხადების დღიდან სასჯელაღსრულების დაწესებულება მარიხუანის მოხმარებისთვის მსჯავრდადებულმა 10-მა პირმა დატოვა. სამინისტროში განმარტავენ, რომ მსჯავრდადებულთა განთავისუფლება შესაბამისი მიმართვის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება და ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადება მსჯავრდადებულთა ავტომატურად, ერთდროულად განთავისუფლებას არ გულისხმობს. (liberali.ge)

**აბა, რა გამოდის, უკანონოდ ტოვებთ მარიხუანის მწეველებს საპატიმროებში? ამ ამბავს მომდევნო ნომერში აუცილებლად დეტალურად გავარკვევთ!**

# ლიტვურმა კომპანიამ საქართველოში ბიზნესზე შესაძლოა, უარი თქვას




ლიტვურმა კომპანია „რასერნას“ წარმომადგენლები სამართალდამცავ უწყებებს თანამშრომლის განთავისუფლების მოთხოვნით მიმართავენ.

როგორც კომპანიის დაკავებული თანამშრომლის ადვოკატები აცხადებენ, კონსტანტინ კოვალეუვსკი პოლიციამ 9 ნოემბერს ქუთაისის აეროპორტში უკანონოდ დააკავა.

ცნობილია, რომ კოვალეუვსკის ქართველი ბიზნესპარტნიორის მეუღლე თანხის მოპარვაში ადანაშაულებს. თუმცა დაცვის მხარე ამბობს, რომ ბრალის წარდგენა მტკიცებულების გარეშე მოხდა. ლიტვური კომპანიის წარმომადგენლები არ გამორიცხავენ, რომ მომხდარის შემდეგ საქართველოში ბიზნესის გაგრძელებაზე უარი თქვან.

დაკავებულის ადვოკატები არ გამორიცხავენ, რომ ადგილი ჰქონდეს განმცხადებლისა და პროკურატურის ერთობლივ ქმედებებს.

– საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ თითოეული თეთრი, რომელიც ევროპიდან შემოედინება, მოხმარდეს საქართველოში ეკონომიკის აღორძინებას. აქ ჩაერთო სამართლებრივი ორგანო, რომელმაც ჩვეული უკანონობით მოახდინა ლიტველი ბიზნესპარტნიორის დაპატიმრება, – ამბობს ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# რუსეთმა აღიარა, რომ თვითმფრინავი ტერორისტებმა ჩამოაგდეს და ინფორმაციისთვის 50 მილიონიც დააწესა



რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა ეგვიპტეში რუსული ავიალაინერის აფეთქებასთან კავშირში მყოფი ტერორისტების შესახებ ინფორმაციისთვის 50 მილიონი აშშ დოლარის ჯილდო დააწესა. ამის შესახებ „ინტერფაქსს“ უწყების პრესსამსახურში განუცხადეს.

მანამდე „როიტერმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ეგვიპტეში შარმ ელ-შეიხის აეროპორტის ორი თანამშრომელი დააკავეს. როგორც წყარომ სააგენტოს განუცხადა, დაკავებულები, სავარაუდოდ, იმ პირებს დაეხმარნენ, რომლებმაც თვითმფრინავის ბორტზე ბომბი დაამონტაჟეს. დაკავებულთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

„როიტერის“ ინფორმაციით, გამოძიების ფარგლებში, ეგვიპტეში 17 ადამიანია დაკავებული. (ინტერპრესნიუსი)

**შეგახსენებთ, რომ დასავლელი სპეციალისტების მტკიცების მიუხედავად, რომ თვითმფრინავი ტერორისტებმა ჩამოაგდეს, რუსეთი ტერაქტის ვერსიას ბოლო მომენტამდე კატეგორიულად უარყოფდა.**

# 24 წლის ირაკლი ჭინჭარაულს თქვენი დახმარება სჭირდება!



ახალგაზრდა პოეტი, 24 წლის ირაკლი ჭინჭარაული 9 ნოემბერს მძიმე ავტოავარიაში მოყვა, მიიღო ქალა-ტვინის ურთულესი დაზიანება და ამჟამად იმყოფება კომატოზურ მდგომარეობაში. ირაკლი დიღომში, რკინიგზის საავადმყოფოს (თბილისის ცენტრალური კლინიკა) რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

ირაკლი მარტოხელა დედის ერთადერთი შვილია, ის იბრძვის სიცოცხლისთვის – დავუდგეთ გვერდით, გავერთიანდეთ მისი სიცოცხლის გადასარჩენად!

დაეხმარეთ ირაკლის ქვემოთ მოცემულ რეკვიზიტებზე:
ანგარიშსწორების ანგარიში: GE02TB1821136512500017
ბანკის კოდი: TBCBGE22
მიმღების დასახელება: თეონა არდოტელი.

# რაში დახარჯა ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ ბიუჯეტიდან 292 000?




დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80


**ცესკოში დასაქმებული შვილები, მეჯვარე, მეგობრები, და, სიძის ნათესავი, ქმრის ნათესავი, მაზლისცოლი და ა.შ. რა ხდება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში?**

**„ალიას“ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივას“ ხელმძღვანელი ლაშა ფარულავა ესაუბრა:**

– ჩვენი კოალიცია, დიდი ხანია, ვეწევით საჯარო სექტორის მონიტორინგს. მათ შორისაა ცენტრალური საარჩევნო კომისია. შედეგებს პერიოდულად, თქვენი გაზეთის მეშვეობითაც ვაცნობთ მკითხველს. ამ ეტაპზე ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან გამოვითხოვეთ, ცესკოს თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას შესახებ ინფორმაცია. გვაინტერესებდა, რა ოდენობის თანამდებობრივი სარგო მიიღო 2014 წლიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით. ამ ხნის განმავლობაში, თამარ ჟვანიას მიღებული აქვს 130 ათას ლარზე მეტი თანამდებობრივი სარგო. მათ შორის, დაახლოებით 56 ათასი ლარის პრემია აქვს მიღებული, დაახლოებით ამდენივე აქვს მიღებული დანამატის სახით. გამოთხოვილი დოკუმენტაცია შეეხებოდა, ასევე, ამ პერიოდის სამივლინებო ხარჯებსაც. სამივლინებო ხარჯებში ამ ადამიანს დახარჯული აქვს დაახლოებით 47 ათასი ლარი. საერთო ჯამში, 2014 წლიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით, მარტო თამარ ჟვანიასთვის, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან – ხელფასის, დანამატის, პრემიისა და სამივლინებო ხარჯებისთვის დაიხარჯა დაახლოებით 292 ათასი ლარი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში ხალხი შიმშილის პირასაა, მივხვდებით, რაოდენ დიდი თანხაა ეს ერთი ადამიანისთვის. გაუგებარია, რატომ უნდა აძლევდეს თავს ეს ადამიანი იმის უფლებას, რომ ამხელა თანხებს ითვისებდეს ბიუჯეტიდან.

ამავდროულად, ინფორმაცია მოგვაწოდეს ცესკოში არსებული ნეპოტიზმის შესახებ. კერძოდ, ეს ნეპოტიზმი შეეხებათ თამარ ჟვანიას ოჯახის წევრებსა და საახლობლოს. საუბარია 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების პერიოდიდან მოყოლებული დღემდე. თამარ ჟვანიამ ცესკოში დაასაქმა თავისი შვილები, შვილების მეჯვარე, მეგობრები, და, სიძის ნათესავი, ქმრის ნათესავი, მაზლისცოლი და ა.შ. ამათგან ნაწილი დღემდე მუშაობს ცესკოში, ხოლო ნაწილი 2014 წლის არჩევნების პერიოდში აყვანილი ჰყავდა ხელშეკრულებით და ეს იმიტომ, რომ ჩვენ საჯარო ინფორმაციას ზოგადადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად ვითხოვთ ხოლმე. ამ კანონის თანახმად, ჩვენ შეგვიძლია, გამოვითხოვოთ მხოლოდ და მხოლოდ თანამდებობის პირების შესახებ ინფორმაცია. ჩვენ არ გვაქვს უფლება, გამოვითხოვოთ ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებიც ხელშეკრულებით ჰყავთ აყვანილი. ჟვანია, ასე, შეეცადა ნეპოტიზმის გადამალვას, მაგრამ ჩვენ გვაქვს კავშირები ცესკოში და მივიღეთ შესაბამისი გადამოწმებული და დადასტურებული ინფორმაცია ამის თაობაზე.

მოახლოებულია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, ამ დროისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისია უნდა იყოს გამჭვირვალე და დემოკრატიული თავისი საქმიანობის ფარგლებში. ამ დროს კი, ცესკოს თავმჯდომარეს ცენტრალური საარჩევნო კომისია ქცეული აქვს თავისი ოჯახის შპს-დ, ეს არის მიუღებელი! ეს ყველაფერი ჩვენში პროტესტს იწვევს და გვინდა, რომ საქმის კურსში ჩავაყენოთ მედია, საზოგადოება და ყველა, ვინც ეს უნდა იცოდეს.

კანონდარღვევაა, როცა ცესკოს თავმჯდომარე ოჯახის წევრებს ასაქმებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ცესკოში ყვავის ნეპოტიზმი და ამის პარალელურად, ქალბატონი თამარ ჟვანია არაფერს იკლებს ჩვენს ხარჯზე, ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადებით.

ჩვენ, რამდენიმე თვის წინ, იმაზეც გესაუბრეთ, ქალბატონმა თამარმა იამაიკა და მექსიკა რომ მოიარა საბიუჯეტო სახსრებით. ათასობით ლარი დაუჯდა მაშინაც ბიუჯეტს მისი ეს ვოიაჟები. ვფიქრობდით, რომ მას მერე, რაც ეს ფაქტები გავასაჯაროეთ, ის შეწყვეტდა იგივენაირად ქმედებას, მაგრამ, სამწუხაროდ, გააგრძელა უარესი. ეს ყველაფერი უნდა გახდეს მსჯელობის საგანი და უნდა შეწყდეს ბიუჯეტის ფულის ასე, ერთი ადამიანის კომფორტისთვის ფლანგვა.

**— უამრავჯერ გააჟღერეთ ქალბატონ თამარ ჟვანიას საქმის ირგვლივ მსგავსი საკითხები. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებაში რატომ არავინ ინტერესდება ამ ადამიანის საკითხით?**

– სახელმწიფო აუდიტმა დადო დასკვნა და პირდაპირ, საჯაროდ განაცხადა, რომ კოლოსალური დანამატები გაიცემა საჯარო დაწესებულებებში. აუდიტი მოუწოდებდა სახელმწიფოს, ამ საკითხის მიმართ ადეკვატურები ყოფილიყვნენ. ახლა, როცა არჩევნები მოდის, ყველა ხვდება, რაოდენ მნიშვნელოვანია ცესკოს საკითხი. უმეტესად, ინტერესი არის ის, რომ ცესკოს საქმიანობა იყოს გამჭვირვალე, მაგრამ ხელისუფლებას აქვს სხვა ინტერესი. ხელისუფლებისთვის მისაღებიც კია ის ვითარება, რომელშიც თამარ ჟვანია იგდებს თავს. ის, მისი ამ მდგომარეობით, ფაქტობრივად, ხელისუფლების მძევალია და ვერასდროს ჩაატარებს ისეთ არჩევნებს, როგორიც ხელისუფლების მიღმა დარჩენილი ადამიანებისთვისაა მისაღები. ცესკო დამოუკიდებელი ორგანოა, მაგრამ მისივე თავმჯდომარის მიერ ჩადენილი ქმედებების შედეგად, ის ვეღარ იქნება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თავისუფალი, იმიტომ, რომ თამარ ჟვანია არის თავისი მდგომარეობის ტყვე. ის ატარებს და გაატარებს კიდევაც ხელისუფლების ინტერესებს. ეს გამოჩნდა კიდეც შუალედურ არჩევნებზე. კონკრეტულად, საგარეჯოსთან მიმართებაში დაგროვდა უამრავი შეკითხვა და ცესკო ყველა ამ შეკითხვასთან დაკავშირებით იყრუებს თავს.

**— რას აპირებთ?**

– ჩვენ მოვიპოვეთ და გაწვდით ამ ინფორმაციას თქვენ, თქვენი მეშვეობით კი საზოგადოებას – ამის მერე, ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს. რამდენად იმოქმედებს საკუთარი თავის წინააღმდეგ, ეს უკვე საკითხავია.

**— თუ არანაირი რეაგირება არ მოჰყვება ამ ინფორმაციას, მაშინ რას გეგმავთ?**

– ამ ინფორმაციის გავრცელების მომენტიდან, ვაპირებთ, ქალბატონ თამარ ჟვანიას მოვუწყოთ პერმანენტული საზოგადოებრივი წნეხი, რომ შეწყვიტოს ალიშნული ქმედებები. წნეხში ვგულისხმობთ როგორც აქციებს ცესკოსთან, ასევე სხვადასხვა ღონისძიებებს.

**რა დამსახურებისთვის ისარგებლა თამარ ჟვანიამ ასობით ათასი ლარით და რა პრინციპით შეარჩია დასასაქმებლად თავისი ახლობლები და ოჯახის წევრები? ამ კითხვით მივმართეთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესსამსახურს:**

„საარჩევნო ადმინისტრაცია თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და პროფესიონალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე. ცესკო საკმაოდ ბევრს მუშაობს როგორც საარჩევნო, ისე არასაარჩევნო პერიოდებში. აღნიშნული საქმიანობები დეტალურად არის ასახული ადმინისტრაციის 2015-2019 სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

თანამდებობის პირთა და ზოგადად, ადმინისტრაციაში დასაქმებულთა ანაზღაურება შესაბამისია თითოეული თანამშრომლის მიერ გაწეული თითქმის 24-საათიანი შრომის. ნიშანდობლივია ის, რომ 2015 წელს, საარჩევნო ადმინისტრაციამ თითქმის 6 თვე იმუშავა საარჩევნო რეჟიმში. საარჩევნო პერიოდში, კანონმდებლობა თავად არეგულირებს ადმინისტრაციაში დასაქმებულთა ზეგანაკვეთურ ანაზღაურებას.

მნიშვნელოვანი გარემოებაა ის, რომ არჩევნებისთვის მზადება არ შემოიფარგლება მხოლოდ საარჩევნო პერიოდით. ცესკო არასაარჩევნო პერიოდში მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობებს. სწორედ განხორციელებული სამუშაოების შედეგია ადგილობრივი და საერთაშორისო აღიარება, ასევე, არსებული რეიტინგები და ნდობა საარჩევნო ადმინისტრაციისადმი.

ცოტა ხნის წინ, ანგარიში გაწეული საქმიანობების შესახებ, საარჩევნო ადმინისტრაციამ წარუდგინა ფართო საზოგადოებას და დაინტერესების შემთხვევაში, ნებისმიერ პირს შეუძლია იხილოს ის ცესკოს ვებგვერდზე.

რაც შეეხება დასაქმებას, საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმება ხდება მხოლოდ კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის გათვალისწინებით კანონმდებლობის შესაბამისად“. – მოგვწერა ცესკოს სპიკერმა, ანა მიქელაძემ.



| | B | C | D |
|---|---|---|---|
| 1 | ცისია ყაველაშვილი - შვილი | შტატგარეშე მოსამსახურე | იურიდიული დეპარტამენტი |
| 2 | გიორგი ყაველაშვილი-შვილი | შტატგარეშე მოსამსახურე | საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| 3 | ნათია ჟვანია-და | შტატგარეშე მოსამსახურე | საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| 4 | ტარიელ ნათენაძე-სიძის ნათესავი | შტატგარეშე მოსამსახურე | საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| 5 | ირინა ბუზალაძე-ქმრის ნათესავი | შტატგარეშე მოსამსახურე | ადმინისტრაციული დეპარტამენტი |
| 6 | თამუნა ბატიაშვილი-შვილის მეგობარი მეჯვ | შტატგარეშე მოსამსახურე | საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| 7 | თათია ზარქუა -შვილის მეგობარი | შტატგარეშე მოსამსახურე | საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| 8 | ნინო ყავრელიშვილი-სიძის და | სტაჟიორი | საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი |
| 9 | ლეილა სიხაშვილი-მაზლის ცოლი | ტრენერი | სსიპ სწავლების ცენტრი |
| 10 | | | |

**„მოახლოებულია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, ამ დროისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისია უნდა იყოს გამჭვირვალე და დემოკრატიული თავისი საქმიანობის ფარგლებში. ამ დროს კი, ცესკოს თავმჯდომარეს ცენტრალური საარჩევნო კომისია ქცეული აქვს თავისი ოჯახის შპს-დ, ეს არის მიუღებელი!“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ვერასდროს ეღირსებით ჩემს ზიზღს“ — პარიზის ტერაქტისას მოკლულის ქმრის წერილი ტერორისტებს



პარიზის ტერაქტების დროს ბატაკლანის საკონცერტო დარბაზში დაღუპულის ქმარი „ფეისბუკის“ მეშვეობით ტერორისტებს სულისშემძვრელ წერილს წერს, რომელსაც უკვე 60 ათასზე მეტი გაზიარება აქვს:

– პარასკევს ღამით, თქვენ მომპარეთ გამორჩეული სიცოცხლე – ჩემი ცხოვრების სიყვარული, ჩემი ვაჟის დედა – თუმცა თქვენ ვერ მიიღებთ სიძულვილს. არ ვიცი, ვინ ხართ და არც მაინტერესებს, თქვენ მკვდარი სულები ხართ.

არა, მე არ გპირდებით ჩემს სიძულვილს. თქვენ გსურთ, რომ მე შემეშინდეს, რადგან ჩემს თანამემამულეებს უნდობლობით შევხედო, რათა ჩემს უსაფრთხოებას ჩემი თავისუფლება შევწირო. თქვენ წააგეთ.

მე ჩემი ცოლი ამ დილით ვნახე. ის ისეთივე ლამაზი იყო, როგორიც პარასკევს ღამით. სწორედ ისეთი, როგორიც უკიდეგანოდ შემიყვარდა 12 წლის წინათ. რა თქმა უნდა, მე განადგურებული ვარ ამ ტკივილისგან, გაძლევთ ამ პატარა გამარჯვებას, თუმცა ტკივილი ხანმოკლე იქნება. ვიცი, რომ ის ყოველდღე ჩვენთან იქნება და ვიპოვით ჩვენს თავს იმ სიყვარულის სამოთხეში, რომლის წვდომა თქვენ არ გაქვთ.

ჩვენ მხოლოდ ორნი ვართ, ჩემი ვაჟი და მე, მაგრამ ჩვენ უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე მთელი მსოფლიოს რაზმი. თქვენთვის მეტი დრო აღარ მაქვს. უნდა მივხედო მელვილს, რომელიც ახლა ილვიძებს. ის ახლა 17 თვის არის. ის შეჭამს, როგორც ყოველთვის, შემდეგ ვითამაშებთ, როგორც ყოველთვის. მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში ბიჭი გაგაწამებთ, რადგან იქნება ბედნიერი და თავისუფალი, რადგან არა, ვერც მის სიძულვილს ეღირსებით.

(ipress.ge)

## 10 თვეში ქრთამის აღების 103 დანაშაულია რეგისტრირებული



შსს-ს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ, ქრთამის აღების 103 დანაშაულია რეგისტრირებული. აქედან გახსნილია 59 საქმე.

2014 წელს კი 1-ლი იანვრიდან 31 ოქტომბრამდე ქრთამის აღების 69 დანაშაულია რეგისტრირებული. აქედან გახსნილია 36. (ipress.ge)

# რა აწუხებთ ქართველ მიგრანტებს?

უფლებების დარღვევა, ცოტა ინფორმაცია ტრეფიკინგზე, ჯანდაცვის ხელმიუწვდომლობა, დიასპორულ ორგანიზაციებს შორის ნაკლები კოორდინაცია, სამშობლოსა და ოჯახებთან გაუცხოება, დამაკნინებელი სტერეოტიპები მიგრანტებზე – ეს ნაწილია საკითხებისა, რომელიც მიგრანტებს აწუხებთ. მიგრანტების პრობლემების იდენტიფიკაციაზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი მუშაობდნენ ერთობლივი პროექტის – „ევროკავშირსა და საქართველოს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა“ ფარგლებში.



პროექტის ფარგლებში მიგრანტებთან გამართული შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულ მიგრანტებს სურთ, რომ იურიდიული დახმარებით სარგებლობის მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ, გააჩნდეთ თანხები საკვირაო სკოლებისა და კულტურული ღონისძიებების გასამართად და დიასპორული ორგანიზაციები მეტად იყვნენ კოორდინირებულნი.

კვლევის ავტორები ამბობენ, რომ მიგრანტებს აქვთ ბიზნესიდეები და მათ განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის მხარდაჭერის იმედი აქვთ.

თეონა მაჭარაშვილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი, რომელიც ამ პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, ამბობს, რომ საია-მ ჩაატარა შეხვედრები საქართველოს მასშტაბით 176 სოფელში და შეხვდნენ 3000-ზე მეტ დაბრუნებულ თუ დროებით მიგრანტს, ხოლო მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების მიხედვით შეადგინეს სამართლებრივი გზამკვლევი.

თეონა მაჭარაშვილის თქმით, მიგრანტებს საქართველოდან ენობრივი ბარიერი აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არიან სრულ იზოლაციაში. ამის საწინააღმდეგოდ კი შეიქმნა ახალი ონლაინ-პლატფორმა educaregeorgia, რომელიც ცდილობს, ხელი შეუწყოს ქართველი მიგრანტების ინტეგრაციას სხვა ქვეყნებში.

მიგრანტებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ მიგრაციის განმაპირობებელი ფაქტორია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები: მცირე შემოსავლის მქონე ადამიანები ტოვებენ საცხოვრებელ სახლებს და მიდიან მაღალი ანაზღაურების სამუშაოს საძიებლად. ამ მიზნისთვის ისინი იღებენ ვალებს, ან ყიდიან საკუთარ სახლებსაც, თუმცა ხშირად ვერ ახერხებენ უცხოეთში თავის დამკვიდრებას და კიდევ უფრო მოწყვლად მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე.

მიგრაციის განმაპირობებელი მიზეზი ლგბტ (ლესბოსელი, გეი ბისექსუალი, ტრანსგენდერი) ადამიანების დისკრიმინაციაცაა. ასევე, მშობლები მიდიან საზღვარგარეთ იმისთვის, რომ თავიანთი



შვილების განათლება დააფინანსონ.

კვლევის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ მიგრაციის მსურველები წინასწარ არ იძიებენ ინფორმაციას იმ ქვეყნის შესახებ, სადაც სამუშაოდ მიდიან. მიგრანტები სასურველ ქვეყანას ძირითადად ნაცნობების სიმრავლით, ტერიტორიული სიახლოვით, ნაკლები ხარჯიანობითა და ენობრივი ფაქტორის გათვალისწინებით ირჩევენ.

საზღვარგარეთ მუშაობის ძირითადი სფეროებია თხილისა და ჩაის კრეფა, ბავშვებისა და მოხუცების მოვლა, ქარხნებსა და მშენებლობებზე მუშაობა. მიგრანტები უმეტესად ყოველდღიური საჭიროებისთვის გამოიმუშავებენ თანხას და არა გრძელვადიანი მიზნებისთვის. ამას ემატება ისიც, რომ ვერ იმაღლებენ კვალიფიკაციას, – ამბობს თეონა მაჭარაშვილი.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის უფროსი მრჩეველი ნინა მატიაშვილი ამბობს, რომ სამინისტროს მცირე ბიუჯეტი აქვს, თუმცა ცდილობს, მაქსიმალურად წაახალისოს საზღვარგარეთ მცხოვრები მიგრანტები.

მინისტრის უფროსი მრჩეველი ამბობს, რომ ისინი ძირითადად შუამავლის როლს ასრულებენ მიგრანტებსა და სხვადასხვა უწყებასა თუ პოტენციურ დონორს შორის იმ საჭიროებების მოსაპოვებლად, რაც მიგრანტებს სჭირდებათ.

ნინა მატიაშვილის თქმით, US-AID-თან ერთად იწყება ახალი პროექტი, რომელიც სოფლის მეურნეობის კუთხით იმუშავებს, ხოლო თუ მიგრანტი პროექტში ჩაერთვება და შესაბამისი კვალიფიკაციაც ექნება, მაშინ წამოწყებას 30 პროცენტით დაუფინანსებენ. ასევე, 2016 წლიდან მსოფლიო ბანკთან ერთად დაიწყება პროგრამა ინოვაციური ეკოსისტემის პროგრამის დაფინანსებაზე, რომელსაც აქვს დიასპორული კომპონენტიც და ამაზე მუშაობს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

მინისტრის უფროს მრჩეველს მიაჩნია, რომ მიგრანტებს აქვთ დიდი გამოცდილება, რომლის გამოყენება საქართველოსთვის დიდი რესურსი იქნება.

მიგრანტების გამოცდილების გაზიარებასა და მისი მნიშვნელობის წარმოჩენას ისახავდა მიზნად „ევროკავშირსა და საქართველოს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობის“ პროექტის მეორე კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც წარმატებული მიგრანტები ჩამოვიდნენ საქართველოში და 10 რეგიონში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს შეხვდნენ.

კავკასიური ინსტიტუტის წარმომადგენელი თიკო ტყეშელაშვილი ამბობს, რომ მათ წინასწარ შეისწავლეს შრომის ბაზარი და შეარჩიეს სპეციალობები, რომლებიც საქართველოს რეგიონებში საჭიროებს მეტ განვითარებას. პროექტის ავტორებმა გამოყვეს რამდენიმე მიმართულება: სოფლის მეურნეობა, გაყიდვების გაზრდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, ტურიზმი, ქალაქმშენებლობა და კომუნიკაციები.

„ევროკავშირსა და საქართველოს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობის“ პროექტი 2012-2015 წლებში მიმდინარეობდა ევროკავშირის დაფინანსებით. პროექტის შედეგების პრეზენტაცია 2015 წლის 16 ნოემბერს გაიმართა. (netgazeti.ge)

# ირმა ინაშვილი: ოთხი მოშიმშილე კლინიკაშია გადაყვანილი




„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი აცხადებს, რომ მოშიმშილეებიდან ოთხი, მათ შორის პარტიის ლიდერები, ადა მარშანია და ემზარ კვიციანი, ჯანმრთელობის გაუარესების გამო სამედიცინო დაწესებულებებში გადაიყვანეს.

– უარესდება მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამ ადამიანებს რეკომენდაცია მივეცით, ვიდრე კრიტიკული გახდება ვითარება, მანამდე მივმართოთ ექიმს და სტაციონარში გადავიყვანოთ. ამ ოთხი მოშიმშილის ნაცვლად შემოვა სხვა ოთხი მოშიმშილე. ისინი დროებით შეწყვეტენ და მერე კვლავ შემოგვიერთდებიან, – განაცხადა ინაშვილმა. ინაშვილის თქმით, შიმშილობის მეათე დღის მიუხედავად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნორმალურია – „მე ჯერჯერობით ყველაზე გამძლე აღმოვჩნდი“.

ინაშვილის თქმით, ამ დროისთვის საქართველოს მასშტაბით 100-ზე მეტი ადამიანი შიმშილობს, მათ შორის – 70-მდე სახელმწიფო კანცელარიასთან.

– გაცდა მოთხოვნები ირმა ინაშვილის თემას და საგარეჯოს არჩევნებს, რომელიც გაყალბდა. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ხელისუფლების გარანტიები გვინდა. აპირებს თუ არა ეს ხელისუფლება საარჩევნო გარემოს შეცვლას, ამიტომ მივმართეთ უკიდურეს ფორმას. თინა ხიდაშელს გადავაყენებთ შიმშილობის გარეშეც, – ამბობს ინაშვილი. (netgazeTi.ge)

# ლონდონიდან მოდიხართ თუ თიანეთიდან? ამის თქმას არ შეგარჩენთ — კამათი „არჩევანში“



გადაცემა „არჩევანში“ პრემიების თემის განხილვას უმრავლესობის წევრს ზაქარია ქუცნაშვილსა და უმცირესობის დეპუტატს მიხეილ მაჭავარიანს შორის კამათი მოჰყვა.

ქუცნაშვილმა განაცხადა, რომ საპარლამენტო ოპოზიცია ხელფასს ტყუილად იღებს, რადგან ისინი პარლამენტში არ დადიან.

– ოპოზიცია არ დადის პარლამენტში. სულ ტყუილად იღებენ ხელფასს. არ მუშაობენ საერთოდ. სხდომებს გამოგონილი მიზეზებით აცდენენ, – აღნიშნა ქუცნაშვილმა.

დეპუტატის განცხადებას მიხეილ მაჭავარიანის გაღიზიანება მოჰყვა. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა განაცხადა, რომ სხდომების გაცდენის მიზეზი „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე მოვლენები იყო.

– არ დადის არასწორი გამოთქმაა. ეტყობა, ვინ მუშაობს და ვინ – არა. არ შეგარჩენთ ამას, რომ ამბობთ, ოპოზიცია არ დადის სხდომებზეო. აბა, ვინ მუშაობს, ის მითხარით. აქ რომ მოდიოდით არ ნახეთ დანგრეული გზები? ყველაფერს აქვს საზღვარი... ხელფასს თქვენ იღებთ იმაში, რომ დაანგრიეთ ქვეყანა. არ მუშაობთ თქვენ და თქვენნაირი უმრავლესობა საქართველოს არ ჰყოლია. ქუჩაში გადით და იკითხეთ. ბატონო ზაქრო, თქვენ რომელ ქვეყანაში იყავით? ლონდონიდან მოდიხართ თუ თიანეთიდან? – განაცხადა მაჭავარიანმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

# რობერტ სტურუა: ამ დროს კი სადღაც ცაფირუზხმელეთზურმუხტოვან სამშობლოში თაგუნების პარტიები ერთმანეთს ებრძვიან



რეჟისორი რობერტ სტურუა, „ფეისბუკში“ სტატუსს აქვეყნებს:

– არ ვიცი რატომ, მაგრამ გუშინ ვკითხე ერთ ცნობილ კრიტიკოსს და საღამოს ერთ კეთილშობილ ქართველს (დამეთანხმებით, გაჭირდა ასეთის მოძებნა) გავუმეორე ჩემი შეკითხვა: ომი თუ ელის კაცობრიობას-მეთქი? არაო, – მიპასუხა ორივემ.

და აი, ომი პარიზში.

დიახ, ომია.

და, არავინ იცის, როგორ შეაჩეროს ეს ვერაგობა.

არავინ.

ამ დროს კი სადღაც ცაფირუზხმელეთზურმუხტოვან სამშობლოში თაგუნების პარტიები ერთმანეთს ებრძვიან, ლამის დაღრღნან ერთმანეთი.

ვერც გაგელიმება.

გადავრჩებით კი? (news.ge)

# ალექსანდრე მარგიშვილი არის ერთი დიდი ორმილიონიანი გაუგებრობა — ელისაშვილი



საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელს ალექსანდრე მარგიშვილს „ორმილიონიან გაუგებრობას უწოდებს“.

– უამრავი გაუგებრობაა მერიაში. მაგალითად, ალექსანდრე მარგიშვილი – ერთი დიდი ორმილიონიანი გაუგებრობა. მისი სამსახურის წლევანდელ ბიუჯეტში ორი მილიონი არაფრის კეთებაში გადაურიცხეს, ახლა ორ-ნახევარი მილიონი უნდა. რაღაც გაუგებარი ცენტრი ორ-ნახევარი მილიონით უნდა დაფინანსდეს თურმე. ბევრი აურზაური და აბდაუბდა რამ ხდება მერიაში, – ამბობს ელისაშვილი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „ურთმელიძე უკვე ისე ფამილარულად მოიხსენიებს ქიბარს, გული აგიჩუყდება“

„რუსთავი 2“-ს გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თამაზ ურთმელიძის 12 ნოემბრის განჩინებას „ფეისბუკში“ აზიარებს.

განჩინებაში მოსარჩელე მხარის ქიბარ ხალვაშის ნაცვლად ქიბარ ხალვა წერია. (news.ge)



განჩინება

# ბაგა-ბაღებში ბავშვებს გაურკვეველი წარმოშობის ქათმის ხორცს აჭმევენო...

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**რას აჭმევენ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელებს საქონლის ხორცის ნაცვლად? რა ტაქტიკა აირჩია თბილისის მერიამ არასასურველი დირექტორებისა და დირექტორების მოადგილეების თავიდან მოსაშორებლად?**

**„ალიას“ „საქართველოს სკოლამდელთა განვითარებისა და უფლებების დაცვის თავმჯდომარე“, მზია ფაილოძე ესაუბრა:**

– ბოლო პერიოდში აღმოჩნდა, რომ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ ჩატარებულ კვების ტენდერებში გამარჯვებული კომპანიები, ვერ აკმაყოფილებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. მაგალითად, ასეთი აღმოჩნდა ტომატ-პასტა და ჯემები, რომლებიც გახლდათ გაურკვეველი წარმოშობის. იმის გამო, რომ შეუსაბამობა იყო მოწოდებულ საქონელსა და ხელშეკრულებების პირობებს შორის, ხორცი არ მიეწოდებოდა ისანი-სამგორის, დიდუბისა და კიდევ რამდენიმე რაიონს. იმ მოტივით, რომ ბავშვები ხორცის გარეშე არ ჰყოლოდათ, ამ ხნის განმავლობაში კვებავდნენ გაურკვეველი წარმოების ქათმის გაყინული ფილესგან დამზადებული კერძით. ანუ საქონლის ხორცი ჩაანაცვლეს ქათმის ფილეთი. ეს ქათმის ფილე არ გახლავთ ადგილობრივი წარმოების, შემოტანილია და არავინ იცის, რისგანაა დამზადებული რეალურად, რა კონსერვანტებისგან შედგება, რითაა გაყინული და ა.შ.

**— სურსათის უვნებლობის სამსახური არ ამოწმებდა, იყო თუ არა ვარგისი ამ ფილეთი გამოკვება? ადრე ვწერდით, რომ ერთ-ერთი ბაღიდან უვარგისი ხორცი ამოიღეს. თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს სარევიზიო კომისია არ დაინტერესდა ამ საკითხით?**

– ის შემოწმება, რასაც სურსათის უვნებლობის სამსახური ატარებს, ეს არის ზედაპირული შემოწმება. ნორმალურ პირობებში, არავინ არ აჭმევდა ქათმის ფილეს, ბავშვს, საქონლის ხორცის ნაცვლად. მით უმეტეს, რომ ნორმალური პირობების შესაქმნელად ბიუჯეტიდანაა ფული გამოყოფილი. თუ მაინცდამაინც ტენდერამდე ხორცის ჩანაცვლებაზე იყო საუბარი, მაშინ გაუყინავი ქათმის ხორცი და გაუყინავი ხორციდან გამოღებული ფილეთი უნდა ესარგებლათ. მაგრამ ეს გაყინული ქათმის ფილე უფრო იაფი უჯდებათ და ამას მიანიჭეს უპირატესობა. რატომაც არა?! ამათ ხარისხი არ აინტერესებთ, მთავარია ნაკლები ფასი, რომ ნაკლები დახარჯონ.

**— ეს ბაგა-ბაღების დირექტორებმა რატომ არ გააპროტესტეს?**

– სამწუხაროდ, ბაგა-ბაღების დირექტორებს, ამ პერიოდში, არ მიეცათ საშუალება ეს გაყინული ფილეები ჩაენაცვლებინათ. სააგენტო დაჰპირდა მათ, რომ რამდენიმე დღეში ახალ ტენდერებს ჩავატარებთ, ამ ტენდერებში გამოვავლენთ ახალ მომწოდებლებს და ისინი მოგაწოდებენ საქონლის ხორცსო. ეს რამდენიმე დღე კი იწელება, უკვე თითქმის ორი თვეა.

ამ ხორცს რომ დავანებოთ თავი და მენიუების საკითხს მივაქციოთ ყურადღება, გაოგნდებით, ისეთი მენიუებით კვებავენ ბავშვებს. სააგენტო ამ მენიუთი თავს იწონებს. მათთან ერთად თავს იწონებს ის კერძო ინსტიტუტი, რომელმაც ეს მენიუ შეიმუშავა. მსგავსი რამ არსად არ ხდება – არც პოსტსაბჭოთა და არ რომელიმე ევროპულ, განვითარებულ ქვეყანაში. თუ საბავშვო ბაღების საკითხს სახელმწიფო უზრუნველყოფს, მაშინ, სახელმწიფომვე უნდა შეადგინოს მენიუ ბავშვებისთვის. გამოდიან ახლა და ბაქიაობენ, საბჭოთა მენიუს მენტალიტეტი დაარღვიეთო. ამ დროს, ზუსტად იმ საბჭოთა მენიუდანაა ამოღებული უმეტესი რამ და ისეა ამოღებული, რომ ვერც დახვეწეს. არაფერი მენიუს შეცვლა არ იყო საჭირო, ნორმები უნდა გაეზარდათ და მიაღწევდნენ იმ კალორიულობასაც, რაც საჭიროა.

ასევე, შექმნეს დირექტორების ვითომ მუშა ჯგუფი, წაიყვანდნენ, მოაწერინებდნენ ხელს ამ მენიუს საკითხზე. ისინი, აძლევდნენ მენიუზე შენიშვნებს, მაგრამ დირექტორების შენიშვნები არ გაითვალისწინეს და ისევ უცვლელად დატოვეს ის, რაც მათვე უნდოდათ და მერე აღიარეს კიდეც, რომ ისე მოხდა ამ მენიუს მოხმარებაში გასვლა, რომ დატესტვაც ვერ მოვასწარით, დავაკვირდებით და ნელნელა გამოვასწორებთ ხარვეზებსო. კი მაგრამ, სულ საექსპერიმენტო როგორ უნდა იყოს ჩვენი მომავალი თაობა?! კვების მხრივ, სწავლის მხრივ... რა დააშავეს ჩვენმა ბავშვებმა?! საშინელ პირობებში უწევთ მუშაობა ბაგა-ბაღების პედაგოგებსაც.

ვერავინ ხმის ამოღებას ვერ ბედავს ვერც იმ ტენდერებთან, უხარისხო საკვებ პროდუქტებთან, თუნდაც ამ მენიუებთან მიმართებაში.

**— რის ეშინიათ?**

– ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსის, თემურ თორდინავას შიში აქვთ. იციან მერე, რაც მოჰყვება მათ ამ პროტესტს. ეს იქნება რეპრესიები თორდინავას მხრიდან. თორდინავას, დღემდე ჰყავს მონიტორინგის ჯგუფებში ისეთი ხალხი, რომლებიც „ნაცების“ დროინდელი „ზონდერები“ არიან. ისინი, მართალია, ახლა არ ასრულებენ „ზონდერების“ როლს, მაგრამ უარესი როლი აკისრიათ. ისე იქცევიან სააღმზრდელო დაწესებულებაში, რომ გაოცდებით. პოლიციური მიდგომით უდგებიან ბაღების დირექციას. „ობეხესის“ როლს ასრულებენ.

**— ასეთს რას აკეთებენ?**

– ტაქტიკა აქვთ შემუშავებული ასეთი – საბავშვო ბაღის თანამშრომელი რომ დააშავებს რამეს, ხსნიან ბაღების დირექტორებს. რა შუაშია დირექტორი? თუ მათი ეს ლოგიკა გამართლებულია, მაშინ, ნარმანიას რამდენი თანამშრომელი იქნება დაჭერილი ქრთამზე და ა.შ. მაშინ ნარმანიამ რატომ არ აგო პასუხი?! ესაა შერჩევითი სამართალი!

ბაღების დირექციებს გაუჩაღა ახლა ბრძოლა სააგენტომ – ვინაიდან ბატონმა თორდინავამ ვერ შეასრულა ის მისია, რაც მას „ქართულმა ოცნებამ“ დააკისრა და ეს იყო ის, რომ სასწრაფოდ გაეთავისუფლებინათ ბაღები ძველი დირექტორებისა და დირექტორების მოადგილეებისგან, შეუსრულებელი დარჩა, ახლა მერიის აუდიტის სამსახურმა მოითხოვა, როგორც საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორების, ასევე დირექტორების მოადგილეების დიპლომების ასლები. ეს მოთხოვნა მიუვიდა ყველა ბაღის დირექტორს.

**— კი მაგრამ სამსახურში რომ იღებდნენ მაშინ არ მოითხოვეს დიპლომები? ან ახლა რატომ მიუვიდათ ეს მოთხოვნები, ბაგა-ბაღების სააგენტოს არ აქვს დირექტორების მონაცემები?**

– საქმე ისაა, რომ ეს ინფორმაცია კი აქვს ბაღების სააგენტოს, მაგრამ იმასაც ვერ ბედავენ, რომ დირექტორს უთხრან, – ეს მოთხოვნა არსებობს და თუ ვერ დააკმაყოფილებთ, უნდა გაგათავისუფლოთო. უნდათ, რომ მერიის აუდიტის სამსახურმა შეასრულოს ეს მისია.

ასე აპირებენ ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას. აგერ, არჩევნები მოდის, უამრავი აქტივისტი ისე ჰყავთ დატოვებული, განაწყენებული. ახლა, წინასაარჩევნოდ ცდილობენ, რომ ეს ადამიანები მოიმადლიერონ. მე ამ აქტივისტებისაც გამკვირვებია, რატომ უნდა გახდნენ მაინცდამაინც საბავშვო ბაღების დირექტორები და დირექტორების მოადგილეები, როცა შესაბამისი არანაირი კვალიფიკაცია არ გააჩნიათ.

სხვათა შორის, სანამ „ოცნება“ მოვიდოდა ხელისუფლებაში და ოპოზიციაში იყვნენ, ჰქონდათ ასეთი მოთხოვნა – უნდა გაუქმებულიყო დირექტორის მოადგილის შტატი, რადგან საბუთდებოდა, რომ ეს იყო ზედმეტი შტატი და ზედმეტი ხარჯი თბილისის ბიუჯეტისთვის. ამბობდნენ, რომ ეს იყო წმინდა პარტიული თანამდებობა და აქ მარტო „ნაციონალებს“ ნიშნავდნენ.

წავიდნენ „ნაციონალები“, მაგრამ რად გინდა? შეინარჩუნეს ეს შტატები და ახლა თავის აქტივისტებს უთავისუფლებენ. მეორდება იგივე ერთიერთში და კიდევ უარესიც. იმასაც ვერ ხვდებიან, რომ იმ ერთს რომ მოიმადლიერებენ, სამაგიეროდ მთელ ჯარს გადაიკიდებენ ამ საარჩევნოდ და დაიპირისპირებენ. აი, ამ საქმით არიან დაკავებული, მაშინ, როცა საერთოდ სხვა საქმეებით უნდა იყვნენ დაკავებული.

**— ბაღების სააგენტო აცხადებდა, რომ ოქტომბრის ბოლოს ხუთამდე ბაღი გაიხსნებოდა და ბავშვებს მიიღებდნენ. გაიხსნა ეს ბაღები?**

– სექტემბერში გასახსნელი სამი საბავშვო ბაღი – მოსკოვის გამზირზე, კიევის ქუჩაზე და ფონიჭალაში, დღემდე არ არის გახსნილი და ამდენი ბავშვი საბავშვო ბაღის გარეშეა დარჩენილი. მიზეზს რომ ვკითხულობთ, რატომ არ გაიხსნა ამ დრომდე, გვეუბნებიან, რომ კვალიფიკაციას უმაღლებენ თურმე საბავშვო ბაღების თანამშრომლებს.



## რას აცხადებენ ბაღების სააგენტოში

**„ტაქტიკა აქვთ შემუშავებული ასეთი — საბავშვო ბაღის თანამშრომელი რომ დააშავებს რამეს, ხსნიან ბაღების დირექტორებს. რა შუაშია დირექტორი? თუ მათი ეს ლოგიკა გამართლებულია, მაშინ, ნარმანიას რამდენი თანამშრომელი იქნება დაჭერილი ქრთამზე და ა.შ. მაშინ ნარმანიამ რატომ არ აგო პასუხი?! ესაა შერჩევითი სამართალი!“**

**მზია ფაილოძესთან საუბრის შემდეგ „ალია“ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს პრესსამსახურს დაუკავშირდა. სააგენტოს პრესსამსახურის ხელმძღვანელი, თიკო კვირტია, ფაილოძის მონათხრობის საქმის კურსში ჩავაყენეთ:**

„საბავშვო ბაღების წესდების თანახმად, დირექტორებსა და მოადგილეებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი. ვისაც არ ექნებათ ეს დიპლომები, ისინი გადაყვანილ იქნებიან შედარებით დაბალ პოზიციაზე.

რაც შეეხება ხორცისა და კვების საკითხს, სააგენტოს ხელმძღვანელის თქმით, ეს სამუშაო პროცესია და არ თვლის კომენტარის გაკეთებას საჭიროდ“. – გვიპასუხა კვირტიამ წერილობით.

არ თვლით კომენტარს საჭიროდ, არა? და თქვენს ბავშვებსაც გაურკვეველი წარმოშობის ფილეთი კვებავთ? გაარკვიეთ მაინც რას აჭმევთ ბავშვებს? რომელიმე პატარას რომ რამე დაემართოს და მისმა ახლობლებმა ცხვირპირი დაგინაყოთ, ხომ იქნებით ღირსები?

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ლოგინი ჯართში ჩავაბარე, შვილებისთვის პური რომ მეყიდა“



ქალაქ ოზურგეთში ქავთარაძის №4-ში მცხოვრები ლია სირაძის ოჯახი სოციალური დახმარების გარეშეა დარჩენილი. საარსებო შემწეობა მის ოჯახს რამდენიმე თვის წინ შეუჩერდა.

– ჩოხატაურის ქუჩაზე ვცხოვრობდი, თუმცა სახლი ავარიული იყო და საცხოვრებლად ქავთარაძის ქუჩაზე ახლობლის სახლში გადმოვედი. ჩვენი ერთადერთი შემოსავალი სოციალური დახმარება იყო, რომლითაც თავი გაგვქონდა. დახმარება სამი თვის დანიშნული მქონდა და ყველა თვეში მიმდინარეობდა გადამოწმება. ჩემთვის გაუგებარია, რა გახდა დახმარების შეწყვეტის მიზეზი. როგორც ვცხოვრობდი, იმაზე უარესად ვარ და მოვითხოვ, ამიხსნან, რის საფუძველზე შემიწყდა ფულადი დახმარება. ისე გვიჭირს, ლოგინი ჯართში ჩავაბარე, რომ შვილებისთვის პური მეყიდა, გაუსაძლის მდგომარეობაში ვართ. ოქტომბერში ქალაქის მერიამ ერთჯერადი დახმარების სახით 150 ლარი მომცა, რომლითაც მაღაზიაში პურის ვალი გადავიხადე, ახლა მაღაზიაშიც ველარ ვიღებ ვერაფერს, იმდენი ვალი დამიგროვდა. რა გავაკეთო, სკოლაშიც ვერ ვუშვებდი ბავშვს თვეების განმავლობაში, ფეხსაცმელი რომ არ ჰქონდა. ვინმემ ხომ უნდა მოგვხედოს? სამსახური არ არის და არაფერი. პენსიონერი მე არ ვარ, რით ვიარსებო? – აცხადებს ლია სირაძე.

როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი ვასილ ხომერიკი აცხადებს, დახმარების შეწყვეტის მიზეზი საცხოვრებელი სახლის მისამართის გამოცვლა გახდა. ხომერიკის თქმით, სააგენტოს წარმომადგენლებმა, ქალბატონს განცხადების ხელახლა დაწერა შესთავაზეს, თუმცა ეს ქალბატონმა არ ისურვა. (ნიუპოსტი)

## ფოთის თეატრში ლიფტი ჩაწყდა — დაშავებულია ერთი ადამიანი



ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ლიფტი ჩაწყდა. შემთხვევის შედეგად ერთი თანამშრომელი დაშავდა.

როგორც თეატრის მმართველი თენგიზ ხუხია აცხადებს, დაშავებული სცენის მემონტაჟეა. მისივე ინფორმაციით, ის საავადმყოფოშია გადაყვანილი და შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

– მიზეზი არ ვიცი, მიმდინარეობს გამოძიება და გაირკვევა, რა მოხდა. როგორც კი გავიგე, საავადმყოფოში გამოვიქეცი. ველოდები ექიმების პასუხს, – განაცხადა თენგიზ ხუხიამ.

როგორც ხუხია აცხადებს, თეატრს რეაბილიტაცია ჩაუტარდა და ერთი წლის წინათ გაიხსნა, ამიტომ ლიფტი მოძველებული ვერ იქნებოდა. (kvira.ge)

# ISIS-ის ყოფილი მებრძოლი: „ასჯერ დაფიქრდით, სანამ „ისლამური სახელმწიფოს“ გზას დაადგებით“

ISIS-ის ყოფილი მებრძოლი, დაღესტნელი ალი ისლამოვი, რომელმაც სამშვიდობოზე გასვლა მოახერხა, მკითხველს „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში ყოფნის დეტალებს სოციალურ ქსელში აცნობს. ის ხალხს მოუწოდებს, ასჯერ დაფიქრდნენ, სანამ ISIS-ის გზას დაადგებიან. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ტექსტში სპეცსამსახურებთან ურთიერთობის თემა.

– უპირველესად, ერთხელ შესული, უკვე ვეღარასოდეს გამოხვალთ. მაშინვე გართმევენ პასპორტს და მას აღარ დაგიბრუნებენ. არადა, „ისლამური სახელმწიფოს“ ქალაქებს შორის გადაადგილება დოკუმენტების გარეშე შეუძლებელია და საშვის გარეშე რაქიდან მოსულშიც კი ვერ მოხვდებით, არათუ გახვალთ დაულიდან. ერთხელ, ჯერ კიდევ დაღესტანში ყოფნისას მათი მოწოდებები გავიგონე, „ჩამოდით, თუ არ მოგეწონებათ, შეძლებთ დაბრუნებასო“. ეს ტყუილია: ვერ შეძლებთ! მეორეც, თქვენს მიმართ დამოკიდებულება ისეთივეა, როგორც საზარბაზნე ხორცის მიმართ. ამირები თავისუფლად გიშვებენ უეჭველ და რაც მთავარია, უაზრო სიკვდილზე, მერე – სხვებს, მერე კიდევ სხვებს და ასე უსასრულოდ. გაიხსენეთ ქობანი: როდესაც ცხადი გახდა, რომ ქალაქს ველარ შევინარჩუნებდით, კიდევ დიდხანს აგზავნიდნენ იქ ჩვენი ძმების მთელ ჯგუფებს მედიისთვის რაღაც სურათის შესაქმნელად და დამარცხების მისაჩქმალად. მერე მოიგონეს, თითქოს ქობანი აღებულია. არანაირი სათანადო სამხედრო მომზადება არ წარმოებს, უფრო მეტს დარბიხარ, ან რა მომზადებაა შესაძლებელი ორ-სამ თვეში?! შედეგად არის უდიდესი მსხვერპლი. მესამე – რა ელის თქვენს ოჯახს, თუ შაჰიდი გახდებით: თქვენს ცოლებს გულს შეუწუხებენ მოთხოვნებით, სხვას გაჰყვეს ცოლად, უარის შემთხვევაში კი გაასახლებენ და დააბინავებენ სადმე მისნაირ 15-20 დასთან და ბავშვთან ერთად, ძალიან მძიმე პირობებში და დაცვის გარეშე, სიცივეში და შეზღუდული საკვებით. თუ წასვლას მოინდომებს, არ გაუშვებენ. მეოთხე – რასაც ამირი ალ ბაღდადი ამბობდა, რომ საჭიროა სპეციალისტები, ყველაფერი ტყუილია: მათ სჭირდებათ არა სპეციალისტები, არამედ საზარბაზნე ხორცი. მე მინახავს ჩამოსული სხვადასხვა პროფესიის არაერთი ძმა, თუმცა ვერავის უპოვეს დანიშნულება, გარდა ექიმებისა. მეხუთე – ძმები აქ ძალიან განსხვავებულები არიან: ზოგი ძალიან საინტერესოა – არიან მალდივებიდან, შრი ლანკიდან, ავსტრალიიდან, მთელი მსოფლიოდან, თუმცა რუსულენოვნებს შორის ბევრია უვარგისი, უვიცი. შეუძლიათ, წავიდნენ შარიათის სასამართლოში და ცილი დასწამონ ძმებს პირადი შურისა და ზედმეტი ამბიციების გამო. მოსამართლეები უკვე დაიღალნენ ჩვენი გარჩევებით. ბევრია ურჯულო, თუმცა ისინი ახლა იმალებიან.

მეექვსე – დამოკიდებულება შარიათული ცოდნის მიმართ: ზოგიერთს საერთოდ არ უყვარს და ღიად გამოხატავს ცოდნის მოთხოვნისა და მომთხოვნელთა მიმართ მიუღებლობას. ყურანიდან იღებენ მხოლოდ იმას, რაც დაულის („ისლამური სახელმწიფოს“ მოქმედებას მიესადაგება. იგივე დაწვა რომ ავიღოთ, თუ ეჭვს შეიტან ამის მართებულობაში, გაგაიგივებენ ლამის თვალთმაქც მუსლიმანთან. დაულის ქცევები ბევრისთვის არგუმენტად იქცა რელიგიაში და ბევრი თვლის, რომ დაული ვერ შეცდება. მეშვიდე – ფრონტებზე არსებული რეალური მდგომარეობა: მე ინსტიტუტში სამხედრო კათედრაზე ვსწავლობდი, ამიტომ ცოტა რამ გამეგება და ვხვდები, რომ ეს დასასრულია. არის ასეთი ცნება – ტაქტიკური წარმატება და არის სტრატეგიული. ტაქტიკური წარმატება სადმე შეიძლება, იყოს – მაგალითად, ასადისტებს წააწაპნო რაიმე, მაგრამ სტრატეგიული – უკვე მხოლოდ დროის საკითხია, როდის შეწყვეტს დაული არსებობას. სინჯარი დაეცა, მოსული და რაქი გათიშულია ერთმანეთისგან და იქ სერიოზული ოპერაციები მზადდება. თურქეთთან საზღვარზე მხოლოდ ერთი შორეული მონაკვეთია, რომელიც ადვილია მოსაჭრელად. რა თქმა უნდა, მუჯაჰედები ადვილად არ დათმობენ მნიშვნელოვან ქალაქებს, თუმცა საბოლოო ჯამში, არაფერი შეიცვლება – ასევე, იყო ტიკრიტში, სადაც დიდხანს და თავგამოდებით იბრძოდნენ, თუმცა საბოლოოდ უკან დაიხიეს. ასე რომ, ვისაც წასვლა გსურთ, კარგად დაფიქრდით: გინდათ, თავი გაწიროთ რაღაც მედიასურათის წარმოსაჩენად და აგონიის გასახანგრძლივებლად? თუ საკუთარ თავზე არ ფიქრობთ, იფიქრეთ ოჯახზე მაინც! როდესაც თელ აბიადი დაეცა, ეს არაადამიანები ძალადობდნენ უბრალო თურქმენ და სირიელ ქალებზე – წარმოიდგინეთ, რას უზამენ მუჰაჯირდებს „ისლამური სახელმწიფოდან“! თქვენს შვილებზეც ხომ აგებთ პასუხს?! მერვე – ხალიფა: დაუსვით საკუთარ თავს კითხვა – როდის გამოჩნდა იგი ბოლოს? რატომ არ მოგვილოცა იდი (ყურბან ბაირამი)? აქ დადის ხმები, რომ ის უკვე დიდი ხანია, აღარ არის ცოცხალი. მეცხრე – ვის აწყობს ეს? მუსლიმანს თავი უნდა ებას მხრებზე და მას მხოლოდ ჭამისთვის იყენებდეს. დიახ, მე სისუსტე გამოვიჩინე, ისევე, როგორც ყველა ჩვენგანმა და დამიყოლიეს გამარჯვებების შესახებ ფერადი ვიდეოებით, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა აზრმა დაიწყო დაბრუნება. დაფიქრდით, თურქეთი ნატო-ს წევრია და ამერიკელების სტრატეგიული პარტნიორი; ნუთუ გაუჭირდებოდა, რეალურად გადაეკეტა საზღვარი?! ეს საკითხი ხომ რამდენიმე საჯარისო ნაწილის შეყვანით და ხარისხიანი სასაზღვრო ნაგებობის აღმართვით წყდება, ანუ, მაქსიმუმ, ერთთვიანი საქმით?! არადა, უკვე რამდენიმე წელია გასული. ესე იგი, ამას შეგნებულად არ აკეთებენ,... რატომ? იმდენი იარაღი დატოვეს მოსულში – შემთხვევით თუ სპეციალურად? რატომაა, რომ ბევრი სახელმწიფოს, მათ შორის რუსეთის სპეცსამსახურები არათუ არ უშლიან ხელს „ისლამურ სახელმწიფოში“ გამგზავრებას, არამედ შეიძლება, უბიძგებდნენ კიდეც ამისკენ? როგორ აღმოჩნდა იქ ნადირ აბუ ხალიდი? რატომ იცნობენ ძმებს, რომლებიც სტამბულში მუჰაჯირებს ხვდებიან, იცნობენ, მაგრამ განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, არ აკავებენ თურქული სპეცსამსახურები? საერთოდაც, როგორ იყო ამირი ალ ბაღდადი ამერიკული ციხის ტუსაღი, შემდეგ კი გამოვიდა და მშვიდად გახდა ამირი?! დაფიქრდით კიდევ აი, რაზე: ყოველი მუსლიმანი, რომელიც წესებს იცავს, იმ ისლამის მატარებელია, რომლითაც წინასწარმეტყველი მოვიდა. კაფირებისთვის ჩვენ ყელში ძვალივით ვართ. სწორედ ჩვენ ვართ, ალაჰის ნებით, ისლამის ღერძი, არ ვაძლევთ მათ მისი ძებნის შესაძლებლობას, მოვუწოდებთ აქიდისკენ. ამავე დროს, მათი კანონები არ იძლევა შესაძლებლობას, უბრალოდ, აიღონ და მოგვკლან – ჩვენ ხომ მათი ქვეყნების მოქალაქეები ვართ! და რომ ავიღოთ და შევქმნათ ფანტომი, ან არ შევუშალოთ ხელი, თავად გამოჩნდეს გარკვეული დროის განმავლობაში წინააღმდეგობის არგაწევით და ამდენი ხნის განმავლობაში ნანატრი იმ ხალიფატის არდაბომბვით, სადაც ყველანი გადასახლდებიან და სადაც შესაძლებელი იქნება ყველა მათგანის ერთ ადგილზე შეყრა და ჰაერიდან ამოწყვეტა? სწორედ ასე ხდება ახლა. შეხედეთ დაღესტანს: ადრე ჩვენი მეჩეთები სავსე იყო ხალხით და ისეთი ძმები, როგორებიც არიან ნადირი, აბუ ამირი, ქამილ აბუ სულთანი და სხვები, ატარებდნენ გაკვეთილებს. ხალხი მთელი ჯგუფებით შედიოდა ისლამში, მიმდინარეობდა გაკვეთილები და კაფირები პანიკაში იყვნენ, არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ. ახლა რა? ყველა წავიდა, გაკვეთილები არ ტარდება, მოწოდებები არ ჩანს, მინბარებზე (ამბიონის მსგავსი მეჩეთი) მხოლოდ „მშვიდობიანები“ არიან, როგორიცაა, მაგალითად, აბდულა აბუ ამირი და მათაც სრესენ. მშობლები მზად არიან, ხელბორკილებით მიაბან შვილები, რომ არ გაუშვან სალაფიტურ მეჩეთებში, რადგან იციან, რომ საბოლოო ჯამში, ისინი დაულში წავლენ და დაიღუპებიან. ვინ იხეირა ამით? ასევე საინტერესოა, რატომ ეკრძალებათ ცნობილ სტუდენტებს, თუ ჩავიდნენ „ისლამურ სახელმწიფოში“, „ფეისბუკ“-კონტაქტები, „ტვიტერში“ შესვლა და საკუთარი სახელით ჩანაწერების დატოვება? შედეგად ვერ ვხედავთ ვერანაირ ახალ ლექციებს. ახლა ვნახოთ, როგორ მოუწოდებენ დაულის წარმომადგენლები საკუთარ მიმართვებში მათ, ვინც ურწმუნოთა ქვეყნებშია, ააფეთქონ, მოკლან და ჩეხონ ურწმუნოები ნებისმიერი საშუალებით, განურჩევლად ყველასი და ყველაფრისა. რასთან მიგვიყვანს ეს? – მთელ მსოფლიოში ისლამისა და მუსლიმანების მიმართ გაბოროტებასთან და მათი უფლებების შეზღუდვასთან. ვის აწყობს ეს? – კაფირებს. პლუს ამას, მორიგი მუსლიმანები დევნის გამო დაადგებიან „ისლამური სახელმწიფოს“ გზას, სადაც მათ ნებისმიერ ხელსაყრელ მომენტში განადგურება ემუქრებათ. დიდება ალაჰს, რომ ჭრილობის გამო შევძელი წამოსვლა. იცით, რამდენი ძმაა აქ ისეთი, რომელიც მიხვდა და წამოსვლას ვერ ახერხებს? ისინი ისმენენ ბრძანებებს და ემორჩილებიან, მიდიან უცილობელ სიკვდილზე მხოლოდ იმიტომ, რომ არჩევანი აღარ აქვთ. ამიტომაც ჩავთვალე თავი ვალდებულად, გამეფრთხილებინა ყველა. ვიცი, რომ კიდევ ბევრია მოხიბლული, ისევე, როგორც მე ვიყავი ოდესღაც და ახლაც ვერაფერს გაიგებენ ჩემი ნაწერიდან, მაგრამ ვინმე შეიძლება, დაფიქრდეს და შეჩერდეს, არ გაიმეოროს სხვისი შეცდომები, – წერს ალი ისლამოვი. (accent.com.ge)








## საქართველოს საზღვართან სირიაში საბრძოლველად გამგზავრების მსურველი დააკავეს



საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის ლევან იზორიას განცხადებით, საქართველოს საზღვართან სირიაში საბრძოლველად გამგზავრების მსურველი დააკავეს. ის აზერბაიჯანის მოქალაქეა. ამის შესახებ ლევან იზორიამ განაცხადა.

– ჩვენი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე ქალაქ ბელაქანში, აზერბაიჯანში დაკავებული იქნა აზერბაიჯანის მოქალაქე, რომელიც უკანონოდ ცდილობდა საქართველოს საზღვრის გადმოკვეთას, რათა შემდეგ წასულიყო სირიაში და ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში ებრძოლა. აზერბაიჯანულმა მხარემ მყისიერი რეაგირება მოახდინა. ეს არის ერთ-ერთი ფაქტი, თუმცა მთელ რიგ ღონისძიებებზე თუ ვისაუბრებთ, რაც შეიძლება საჯაროდ გავრცელდეს, მინდა დამატებით ვთქვა, რომ ათეულობით ადამიანის შემოსვლა იქნა აღკვეთილი, მათ შორის, აფრიკული და არაბული ქვეყნებიდან, რომლებიც ტრანზიტულად ცდილობდნენ საქართველოდან თურქეთში და თურქეთიდან სირიაში გადასვლას. ჩვენ ამ შემთხვევაში ვხელმძღვანელობთ სიით (დაახლოებით 1000-ზე მეტი ადამიანი), რომელსაც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები გვაწვდიან. მათ შორის, საუბარია არა მხოლოდ აქტიურ, არამედ პოტენციურ ტერორისტებზეც, – განაცხადა ლევან იზორიამ. (ნიუპოსტი)



## ქარბორბალა ფოთში — დაზიანებულია სახლები და ელექტროგადამცემი ხაზები

ფოთში ძლიერი ქარი იყო, რომელიც რამდენიმე წუთის განმავლობაში გაგრძელდა. ქარმა საცხოვრებელ სახლებს სახურავები გადახადა. რუხაძის ქუჩაზე დაზიანებულია საცხოვრებელი კორპუსი.



ძლიერი ქარის გამო ფოთის ნაწილს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. ქარმა ელექტროგადამცემი ხაზები დააზიანა.

ზარალის ზუსტი ოდენობა უცნობია. დაზარალებულ მოსახლეობას დახმარებას ადგილობრივი ხელისუფლება დაჰპირდა. (ნიუპოსტი)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



პარიზის მასშტაბურმა ტერაქტმა თავდაყირა დააყენა მსოფლიოს უსაფრთხოება. ფაქტია, რომ მე-20 საუკუნის კანონმდებლობა ეფექტურად ვეღარ უმკლავდება 21-ე საუკუნის საფრთხეებსა და გამოწვევებს, – აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის უფროსი. საფრანგეთის პრეზიდენტი კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით გამოდის. დიდი ბრიტანეთი უსაფრთხოების ზომებს ამკაცრებს... რა ხდება ამ კუთხით ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ჯიჰადისტებისთვის ერთგვარი ჰაბია?

არის საფრთხე, საქართველოდან – 50-100 მებრძოლი...

ტერორიზმის საფრთხისგან საქართველო კი არა, სუპერსახელმწიფოებიც კი არ არიან დაცულნი, რომლებიც დღემდე თავს იწონებდნენ ყველაზე გამართული უსაფრთხოების სისტემით და ყველაზე ძლიერი სპეცსამსახურებით. ვნახეთ, რომ საფრანგეთის ნაქები სპეცსამსახურები ჩაფლავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ერაყის სპეცსამსახურებმა რამდენიმე დღით ადრე მიაწოდეს ინფორმაცია მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურებმა რამდენიმე საათით ადრე გააფრთხილეს ოფიციალური პარიზი, მოსალოდნელის შესახებ ისრაელმაც მიაწოდა ინფორმაცია, მაგრამ ფრანგული ფრთხოების უკეთესად დაცვის მიზნით.

ცნობილია, რომ მსოფლიოში დიდი ბრიტანეთი, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად ითვლება. დიდმა ბრიტანეთმა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ხუთჯერ აირიდა თავიდან მოსალოდნელი მასშტაბური ტერორისტული აქტი...

ახლა ვნახოთ, რა ხდება საქართველოში ამ კუთხით...

13 ნოემბრის მასშტაბურ ტერაქტამდე ორი დღით ადრე, 11 ნოემბერს, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ სარჩელით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს და ითხოვს იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელთა ბო ორგანიზაცია, აქედან 506 გაუქმებულია და აქტიურად მხოლოდ 17538 არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს. 3 მილიონ 600-ათასიან ქვეყანაში ასეთი რაოდენობის არასამთავრობო ორგანიზაციები, წესით, კრიტიკის ობიექტი უნდა გამხდარიყო.

სამი წლის განმავლობაში ხელისუფლების მხრიდან დრო და დრო ვისმენთ შეძახილებს და საყვედურებს მათ მიმართ, რამდენჯერმე ბიძინა ივანიშვილმა დააყენა საკითხი, რომ შეისწავლიდა არასამთავრობოების საქმიანობას და მან მხოლოდ რამდენიმე ტრაფარეტული არასამთავრობო ორგანიზაცია ჩამოთვალა. ალბათ, ბიძინა ივანიშვილმა არ იცის, რომ იმ ხუთი არასამთავრობოს გარდა, ქვეყანაში არსებობს კიდევ 17 ათასზე მეტი იღებენ დახმარებას. ალბათ, დროა, საქართველოს სპეცსამსახურები დაინტერესდნენ, ვინ დგას კონკრეტული არასამთავრობო თუ საგანმანათლებლო ორგანიზაციის უკან, ვინაიდან ისლამური სახელმწიფო, არ არის მხოლოდ ტერორისტული ქსელი, მათ აქვთ ჩამოყალიბებული იდეოლოგია, დიდი ფული და ყველა ის სახელმწიფო ატრიბუტიკა, რომლითაც სხვა ქვეყნების მოსახლეობაზე ახდენენ ზეგავლენას.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები თანხმდებიან, რომ ზედმეტმა ტოლერანტულობამ და გახსნილობამ დააყენა ის შედეგი, რაც დააყენა და ვეკითხები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ვინ მოგცათ იმის უფლება, სახელმწიფო უსაფრთხოებას გადააბი-

# რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს საქართველოს უსაფრთხოების კანონმდებლობაში



**„დღეს ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველოს სპეცსამსახურებს დაფინანსება უნდა გაუორმაგდეთ და ეს წინადადება „თავისუფალმა დემოკრატებმა“ დააყენეს. ეს არის დემაგოგია, რადგან, თუკი შეზღუდული კანონით იმოქმედებენ, მათ არაფერში სჭირდებათ გაორმაგებული ფინანსები“**

რადიკალმა ისლამისტურმა დაჯგუფებებმა საქართველოს დერეფანი გამოიყენონ სირიასთან, თურქეთთან, რუსეთთან და ევროპასთან დასაკავშირებლად. „ისლამურმა ხალიფატმა“ თავდაყირა დააყენა მსოფლიო და თუკი საქართველო ცივილიზებულ სამყაროს ფეხს არ აუწყობს, არ დახვეწს უსაფრთხოების კანონმდებლობას, მარტო იმის მოთხოვნა, რომ ამ სამსახურს სჭირდება დაფინანსების გაზრდა, არაფერს ნიშნავს, თუკი ფინანსები და კანონმდებლობა შესაბამისობაში არ მოვა. შეიძლება ითქვას, რომ ისლამური სახელმწიფო ყურისძირშია და ჩვენ ცეცხლის რკალში ვიმყოფებით. ისლამურ ხალიფატში 40 ათასი აქტიური მებრძოლი იბრძვის და მათ ჰყავთ 100 ათასი რეზერვისტი. ისლამურ ხალიფატში საბრძოლველად წასულია საფრანგეთიდან – 1200, დიდი ბრიტანეთიდან – 600, გერმანიიდან – 600, ბელგიიდან – 440, დანიიდან – 150, შვედეთიდან – 180, აზერბაიჯანიდან – 400, რუსეთის ფედერაციიდან – 4000, სპეცსამსახურები მაინც უძლური აღმოჩნდა ამ სისხლიანი გამოწვევის წინაშე. ამიტომაც, დიდმა ბრიტანეთმა კანონპროექტი შეიმუშავა საგამოძიებო უფლებამოსილების გაზრდის შესახებ. პროექტის მიხედვით, პროვაიდერები ვალდებულები ხდებიან, ინტერნეტმომხმარებელთა ვებისტორიები ერთი წლის მანძილზე შეინახონ. ასევე, რეგულაციები შეეხება „Whats app“ „i Messenger“ (დაშიფრული მესიჯების სერვისებს), კანონი ასევე ითვალისწინებს, როდის შეუძლიათ სპეცსამსახურებს კომუნიკაციების მიყურადება და ჩაწერა. ამავე პროექტის მიხედვით, როდესაც საფრთხეშია ადამიანის სიცოცხლე, არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, შესაძლებელია, მიყურადება განხორციელდეს მოსამართლის ნებართვის გარეშე 5 დღის განმავლობაში. ბრიტანეთის უსაფრთხოების სამსახურების ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე მათი უფლებამოსილებები მოდერნიზებას საჭიროებს ქვეყნის უსასაფუძველზეც შესაძლებელია, რომ კონტრდაზვერვის საქმიანობის ფარგლებში მოსამართლის ნებართვის გარეშე განხორციელდეს ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, ფარული კინო და ფოტოგადაღება. სატელევიზიო კამერებისა და სხვა ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება, აგრეთვე, ელექტრონული თვალთვალი ერთი მონაწილის წერილობითი თანხმობით.

საკონსტიტუციო სასამართლოც და ეს არასამთავრობოც, ალბათ, თავის საქმეს მიხედავენ, მაგრამ უკვე დიდი ხანია დროა, შესაბამისმა სამსახურებმა შეისწავლონ ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელიც არ არის გამჭვირვალე და არ ვიცით, რა ინტერესებს ატარებს ქვეყანაში. შეიძლება ბევრი მათგანი ემსახურება არა ქვეყნის ინტერესებს, არამედ ხშირ შემთხვევაში ატარებენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესს. საქართველოში, 2013 წლის მონაცემებით, რეგისტრირებულია 18044 არასამთავროასეთი ორგანიზაცია, რომელიც მინიმუმ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. მრავალმილიონიან საფრანგეთში მოქმედებს 500-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია და საქართველოსგან განსხვავებით, ისინი მხოლოდ იმ მიმართულებებს იკვლევენ, რაშიც დასაქმებულნი არიან და წლის ბოლოს სპეციალურ მოხსენებას აქვეყნებენ, მათ შორის, ხარჯების შესახებაც.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კატეგორიულად აკრძალა არაბული და ისლამური სახელმწიფოების მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები და სავალდებულოა, იქ მოქმედმა არასამთავრობოებმა დაასაბუთონ ფულის წარმომავლობა, ისინი ჩვეულებრივ საგადასახადო რეჟიმის პირობებში იმყოფებიან და გასაჯაროებულია ინფორმაცია, ვინ დგას მათ უკან და რა ფულით საზრდოობენ. საქართველოში, განსხვავებით პოლიტიკური პარტიებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის სავალდებულო არ არის, გაასაჯარონ, საიდან, რომელი ქვეყნიდან ჯოთ და თქვენი მერკანტილური ინტერესები დაიკმაყოფილოთ? ზუსტადაც, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა უნდა იმოქმედოს თავისი ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.

მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლა მიმართულებას იცვლის და ევროპული ქვეყნები საკუთარი კონსტიტუციის გადახედვაზეც ფიქრობენ და საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციები პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიან ეროვნულ უსაფრთხოებასთან. ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი ჯონ ბერნარი ვაშინგტონში საგანგებო მოხსენებით გამოვიდა, რომელიც აცხადებს, რომ პარიზის თავდასხმა მხოლოდ ერთჯერადი აქტი არ არის. ისლამური ხალიფატის მებრძოლებმა სისხლისღვრის ადგილები მონიშნეს, ეს არის ლონდონი, ვაშინგტონი, რომი, მოსკოვი... ამიტომაც შტატები ქვეყნის უს-

*გაგრძელება მე-13 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თემურ შაშიაშვილი: ჩვენს აფხაზ ძმებთან შეხვედრა მალე შედგება!



პარტია „თეთრების“ ლიდერი უახლოეს მომავალში აფხაზებთან შეხვედრას აანონსებს და კონსტიტუციაზე შესატან ცვლილებებზე საუბრობს.

– სულ მალე შედგება ძმური შეხვედრა ჩვენს აფხაზ ძმებთან და ერთი სახელმწიფოს დროშით ბრძოლა ქართულისა და აფხაზურის გადარჩენისა და გაძლიერებისთვის! – აცხადებს თემურ შაშიაშვილი.

– ჯერ კიდევ შარშან, ჩვენს თანამემამულეებთან შეხვედრების დროს, საქართველოში თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ, ჩამოყალიბდა პოზიცია, რომელიც სპეციალურ მიმართვაში საქართველოს მთავრობას გავუზიარეთ. საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი იქნას ცვლილება და კონსტიტუციურად განმტკიცდეს, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დაბადებული ყოველი ქართველი, ყოველი აფხაზი დაბადებისთანავე იურიდიულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მოქალაქედ, რადგან არც ქართველს, არც აფხაზს არასოდეს არ ჰქონია სხვა სამშობლო, გარდა საქართველოსი! – აღნიშნავს შაშიაშვილი. (რეპორტიორი)

## ჯავახიშვილის აზრით, ქვეყნის უსაფრთხოებაზე აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტზე ეფექტურად იმსჯელებს



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ნოდარ ჯავახიშვილის განცხადებით, ქვეყნის უსაფრთხოებაზე აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა იმსჯელოს.

– არ მიფიქრია იმაზე, კრიზისების საბჭო უფრო გადაწყვეტს ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემას, თუ უშიშროების საბჭო. პრინციპული არ არის, რომელ სტრუქტურაში იქნება ეს. მთავარია, ვის რისი გაკეთება შეუძლია. ვფიქრობ და ამაზე მსჯელობა საფრანგეთის ელჩთანაც მქონდა, რომ ტერორისტულ აქტებთან ბრძოლას მსოფლიომ ცოტა სხვა კუთხითაც უნდა შეხედოს. ძალისმიერი მეთოდით ამ პრობლემის მოგვარებას აზრი არ აქვს, – განაცხადა ჯავახიშვილმა.

კითხვაზე, უკეთესი ხომ არ იქნება, რომ პრეზიდენტის ხელმძღვანელობით მოხდეს ამ საკითხებზე მსჯელობა, თუ კრიზისების საბჭო უფროა კომპეტენტური ამაში, ჯავახიშვილი აცხადებს, რომ პრობლემებზე აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა იმსჯელოს.

– ვფიქრობ, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურობით უნდა მოხდეს ამ პრობლემებზე მსჯელობა, რადგან გადაწყვეტილების მიღება და პასუხისმგებლობა სწორედ აღმასრულებელ ხელისუფლებას აქვს, – განაცხადა ჯავახიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს სხდომა 18 ნოემბრისთვის დანიშნა. ნოემბერში დანიშნულია, ასევე, უშიშროების საბჭოს სხდომაც. (kvira.ge)

# რას ეძებდნენ ნაცისტები აფხაზეთში? — იალბუზზე გაყინული რაზმის საიდუმლო

მკვლევარები იალბუზის მისადგომებში ზვავში მოყოლილი ვერმახტის ჯარისკაცების საიდუმლოს ამოხსნას ცდილობენ. ისტორიკოს ვიქტორ კოტლიაროვს ორმა ბალყარელმა ახალგაზრდამ მიმართა, ზუსტად მათ აღმოაჩინეს თოვლის ტყვეობაში მოქცეული გერმანელთა რაზმი. 70 წლის მანძილზე თოვლი ყინულად იქცა – ასეთ პირობებში გვამები იმდენად კარგად შეინახა, რომ არამხოლოდ სამოსი და სამკერდე ნიშნები, სახის ნაკვთებიც იკვეთება. ჯარისკაცები თოვლში ასობით მეტრის დაშორებით, მეტწილად ჯგუფებად არიან მოყოლილები. ფორმის ტანსაცმლის მიხედვით, ეს ალპური სამთო მეტყევები არიან, რომლებიც 1942 წლის ზამთარში დაიღუპნენ. გაძარცვის თავიდან აცილების მიზნით, სენსაციური აღმოჩენის ზუსტი ადგილი გასაიდუმლოებულია.



საქმეში გერმანელი მოხალისეები ჩაერთვნენ, რომლებსაც ქვეყნის არქივებთან აქვთ წვდომა. თუმცა ჯერჯერობით საბუთების მოპოვება ვერ ხერხდება, რომლებიც ამ საიდუმლო რაზმის ისტორიას ნათელს მოჰფენდა. საჭიროა ვერმახტისთვის გაგზავნილი პატაკების მონახვა, რომლებიც, მეტწილად აშშ-ს არქივებშია დაცული. მეცნიერი იმედოვნებს, რომ დაღუპულ ჯარისკაცებს პირადი საბუთები აღმოაჩნდებათ და ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.

„უგზო-უკვლოდ დაკარგული გერმანელების ასეთი დიდი ჯგუფის შესახებ ინფორმაცია აუცილებლად უნდა არსებობდეს. სავარაუდოდ, ეს ცნობები გასაიდუმლოებულია, მით უმეტეს, რომ დაღუპული ჯარისკაცები, სავარაუდოდ, ფაშისტური რეჟიმის მისტიკური საზოგადოება „ანენერბეს“ წევრები იყვნენ. – განმარტავს კოტლიაროვი. – დაღუპულ ჯარისკაცთა გვამების მდებარეობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი აფხაზეთიდან ბრუნდებოდნენ და უღელტეხილი გადმოიარეს. ჩნდება კითხვა – რას აკეთებდნენ აფხაზეთში? ცნობილი ფაქტია, რომ „ანენერბეს“ წევრები კავკასიაში საკრალური ცოდნის მოპოვებას ცდილობდნენ. შესაძლოა, მათი მარშრუტი რიწის ტბასთან იყო დაკავშირებული – გერმანელებმა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე დაადგინეს, რომ რიწის ტბასთან ახლომდებარე წყაროს წყლის შემადგენლობა იდეალურია ადამიანური სისხლის პლაზმის შესაქმნელად. ხელოვნური პლაზმა გერმანელებს „ჭეშმარიტი არიელი ბავშვების“ აღზრდისთვის სჭირდებოდათ. გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ყაბარდო-ბალყარეთს ძალიან ბევრი გერმანელი ტურისტი სტუმრობდა. საბჭოთა კავშირში ისინი „კომკავშირული“ საგზურებით ჩამოდიოდნენ. მათი უმრავლესობა სამთო ტურიზმის მოყვარული იყო. შემდგომმა მოვლენებმა კი ცხადყო, რომ ისინი პროფესიონალი მზვერავებიც იყვნენ – მრავალი მათგანი ომის დროს აქ სამთო რაზმების შემადგენლობაში დაბრუნდა. გერმანელმა „ტურისტებმა“ იმდენად ზუსტი რუკები შეადგინეს, რომ ზოგიერთ მათგანს დღემდე გამოიყენებენ.

1942 წლის ოქტომბერში ბაქსანის ხეობის სოფელ ზაიუკოვოში გერმანული დივიზიის „მგლის ხახას“ სამი მანქანა შევიდა და როგორც ადგილობრივი მოსახლეობა მოწმობს, მანქანებში, სავარაუდოდ, საბურღი აღჭურვილობა იყო. გერმანელები მანქანებით დილაადრიან ზემო ხეობაში ადიოდნენ და მხოლოდ საღამოს ბრუნდებოდნენ. უცნაური ფაქტია: იმ დროს, როდესაც რაიონში სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა, გერმანელები ამ ხეობაში რაღაცას ბურღავდნენ და ეძებდნენ.

იალბუზის ჩრდილოეთ ფერდობებთან არის ადგილი, რომელსაც „გერმანულ აეროდრომს“ უწოდებენ. აქ ერთ-ერთი გერმანული ქვედანაყოფის კარვების ბანაკი იყო გაშლილი. ადგილობრივები ყვებიან, რომ აქ სურსათის დიდი საწყობიც იყო. მწყემსები იხსენებენ, რომ ამ ადგილას რამდენიმეჯერ გერმანული თვითმფრინავი დაშვებულა, ხოლო ერთხელ გერმანელებმა ტიბეტელი ლამებიც ჩამოიყვანეს, ისინი ლოცვებს კითხულობდნენ, სეანსებს ატარებდნენ, მაგრამ მოგვიანებით გერმანელებმა ისინი დახვრიტეს.

ალპინისტები, რომლებიც გერმანელების შემდეგ ლაშქრობდნენ, ყვებოდნენ, რომ ვერმახტის ჯარისკაცებმა აქ მაღალი ენერგეტიკის მქონე საიდუმლო ადგილს მიაგნეს და ოკულტური ლაბორატორია მოაწყვეს. ზუსტად ამიტომ ჩამოიყვანეს ტიბეტელი ლამები, რომლებიც ლაბორატორიაში მედიტაციურ სეანსებს ატარებდნენ. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, მედიტაციისას (ამ დროს სტალინგრადში გადამწყვეტი ბრძოლები მიმდინარეობდა) ლამებმა არა ჰიტლერის გამარჯვება, არამედ ბერლინის დაცემა განჭვრიტეს, რის გამოც ნაცისტებმა ტიბეტელები დახვრიტეს და საიდუმლო რიტუალით დაკრძალეს.

ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება იალბუზის მისადგომებში ადგილობრივ მწყემსებსაც არ უშვებდა, დროთა განმავლობაში კი აკრძალვები ნელ-ნელა მოიხსნა. ერთ-ერთი ექსპედიციის მონაწილეებმა ზემო ბაქსანის ხეობებით უღელტეხილი გადაიარეს და კალიცკის სახელობის პიკთან, ე.წ. დაკარგულ სამყაროში აღმოჩნდნენ. პიკის ერთ-ერთი წვერო აშკარად ხელოვნური წარმოშობის იყო – პირველივე შეხედვით გეგონებოდა, თითქოს ქვის ადამიანი გადაშლილ წიგნს კითხულობს. ალპინისტებმა საკურთხეველი და სამსხვერპლოც აღმოაჩინეს, ასევე, აშკარად ხელოვნურად შექმნილი, მუზარადიანი მეომრების ფორმის რამდენიმე სვეტი.

სავარაუდოდ, „ანენერბეს“ წევრები საკრალური მთის – შამბალას ერთ-ერთ შესასვლელს ეძებდნენ. ბუდისტური რელიგიის მიხედვით, შამბალა მისტიკური ადგილია, მასში მოხვედრის დროს ადამიანი ზებუნებრივ ძალებს იძენს. მიიჩნევენ, რომ ამ მთაში მთავარი შესასვლელი ტიბეტზე მდებარეობს, ხოლო რამდენიმე გვერდითი შესასვლელი – მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ზოგიერთი ეზოთერიკოსის აზრით, ერთ-ერთი მათგანი ზუსტად იალბუზზეა, რომელსაც „არიელების მთასაც“ უწოდებენ.

აღმოჩენილი მღვიმე შამბალაში შესასვლელი თუ არა, საკრალური დანიშნულების ადგილი ნამდვილად არის. სავარაუდოდ, ეს ცოდნის დარბაზია, რომელშიც კაცობრიობის ყველაზე ფასეული ინფორმაცია ინახება, კერძოდ, ცნობები სამყაროს მოწყობის, ასტრონომიისა და ძველებური მაღალი ტექნოლოგიების შესახებ.

(ipress.ge)



# რამდენი დახარჯა შსს-მ რესტორნებში და საჩუქრებზე?

შსს-ს ცენტრალური აპარატის მიერ 2013-2014 წლებში გაწეულია 2,9 მილიონი ლარის წარმომადგენლობითი ხარჯი, თუმცა, აუდიტის ანგარიშის მიხედვით, ხარჯების გაწევისას ზოგიერთ შემთხვევებში გაურკვეველია სტუმრების ვინაობა და რაოდენობა. აუდიტის დასკვნით, მთელი რიგი შეუსაბამობებია სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვებისა თუ სხვა საქმიანობის დროსაც.

2013 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ „წარმომადგენლობითი ხარჯების“ ქვემუხლით, გაწეულია 1 მილიონ 859 ათას 700 ლარის ხარჯი, ხოლო 2014 წლის განმავლობაში – 1 მილიონ 82 ათას 200 ლარის ხარჯი. თუმცა ამ ხარჯების გაწევისას „ზოგიერთ შემთხვევებში გაურკვეველია სტუმრების ვინაობა და რაოდენობა“. – აღნიშნულია აუდიტის ანგარიშში, სადაც რამდენიმე მაგალითია მოყვანილი:

2014 წლის 8 მაისს ქ. ბათუმში გაიმართა ვახშამი, რისთვისაც შპს „აჭარულ-ლაზურისთვის“ გადახდილია 3,6 ათასი ლარი; ასევე, ქ. ბათუმში, 2014 წლის 30 მაისს, პოლიციელის დღის აღსანიშნავად გაიმართა დაჯილდოების ცერემონია და ვახშამი მოწვეული სტუმრებისთვის. ვახშამი გაიმართა სასტუმრო „შერატონში“ 400 პერსონაზე, რისთვისაც სს „ნუროლ ინშაატ ვე თიჯარეთისთვის“ გადახდილია 55,6 ათასი ლარი. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, წარმოდგენილი დოკუმენტებით, არ ფიქსირდება, ვინ და რამდენი პირი იმყოფებოდა სტუმრის რანგში.

2014 წლის 11 მარტს გაიმართა ვახშამი 20 პირზე რესტორანში „მცხეთის დარბაზი“, რისთვისაც შპს „გუჯარისთვის“ გადახდილია 4,5 ათასი ლარი. სტუმრების რანგში იმყოფებოდნენ ბელორუსის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს დელეგაცია (5 პირი). ამავე დღეს რესტორან „კოპალაში“ გაიმართა ვახშამი 20 პირზე იმავე ბელორუსი სტუმრების გასამასპინძლებლად, რისთვისაც შპს „კოპალასთვის“ გადახდილია 3,7 ათასი ლარი. მეორე დღეს (2014 წლის 12 მარტს) რესტორან „ფუნიკულიორში“ გაიმართა ვახშამი 20 პირზე იმავე ბელორუსი სტუმრების გასამასპინძლებლად, რისთვისაც შპს „ჯი-ემ-თი მთაწმინდისთვის“ გადახდილია 8,2 ათასი ლარი; 2014 წლის 24 აპრილს რესტორან „ფუნიკულიორში“ გაიმართა ვახშამი 25 პირზე ისრაელიდან სტუმრად მყოფი პირების გასამასპინძლებლად, რისთვისაც შპს „ჯი-ემ-თი მთაწმინდისთვის“ გადახდილია 9,5 ათასი ლარი;




2014 წლის 4 სექტემბერს ქ. მცხეთაში რესტორან მუზეუმ „გუჯარში“ გაიმართა ვახშამი 15 პერსონაზე უკრაინული დელეგაციის გასამასპინძლებლად, რისთვისაც შპს „რესტორან მუზეუმ გუჯარისთვის“ გადახდილია 5,2 ათასი ლარი; 2014 წლის 29 ნოემბერს ქ. მცხეთაში, რესტორან მუზეუმ „გუჯარში“ გაიმართა ვახშამი 14 პერსონაზე უკრაინული დელეგაციის გასამასპინძლებლად, რისთვისაც შპს „რესტორან მუზეუმ გუჯარისთვის“ გადახდილია 7 ათასი ლარი;

2013 წლის 2 იანვარს რესტორან „სენატში“ გაიმართა ვახშამი, რისთვისაც შპს „სენატისთვის“ გადახდილია 15,5 ათასი ლარი. წარმოდგენილ დოკუმენტებში დაფიქსირებული არ არის სტუმრების ვინაობა და რაოდენობა; ანალოგიურად, 2013 წლის 19 აპრილს რესტორან „სენატში“ გაიმართა ვახშამი 50 კაცზე, რისთვისაც შპს „სენატისთვის“ გადახდილია 9,8 ათასი ლარი. დაფიქსირებული არ არის სტუმრების ვინაობა და ხარჯის გაწევის აუცილებლობა.

2013 წლის 1-ელ აგვისტოს რესტორან „ფუნიკულიორში“ გაიმართა ვახშამი აზერბაიჯანელი სტუმრების პატივსაცემად, რისთვისაც შპს „ჯი-ემ-თი მთაწმინდისთვის“ გადახდილია 22,9 ათასი ლარი. უცნობია, რამდენი პირი ესწრებოდა ვახშამს და მათ შორის რამდენი იყო სტუმარი; იმავე დღეს რესტორან „კოპალაში“ გაიმართა ვახშამი ასევე აზერბაიჯანელი სტუმრების პატივსაცემად, რისთვისაც შპს „კოპალასთვის“ გადახდილია 9,7 ათასი ლარი. მიღება-ჩაბარების აქტიდან ირკვევა, რომ ვახშამი გაიმართა 45 პირზე. დაფიქსირებული არ არის, რამდენი იყო სტუმარი; ხოლო 8 აგვისტოს იმავე რესტორან „კოპალაში“ გაიმართა ვახშამი სომხეთიდან ვიზიტად მყოფი სტუმრების პატივსაცემად, რისთვისაც შპს „კოპალასთვის“ გადახდილია 9,6 ათასი ლარი. მიღება-ჩაბარების აქტიდან ირკვევა, რომ ვახშამი გაიმართა 40 პირზე. გაურკვეველია, აქედან რამდენი იყო სტუმარი; ანალოგიურად, 2013 წლის 9 აგვისტოს რესტორან „ფუნიკულიორში“ გაიმართა ვახშამი ისევ აზერბაიჯანელი სტუმრების პატივსაცემად, რისთვისაც შპს „ჯი-ემ-თი მთაწმინდისთვის“ გადახდილია 16,3 ათასი ლარი. ასევე, უცნობია, რამდენი პირი ესწრებოდა ვახშამს და მათ შორის რამდენი იყო სტუმარი;

2013 წლის 31 დეკემბრიდან 2014 წლის 3 იანვრამდე პერიოდში შსს-ს დელეგაცია ვიზიტით იმყოფებოდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. ქ. ანაკლიაში სასტუმროში განთავსებისთვის შპს „ლაზისთვის“ გადახდილია 3,8 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გაირკვა, რომ დაქირავებული იყო სასტუმროს 19 ნომერი ერთი დღე-ღამით, თუმცა გაურკვეველია, ვინ და რამდენმა პირმა იცხოვრა სასტუმროში. ვიზიტთან დაკავშირებით გაიმართა, ასევე, ვახშამი 62 პირზე, რისთვისაც იმავე შპს „ლაზისთვის“ გადახდილია 7,4 ათასი ლარი. დაფიქსირებული არ არის, ვინ ესწრებოდა ვახშამს და რა აუცილებლობით იყო გამოწვეული მისი გამართვა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შსს-ს ცენტრალური აპარატის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში ახლახან გამოაქვეყნა. ზემოაღნიშნულის გარდა, სამსახურმა გამოავლინა მთელი რიგი შეუსაბამობები. მაგალითად, ბინის ქირაზე სამინისტროს 2013 წლის განმავლობაში გაწეული აქვს 138,9 ათასი ლარის, ხოლო 2014 წლის განმავლობაში 287,6 ათასი ლარის ხარჯი. აღნიშნული ხარჯები გაწეულია სამინისტროს ბრძანებების საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც სამინისტროს თანამშრომლებს დაუქირავდათ საცხოვრებელი ბინები. აუდიტის დასკვნის მიხედვით, დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის მომსახურების მიწოდებისას, ასევე, საცხოვრებლის სარგებლობაში გადაცემისას, საიჯარო ქირის წლიური საბაზრო ღირებულება განეკუთვნება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით. სამინისტროს მიერ აღნიშნული გადასახადის ბიუჯეტის ხარჯებში გათვალისწინების შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი გადაუხდელი საშემოსავლო გადასახადის თანხა შეადგენს 106,5 ათას ლარს.

ანალოგიურად, 296,3 ათასი ლარი არ არის გადახდილი ბიუჯეტში, მინისტრის 2013 წლის 22 ნოემბრის ბრძანების შესრულების შედეგად, რომლითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეები, მათ შორის შტატგარეშეები, დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახის წევრები და შპს „სუფთა სამყაროს“ თანამშრომლები, რომლებიც ემსახურებიან სამინისტროს, დაჯილდოებული იქნენ საახალწლო ფასიანი საჩუქრებით (აღნიშნული ღონისძიების განხორციელების მიზნით სამინისტრომ გააფორმა ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვებზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შპს „გუდვილთან“ – 877,2 ათას ლარზე; შპს „ბადაგონთან“ – 134,2 ათას ლარზე; სს „ბაგრატიონი 1882“-თან – 174 ათას ლარზე)“.

(netgazeti.ge)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

აფრთხოებასთან დაკავშირებით სტრატეგიის შეცვლის აუცილებლობაზე საუბრობს, ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ უნდა მოხდეს საკანონმდებლო შეზღუდვების გადახედვა უსაფრთხოების მუშაობასთან დაკავშირებით:

**„არსებობს უამრავი საშუალება, რომელიც როგორც ტექნიკურად, ასევე კანონის თვალსაზრისით ართულებს დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურების შესაძლებლობას. დროა, გავარკვიოთ, განსაკუთრებით ევროპისთვის, ასევე ამერიკისთვის, ნებით თუ უნებლიეთ, ხომ არ შეიქმნა ერთგვარი ნაპრალი დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურების შესაძლებლობებში, დაიცვან ხალხი. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში იყო გარკვეული ინფორმაციის უკანონო გამჟღავნების ფაქტები, იყო გარკვეული პოლიტიკა, კანონით დაწესებული თუ სხვა ქმედებები, რომლებმაც უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა ჩვენი შესაძლებლობა, გამოეაშკარავებინა ტერორისტები. იმედი მაქვს, რომ ეს იქნება განგაშის ზარი, განსაკუთრებით ევროპაში, სადაც, ჩემი აზრით, არასწორი წარმოდგენა იყო იმ საქმიანობაზე, რომელსაც დაზვერვის სამსახურები ეწევიან. ჩვენ უნდა ვახდენდეთ ინფორმაციის უფრო მეტ გაცვლას, თუმცა პროგრამული, ტექნიკური და იურიდიული საკითხები ამ პროცესს აფერხებს. ასევე, უნდა აღინიშნოს კონფიდენციალობის თემა და მთავრობის როლი ამ პროცესში, კონგრესი უკანასკნელი წლების განმავლობაში უშედეგოდ ეცადა კანონების მიღებას, რომლებიც შემხებლობაში მოვიდოდა კიბერკანონმდებლობასთან ინფორმაციის გავრცელების კონტექსტში. ფაქტია, რომ მე-20 საუკუნის კანონმდებლობა ეფექტურად ვერ უმკლავდება 21-ე საუკუნის კანონებს... იმედი მაქვს, რომ ამერიკა მოკავშირეებთან ერთად შეჯერდება ყოვლისმომცველ იურიდიულ და საექსპლოატაციო მიდგომაზე არსებულ საფრთხეებთან მიმართებაში, რომელიც, თავის მხრივ, ინტეგრირებული იქნება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებში და დაიცავს ეროვნულ უსაფრთხოებას....“**

სუპერსახელმწიფოები მიდგომებს, კანონებსა და კონსტიტუციასაც კი ცვლიან ხალხის ტერორიზმისგან დასაცავად და თუკი ამ ჯაჭვიდან საქართველო ამოვარდება, ჩვენ ვიქნებით ყველაზე დაუცველები. ამიტომ დროა, უსაფრთხოების სამსახურმა კანონმდებლობას გადახედოს და სინთეზში მოიყვანოს ბრიტანეთის, ამერიკის, ისრაელის, გერმანიის კანონმდებლობასთან. ქართველ სპეცსამსახურებს ძალიან ბევრი მუშაობა დასჭირდებათ იმისთვის, რომ გამოავლინონ ტერორიზმის ბუდეები... არადა, მიხეილ სააკაშვილმა „ოცნების“ ხელისუფლებას ბევრი ნაღმი დაუტოვა.

„ალია“ წერდა, რომ საქართველოში რელიგიური კონფლიქტური კერების გასაღვივებლად, სხვადასხვა ისლამისტური ჯგუფები და კონკრეტული ადამიანები იღვწიან. მათ შორის მიხეილ სააკაშვილის დედის გიული ალასანიას უახლოესი მეგობარი, თურქი ბიზნესმენი ჰეთჰულაჰ გიულენიც გახლავთ, რომელიც ერთ-ერთი ისლამისტური დაჯგუფების „ნურჯულარის“ დამფინანსებლად სახელდება. გიულენის თხოვნით სააკაშვილმა „ნურჯულარის“ წევრებს, თურქეთისა და არაბული ქვეყნების მოქალაქეებს, საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა დიდი ფულის სანაცვლოდ, იმისთვის, რომ მათ საკუთარი შავბნელი საქმეები ეკეთებინათ და საქართველოში თავისუფლად გადაადგილებულიყვნენ. მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტობის ბოლო ვადაში 3200 ექსტრემისტს, და გაურკვეველი წარმომავლობის უცხოელს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. ამიტომაც კაცმა არ იცის, მისი დადებული ნაღმი როდის აფეთქდება და მათი ხელით რა ტერორისტული აქტები განხორციელდება.

# რაზე ესაუბრა მამუკა არეშიძე გერმანიაში საფრანგეთის სპეცსამსახურებს?



**ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე „ალიასთან“ ინტერვიუში აცხადებს:**

– გასათვალისწინებელია დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის პოზიციები, რომლებიც ცვლიან კანონმდებლობას საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვის მიზნით. მე კარგად არ ვიცნობ საქართველოს კანონმდებლობას ამ თვალსაზრისით, მაგრამ, თუკი საქართველოს სპეცსამსახურებს ამ კუთხით რაიმე პრობლემა აქვთ, ისინი ამ ფერხულში უნდა ჩაებან და კანონმდებლობაში 21-ე საუკუნის გამოწვევების შესაბამისი ცვლილებები უნდა განახორციელონ. დასავლეთის სპეცსამსახურებს, ჩანს, რომ გარღვევა ჰქონდეთ და მე შემიძლია საფრანგეთის სპეცსამსახურების მაგალითით ვიმსჯელო, გერმანიაში შეხვედრა მქონდა საფრანგეთის სპეცსამსახურის წარმომადგენლებთან და მათ მითხრეს, ჩვენ ვართ შეზღუდულები და ხელფეხშეკრულებიც პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან, რადგან ისინი წინ აყენებენ ადამიანის უფლებებს და ისეთ საკითხს, როგორიც არის ტოლერანტობა, მულტიკულტურული თემები და ა.შ. მე ვთვლი, ეს არის ფსევდოფასეულობები, თან იმ ფორმით, როგორც დღეს დასავლეთშია მიღებული, ხშირ შემთხვევაში, ასეთი ფასეულობების მხარდაჭერა ქვეყნის ლიდერების მხრიდან ხდება მათივე ქვეყნის საზიანოდ. ეს მითხრა საფრანგეთის სპეცსამსახურების წარმომადგენელმა. მათ ხშირ შემთხვევაში იციან, ვინ არის ისლამური ხალიფატის წევრი, მაგრამ კანონმდებლობით შეზღუდულები არიან და ვერ მოქმედებენ, მე ვფიქრობ, დაგვიანებულიცაა უსაფრთხოების კუთხით კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელებაზე ფიქრის დაწყება.

**— ბატონო მამუკა, ჩვენთან ინტერვიუში მუდმივად აცხადებდით, განგაშის ზარებს რეკდით, რომ პანკისზე ცუდი მდგომარეობაა ქვემო ქართლში, გახსნილია ძალიან ბევრი საეჭვო დაწესებულება, რომელიც მოქმედებს, არასამთავრობო, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ორგანიზაციების საფარქვეშ. ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს ჰყავს ძალიან ძლიერი სპეცსამსახურები, რომლებიც გეგმავენ და ახორციელებენ ტერორისტულ აქტებს და უდიდეს იდეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებენ. ისინი კარგად ფლობენ ინტერნეტს. თქვენი აზრით, რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს საქართველოს უსაფრთხოების კანონმდებლობაში და როგორი იქნება არასამთავრობოების რეაქცია, თუკი ბრიტანეთის მსგავსად სუს-ი განაცხადებს, რომ ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, 5 დღის მანძილზე საეჭვო პირს მოვუსმინოთ, ვუთვალთვალოთ სასამართლოს სანქციის გარეშეო.**

– სანქციის გარეშე მოსმენამ მიჩვევა იცის, თუმცა ექსტრემალურ ვითარებაში კონკრეტულ პირებზე უზენაესი ხელისუფლება მიიღებს არგუმენტად, მათზე შესაძლებელია უფრო მოქნილი იყოს კანონმდებლობა. მკითხველი, ალბათ, ხვდება, რა ტიპის პიროვნებებსა და ორგანიზაციებს ვგულისხმობ. სულ მცირე ორგანიზაციებიც და პიროვნებებიც, ვისაც უსაფრთხოების სამსახური საეჭვოდ მიიჩნევს, ეს საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის ხელმძღვანელობასთან. ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლებამ დღეს უნდა შექმნას განსაკუთრებული საბჭო კრიზისების მართვის, ის კი არა, რომელიც დღეს გვაქვს, არამედ უფრო წარმომადგენლობითი, რომელიც ამ ექსტრემალურ სიტუაციაში ფეხს აუბამს იმ გამოწვევებს, რაც ჩვენს პარტნიორებთან ხდება და ასევე ჩვენს მოწინააღმდეგეებთან, მაგალითად, ვგულისხმობ რუსეთს, სადაც უფრო ღრმად წავიდა სპეცსამსახურები ისლამისტური საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც სუპერსახელმწიფოები და მათი მოკავშირეები მოქმედებენ, არ არსებობს, ამას არეგულირებს თითოეული ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც ხედავთ, რომ 21-ე საუკუნის გამოწვევებს არ პასუხობს. აქ მხოლოდ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში არ არის საქმე, საქმე გახლავთ ტერორიზმის პრევენციაშიც.

მაგალითად, დღეს ახალგაზრდები საეჭვო სასწავლებლებში მიდიან ისლამურ ქვეყნებში, იმისთვის, რომ ქვეყნიდან მათი გადინება არ მოხდეს, აქ უნდა იყოს გახსნილი შესაბამისი სასწავლებლები. სხვათა შორის, ძალიან კარგი გამოცდილება აქვს ავსტრალიას მუდმივმოქმედი ანტიტერორისტული საბჭოს კუთხით, სადაც გაერთიანებული არიან არა მარტო სპეცსამსახურები, არამედ ხელისუფლებისა და საზოგადოების წევრები, რომლებიც განსაკუთრებული ნდობით სარგებლობენ. მათ აქვთ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა შექმნილი და ამ გეგმას ახორციელებენ. ასევე, საინტერესოა ისრაელის ანტიტერორისტული გეგმა. მოგეხსენებათ, ისრაელი მუდმივი ტერორიზმის საფრთხის ქვეშ ცხოვრობს, მათ აქვთ ბევრი მკაცრი, უხეში წესი და ვფიქრობ, ჩვენ უნდა ავიღოთ ისრაელის, ავსტრალიისა და ზოგ შემთხვევაში სხვა დიდი ქვეყნების გამოცდილება და დავნერგოთ ჩვენს ქვეყანაში.

დღეს ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველოს სპეცსამსახურებს დაფინანსება უნდა გაუორმაგდეთ და ეს წინადადება „თავისუფალმა დემოკრატებმა“ დააყენეს. ეს არის დემაგოგია, რადგან, თუკი შეზღუდული კანონით იმოქმედებენ, მათ არაფერში სჭირდებათ გაორმაგებული ფინანსები. დღეს ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, თუ საჭირო გახდა, უსაფრთხოების კანონმდებლობა კი არა, შეიძლება კონსტიტუციაც შეცვალო, მაგრამ ამისთვის სერიოზული არგუმენტებია საჭირო, რომლებიც საზოგადოებისთვისაც მისაღები და გასაგები გახდება. ძალიან ბევრი გაურკვეველი წარმომავლობის ორგანიზაცია მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე, სპეცსამსახურებმა ამ კუთხით ბევრი უნდა იმუშაონ. სხვათა შორის, ჩემს ცხოვრებაში პირველად დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ლევან იზორიას განცხადება ინტერნეტსაიტებთან დაკავშირებით იყო აბსოლუტურად სწორი. საიტების ლიკვიდაცია ყველაზე დაბალი კვალიფიკაციის ჰაკერისთვის პრობლემა არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სერიოზული ხალხი მუშაობს ინტერნეტრესურსებზე ისლამური ხალიფატის მხრიდან, ზოგ შემთხვევაში ეს საიტები საჭიროა იმისთვის, რომ თვალყური მიადევნო, ვინ არის დაკავშირებული ამ საიტებთან, ვეთანხმები იზორიას, რომ არ არის ამ საიტების დაბლოკვა საჭირო, მეტიც, დაუბრკოლებლად უნდა იმუშაონ, რათა რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია დააგროვო და სათავეზე გახვიდე. მე უბრალოდ ერთი რამ მაშინებს, ასეთი მასშტაბის ტერორისტებთან ბრძოლის გამოცდილება საქართველოს სპეცსამსახურებს არ აქვთ, ამას სჭირდება ბევრი მუშაობა, საკანონმდებლო ბაზის გასწორება, ტექნიკური აღჭურვა, რესურსის მოზიდვა და ეს ყველაფერი არის სწრაფად გასაკეთებელი საქმე.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ედუარდ შევარდნაძე-ასლან აბაშიძე — ქუცნაშვილმა და მაჭავარიანმა ერთმანეთს წარსული შეახსენეს





გადაცემა „არჩევანში“ დეპუტატებმა მიხეილ მაჭავარიანმა და ზაქარია ქუცნაშვილმა ერთმანეთს წარსული შეახსენეს.

უმრავლესობის წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა მაჭავარიანს ედუარდ შევარდნაძის მთავრობის წევრობის პერიოდი შეახსენა და მას „40-ლარიანი მინისტრი უწოდა“.

– 40-ლარიანი მინისტრი ნუ მელაპარაკები. ზუსტად 40-ლარიანი მინისტრი იყავი კორუმპირებულ სახელმწიფოსი, – განაცხადა ქუცნაშვილმა.

საპასუხოდ მაჭავარიანმა ქუცნაშვილს ასლან აბაშიძის მთავრობაში ყოფნა გაახსენა.

– შუბლის ძარღვი არ გაქვთ. მე არ ვიყავი 40-ლარიანი მინისტრი, 1000 ლარი მქონდა ხელფასი. კორუმპირებული იყავით თქვენ და ასლან აბაშიძესაც თქვენ ემსახურებოდით. შევარდნაძისგან მე რომ წამოვედი თქვენ შევარდით ბლოკში, – განაცხადა მაჭავარიანმა. (ნიუპოსტი)

## სოჭში ჩურჩხელის გამყიდველის ძეგლს დადგამენ



სოჭში, ქალაქის ცენტრალური ბაზრის წინ, ჩურჩხელის გამყიდველის ძეგლს დადგამენ. ამის შესახებ ინფორმაცია სოჭის ადმინისტრაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ძეგლის გახსნა ქალაქის დღესასწაულზე იგეგმება, რომელიც 19-21 ნოემბერს გაიმართება.

– კოლორიტული გამყიდველი გამვლელებს ცნობილ სოჭურ ჩურჩხელას შესთავაზებს. კომპოზიციას დაამშვენებს სოჭური ნობათი, ყველაფერი ის, რაც ქალაქის ბაზარში იყიდება, – განაცხადა ადმინისტრაციის უფროსმა ირინა რომანეცმა.

ჩურჩხელის გამყიდველის გარდა დღესასწაულზე დაგეგმილია რუსი მეფის ალექსანდრე I-ის ძეგლის გახსნა. (ipress.ge)



1. შოუ „იღბლიანი ...“
2. ეროვნ. გმირი ჯუზეპე ...
3. გემის მოძრაობის მიმართულება
4. აღმოსავლური საჭმელი
5. ფსიქიატრი ... ზურაბაშვილი
6. საყურე სხეულზე
7. მსახიობი ვანესა ...
8. მუხის ნაყოფი
9. სახელმწიფო დაფინანსება
10. მსახიობი ნანა ...
11. ბრინჯაო
12. შტატი აშშ-ში
13. ნავსადგური, ანუ ...
14. არქიმედეს შეძახილი აბაზანაში
15. ტროპიკული ბუზი
16. ხერხემლის დაავადება
17. ფირნიში
18. ტერმინი ფოტოგრაფიაში
19. გამჭოლი ქარი
20. მდინარე აზიაში
21. პოჟარსკი და ...
22. ჩაიკოვსკის ოპერა
23. მსახიობი იაკობ ...
24. ტელეკოშკი
25. სამშენებლო მასალა
26. ხელის საგრილებელი
27. ადგილი მდინარეზე, ტრიალებს წყალი
28. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
29. თბილისის უბანი
30. ერთგვარი ფანქარი
31. სოხუმის ანტიკური სახელწოდება
32. მწერალი ლიონ ...
33. ბრიტანელი მომღერალი
34. სოფელი მარტვილის რაიონში
35. დადუღებული ყურძნის წვენი
36. საოცრება: როდოსის ...
37. ტბა თბილისში
38. ჯუჯა ცხენი
39. მომღერალი ... მინოუგი
40. ატმოსფეროს ფენა
41. მსახიობი ... ჰათაუეი
42. ქალაქი იტალიაში
43. ბიბლიური მოსეს ძმა
44. მან ააგო კიდობანი
45. სპოროვანი მცენარე
46. ბოსტნეული
47. მხ/ფ „... კონგენიალურობა“
48. ბამბა, ანუ ...
49. ისრაელის დედაქალაქი
50. ელიზაბეტ ტეილორი ფილმში „ჭირვეულის მორჯულება“
51. ინდიელების ტომი
52. იაპონური თაიგული
53. მსახიობი ვახტანგ ...
54. მსახიობი ... ტომასი
55. სათლი
56. მომღერალი ... სოხაძე
57. ყავის ჯიში
58. სვენ ... ერიქსონი
59. მზის ლაქები სახეზე
60. მხარე საქართველოში
61. ძვირფასი ქვა
62. რეჟისორი ელდარ ...
63. მომღერალი ... მატიე
64. ინერტული აირი
65. მხატვარი ოგიუსტ ...
66. ქვეყნის სამრეწველო განვითარება
67. „მაუგლი“ მგელი
68. მომართვა ქალისადმი აშშ-ში
69. თავადაზნაურ. წოდება ინგლისში
70. თბილისის უბანი
71. „წითელი“ პლანეტა
72. მსახიობი ... დემონჯო
73. ღრმული წყნარ ოკეანეში
74. დიდი ვენახი
75. დასარტყამი საკრავი
76. ხელის ერთთვლიანი საზიდარი
77. ბაშკირეთის დედაქალაქი
78. მსახიობი ... ფერაძე
79. რეჟისორი ... სკოტი
80. საბჭოთა პიონერთა ბანაკი
81. ტბა აფხაზეთში
82. ქვანახშირის აუზი გერმან.
83. ლორის ცხვირი
84. ინდიელების ქოხი
85. ქალაქი სამეგრელოში
86. შხამიანი ობობა
87. სიგრძის და სიგანის ნამრავლი
88. ვერტიკალურად მოძრავი კაბინა
89. ფედერიკო ფელინის ფილმი
90. გაზი, ანუ ...
91. კუნძული ხმელთაშ. ზღვაში
92. ველური ყაყაჩო
93. მშობიარობის დამხმარე
94. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
95. ინის საპირისპირო
96. ადამიანის წინაპარი
97. დასახლება ბათუმში
98. ყვავილი
99. ბუდისტი მასწავლებელი
100. ჟან-კლოდ ... დამი
101. ანტიკური წყლის საათი
102. მამაკაცი ძიძა
103. მწერალი ლუის ...
104. ... კუზანოვი
105. რეჟისორი ... რიზი
106. ანწლი
107. მსახიობი ... ჰეპბერნი
108. მდინარე ჩინეთში
109. ლაშქარი
110. რუსული ხალხური საკრავი
111. მეფე არტურის პირველი რაინდი
112. სპორტის სახეობა
113. მსახიობი ... ლიოტა
114. ბადმინტონის ბურთი
115. მსახიობი ... დე ფიუნესი
116. ქანდაკება პირამიდებთან
117. მომღერალი დაიანა ...
118. უბედურების სიგნალი
119. ჩარხი
120. ღლავი
121. ჭრიჭინას ბებია
122. ალკოჰოლური სასმელი
123. შილაფლავის სანელებელი
124. ... მუხას გასჩენია, ... მუხასაო
125. გიტარის მავთული
126. სამოთხის ბაღი
127. მომღერალი მარია ...
128. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
129. ვაჟიშვილი
130. მხედართმთავარი
131. ძვირფასი წითელი ქვა
132. ქალაქი აფხაზეთში
133. ჯადოქრობა
134. ...-ანჯელესი
135. ჯერ შრომა, ... ხტომა
136. ყვავილი
137. მწერი
138. მსახ. ...-კარლო ჯანინი
139. უნგრელი კომპოზიტორი
140. მხატვარი ... გრეკო
141. ... მოგივა დავითაო
142. სოფელი რაჭაში
143. მომღერალი ... ბურჭულაძე
144. არენდა
145. პატარა ტანის ძაღლი

პასუხები: 1. ბორბალი; 2. გარიბალდი; 3. კურსი; 4. შაურმა; 5. ავლიპი; 6. პირსინგი; 7. პარადი; 8. რკო; 9. დოტაცია; 10. ფაჩუაშვილი; 11. რვალი; 12. ილინოისი; 13. პორტი; 14. ევრიკა; 15. ცეცე; 16. ოსტეოქონდროზი; 17. აბრა; 18. ნეგატივი; 19. ორპირი; 20. ამუდარია; 21. მინინი; 22. „იოლანტა“; 23. ტრიპოლსკი; 24. ანძა; 25. კირი; 26. მარაო; 27. მორევი; 28. ასო; 29. კუკია; 30. ფლომასტერი; 31. დიოსკურია; 32. ფოინტვანგერი; 33. სტინგი; 34. ბანძა; 35. ბადაგი; 36. კოლოსი; 37. ლისი; 38. პონი; 39. კაილი; 40. სტრატოსფერო; 41. ენ; 42. გენუა; 43. აარონი; 44. ნოე; 45. ხავსი; 47. მის; 48. კოტონი; 49. იერუსალიმი; 50. კატერინა; 51. სიუ; 52. იკებანა; 53. ნინუა; 54. ტერი; 55. ვედრო; 56. ირმა; 57. არაბიკა; 58. გორან; 59. ჭორფლი; 60. რაჭა; 61. იაგუარი; 62. რიაზანოვი; 63. მირეი; 64. ნეონი; 65. რენუარი; 66. ინდუსტრიალიზაცია; 67. აკელა; 68. მემ; 69. ლორდი; 70. ელია; 71. მარსი; 73. მარიანი; 74. ზვარი; 75. დაირა; 76. ურიკა; 77. უფა; 78. გია; 79. რიდლი; 80. „არტეკი“; 81. რიწა; 82. რური; 83. დინგი; 84. ვიგვამი; 85. აბაშა; 86. ტარანტული; 88. ლიფტი; 89. „ამარკორდი“; 90. აირი; 91. კვიპროსი; 92. იორდასალამი; 93. მეანი; 94. სირ; 95. იანი; 96. ნეანდერტალელი; 97. კვარიათი; 98. ტიტა; 99. გურუ; 100. ვან; 101. კლეფსიდრა; 102. ლალა; 103. არაგონი; 104. ივა; 105. დინო; 106. ავი; 107. ოდრი; 108. იანძი; 109. სპა; 110. ბალალაიკა; 111. კრივი; 113. რეი; 114. ვოლანი; 115. ლუი; 116. სფინქსი; 117. როსი; 118. სოს; 119. ჯარა; 120. ლოქო; 121. ელპიტე; 122. ვისკი; 123. ძირა; 124. მუმლი; 125. სიმი; 126. ედემი; 127. კალასი; 128. მარიონეტი; 129. ძე; 130. სარდალი; 131. ლალი; 132. გალი; 133. მაგია; 134. ლოს; 135. მერე; 136. ია; 137. კალია; 138. ჯან; 139. ლისტი; 140. ელ; 141. რაც; 142. ირი; 143. პაატა; 144. იჯარა; 145. ფინია. იკითხება: ბრიუს უილისი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## უსინათლო მუსლიმანი და ჯუჯა ქრისტიანი — ამბავი, რომელიც ბევრს შეძრავს



ეს ერთ-ერთი ყველაზე დაუჯერებელი ისტორიული ფოტოა, რომელიც 1889 წელს სირიაშია გადაღებული და რომელიც კახა ბალიაშვილის საშუალებით გავრცელდა.

ფოტოზე ასახული არიან უსინათლო მუსლიმანი მუჰამედი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქონდრისკაცი, ქრისტიანი სამირი. ორივეს მთელი ალეპო იცნობდა – სამირი მუჰამედზე იყო დამოკიდებული, ვინაიდან მხოლოდ მისი მეშვეობით შეეძლო ქალაქის ქუჩებში გადაადგილება.

თუმცა, მუჰამედსაც ჰაერივით ესაჭიროებოდა სამირის დახმარება, რადგან სწორედ მისი თვალების მეშვეობით შეეძლო სიარული წინააღმდეგობის გარეშე. ორივე ობოლი იყო და თავიანთი ძალები გააერთიანეს, რომ ამ სასტიკ სამყაროში გადარჩენილიყვნენ.

ლეგენდის თანახმად, როცა სამირი გარდაიცვალა, უსინათლო მუსლიმანი მუჰამედი ისეთი დათრგუნული იყო, რომ ერთ კვირაში თავადაც მიჰყვა ქრისტიან მეგობარს.

სამირსა და მუჰამედს შორის ურთიერთობა ბევრს შეახსენებს, როგორი იყო სირია უახლოეს წარსულში – სახელმწიფო, რომელშიც ყველა ხალხისა და კონფესიისთვის მოიძებნებოდა ადგილი.

რწმენის მიუხედავად, ადამიანები საერთო ენას ყოველთვის პოულობდნენ და ეხმარებოდნენ.

*mediacity.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## კითხვა ტვინს ნაადრევი დაბერებისგან იცავს



ჩრდილოეთ ამერიკის რადიოლოგთა საზოგადოების ყოველწლიურ შეხვედრაზე, მეცნიერებმა დეტალურად განმარტეს, რატომ საჭიროებს ადამიანის თავის ტვინი მუდმივ ინტელექტუალურ საქმიანობას.

მათი თქმით, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია ტვინის თეთრ ნივთიერებას ხანგრძლივად შეინარჩუნოს ჯანმრთელობა და ნორმალურად მუშაობის შესაძლებლობა.

რაშის უნივერსიტეტის (ჩიკაგო) სპეციალისტებმა მოხუცებულების ტვინში თეთრ ნივთიერებასა და მათ ინტელექტუალურ აქტიურობას შორის მჭიდრო კავშირი აღმოაჩინეს.

ექსპერიმენტებში მათ დაადგინეს, რომ ტვინის აღნიშნული ნივთიერების სიმკვრივე და ჯანმრთელობა ბევრად მაღალია იმ ადამიანებში, რომელთა ტვინიც მუდმივად აქტიურად მუშაობს. კვლევაში 152 მოხალისე იყო ჩართული, საშუალო ასაკით – 80 წელი.

არც ერთ მათგანს არ ჰქონდა მეხსიერების ან ყურადღების გაფანტვა. 12 თვის მანძილზე მოხალისეთა ტვინს სპექტრალური ტომოგრაფით სკანირება უტარდებოდა.

საბოლოო ჯამში, ექსპერიმენტის ავტორებმა დაასკვნეს, რომ თავის ტვინის დაბერებისგან გადარჩენა სავსებით შესაძლებელია კითხვით, წერილების წერით, ჭადრაკის თამაშით და მოკლედ, ყველაფრით, რაც ინტელექტუალურ მუშაობას უკავშირდება.

*best-strotelstvo.ru*



სომხურ რადიოს ჰკითხეს:

– მართალია, რომ ერევნელმა აშოტ აკოფიანმა ლატარიაში მანქანა მოიგო?

სომხურმა რადიომ უპასუხა:

– დიახ, მართალია! უბრალოდ, არა აშოტ აკოფიანმა, არამედ ტიგრან გევორქიანმა, ოღონდ არა ერევნიდან, არამედ ლენინაკანიდან, მაგრამ არა მანქანა, არამედ ფული, თანაც არა ლატარიაში, არამედ ბანქოში და მოიგო კი არა, წააგო!..

*****

– როცა პატარა ვიყავი, ვოცნებობდი, რომ ერთხელაც მშვენიერი პრინცი მომიტაცებდა... ახლა ამაზე ჩემი ქმარი ოცნებობს...

*****

– 30 მილიონი რომ გაჩუქონ, რას იზამდი?

– რას ვიზამდი და გამოვყ...ევდებოდი...

*****

შვილი მამას:

– აბა, მამიკო, გამოცანას გეტყვი და თუ მიხვდები: ბახ-ბუხ, მიაუ-მიაუ...

– კატას მანქანა დაეჯახა?

– მართალია! აბა, კიდევ: ბახ-ბუხ, ღრრრ-ღრრრ...

– მანქანა ახლა ძაღლს დაეჯახა.

– არა, დედა დაბრუნდა სამსახურიდან!

*****

ალქაჯმა ახალგაზრდა და მომხიბვლელი ყმაწვილი მოიტაცა:

– გამოცანას გეტყვი, თუ გამოიცნობ, ჩემთან უნდა დაწვე, თუ ვერ გამოიცნობ – მოგკლავ, დაგანაკუწებ და შეგჭამ!..

– კარგი, მითხარი, – ამოიოხრა ყმაწვილმა.

– მწვანეა, ჭაობებში ცხოვრობს, ყიყინებს, „ბა“-ზე იწყება და „ყაყ“-ზე მთავრდება.

– კენგურუ!

– ყოჩაღ, ცუნცულ, გამოიცანი!..

*****



ნონას ყოველთვის ეშლებოდა ერთმანეთში ჩასახვის საწინააღმდეგო და დამამშვიდებელი აბები...

ახლა მას 15 შვილი ჰყავს და სულ ფეხებზე ჰკიდია.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## 10 ფაქტი მატყუარების გამოსავლენად



მატყუარა ადამიანი თავის ტკივილია დიდისთვისაც და პატარისთვისაც. განსაკუთრებით თუ მატყუარა პროფესიონალია. ჰოდა, ნამდვილად გაგიჭირდებათ მისი ამოცნობა და ხაფანგშიც ისე გაებმებით, გზა-კვალს ვეღარ გაიგნებთ.

გთავაზობთ მატყუარებისთვის სახასიათო რამდენიმე თვისებას, რისი დახმარებითაც შეძლებთ, გაარკვიოთ, ვისთან გაქვთ საქმე.

1. ადამიანი, რომელსაც რაღაც აქვს დასამალი, როგორც წესი, კითხვებზე მოკლე და ლაკონიურ პასუხებს იძლევა. მატყუარას გამოვლენისთვის პირველ რიგში მისი ალაპარაკება საჭირო.

2. დაიმახსოვრეთ, მატყუარები, როგორც წესი, დუმან. თუმცა, ხშირად, მოულოდნელად იციან საუბრის დაწყება, რათა თავიანთი დუმილი გაამართლონ, მიუხედავად იმისა, რომ ამას არავინ სთხოვთ.

3. ყოველ ჯერზე იმეორებენ მათდამი დასმულ კითხვას, რათა მორიგი ტყუილის მოსაფიქრებლად დრო მოიგონ.

4. ისინი, ვინც თავიანთ ნამდვილ მიზნებსა და ზრახვებს მალავენ, კითხვაზე პასუხის დროს მოსაუბრის რეაქციას გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს. ბუნებრივია, აინტერესებთ, რა ეფექტი მოახდინა მათმა ტყუილმა.

5. პროფესიონალი მატყუარა თავისი ვერსიის დამუშავების პროცესში თავიდან ნელა საუბრობს. შემდეგ კი, როცა „იგავი“ შეიქმნება, სიტყვებს ავტომატივით ისვრის.

6. მატყუარები იწყებენ საუბარს, მერე სხვა თემაზე გადადიან, მერე ისევ პირველ თემას უბრუნდებიან და ბოლოს არც ერთს არ ამთავრებენ.

7. როცა ადამიანს, რომელიც რაღაცას მალავს, კითხვას უსვამენ, ის ჯერ ტუჩებს კუმავს, მერე საკუთარ თმას ეხება და ზოგადად, ჟესტიკულაციას აქტიურად იყენებს.

8. როცა მართალ ადამიანებს დეტალების დაზუსტებას სთხოვენ, ისინი სათქმელს უფრო ნათლად და სხვა სიტყვებით განმარტავენ. მატყუარები კი, ერთხელ ნათქვამ სიტყვაზე მტკიცედ დგანან და დამატებით განმარტებებს არ იძლევიან.

9. რთულ კითხვაზე მართლის მთქმელები მთავარ სათქმელს უხვევენ და კითხვის გაგებას ცდილობენ. მატყუარები წამით ავლენენ დაბნევას და ისევ ძველ თემას უბრუნდებიან.

10. იმისთვის რომ მონათხრობის სიმართლეში დავრწმუნდეთ, აუცილებელია მისი ხელახლა მოსმენა, ყველა დეტალისა და ნიუანსის გათვალისწინებით. ეს ძირს უთხრის მატყუარას, იგი იძულებულია, ერთდროულად იფიქროს ნათქვამის ზუსტად გამეორებაზე და თან თვალი ადევნოს მოსაუბრის რეაქციას.

*factroom.ru*



საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## რა გავლენას ახდენს სმარტფონი სექსუალურ ცხოვრებაზე?



ვის რაში სჭირდება ტექნოლოგიური წინსვლა, თუ ის ადამიანურ ურთიერთობებს ჩაანაცვლებს? ჰოლანდიელმა ექსპერტებმა კვლევა ჩაატარეს, რომელშიც 3 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. გამოკითხულთა 60 პროცენტი ჩივის, რომ სმარტფონისა და პლანშეტის გადამკიდე სულ უფრო იშვიათად აქვს პარტნიორთან სექსუალური ურთიერთობა. აღმოჩნდა, რომ სმარტფონის მფლობელთა უმრავლესობა ღამით სექსუალურ საქმიანობის ნაცვლად, მობილურში ქექვით არის დაკავებული. გასულ საუკუნეში კი, მსგავსი პრობლემა ტელევიზორთან დაკავშირებით შეიქმნა. ექსპერტების თქმით, ადამიანს შეგრძნება აქვს, რომ მის ცხოვრებას მოწყობილობა მართავს, სინამდვილეში პირიქით არის, ადამიანს შეუძლია, მოწყობილობა მართოს და ღამით, ძილის დროს მაინც უარი თქვას. თუმცა, როგორც ვხედავთ, ეს ნებაყოფლობითია, ვიღაცას სმარტფონი ურჩევნია.

ამერიკელი მეცნიერები უფრო ოპტიმისტური კუთხით უყურებენ ამ პრობლემას და ასეთ რჩევას იძლევიან – სმარტფონს შეუძლია, უფრო გააძლიეროს ურთიერთობა, თუნდაც გვერდიგვერდ წოლისას მისწერეთ ერთმანეთს ეროტიკული ხასიათის მესიჯები, ორივე მხარე კმაყოფილი იქნება, ხოლო სმარტფონის უადგილობა ნაკლებშესამჩნევი გახდება.

*correspondent.net*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ყველაზე მნიშვნელოვანი, რითიც ადამიანი და შიმპანზე განსხვავდებიან...



ამერიკელმა მეცნიერებმა ადამიანისა და შიმპანზეს ტვინებს შორის ახალი სხვაობა აღმოაჩინეს. ყველაზე მნიშვნელოვანი, რითიც ადამიანი და შიმპანზე განსხვავდებიან, ცენტრალური ნერვული სისტემის ფორმირების გზებია. ადამიანის ტვინი გარემოს ზემოქმედების შედეგად ყალიბდება, შიმპანზეს კი მემკვიდრეობით გადაეცემა გარკვეული შესაძლებლობების მქონე ტვინი.

„ადამიანის ტვინი გარემოპირობებისადმი უფრო მგრძნობიარე აღმოჩნდა. სწორედ ეს აძლევს ტვინს რეალობის შეცვლისა და კულტურული რევოლუციების დაჩქარების უნარს“, – აღნიშნა კვლევის ავტორმა, აიდა გომეს-რობლესმა.

ექსპერიმენტისთვის მაიმუნის 206 და ადამიანის 217 ტვინის ნიმუში დაამუშავეს. უფრო ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ესპანეთში ადამიანისა და მაიმუნის საერთო წინაპრის ნაკვალევი აღმოაჩინეს. როგორც არ უნდა იყოს, სასიამოვნოა, რომ მაიმუნებად, ან მის მსგავს არსებად არ დავრჩით და განვვითარდით.

*correspondent.net*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


## რატომ თვრება ზოგი სხვებზე ბევრად სწრაფად?



სად ნახეს, ხარის მიერ გამოცლილი ყანწები და განსხვავებულები, კაცმა არ იცის, მაგრამ მაინც ბევრი იტყვის ხოლმე მაგარ მსმელ ადამიანზე – ხარივით სვამსო... ხარის რა მოგახსენოთ, მაგრამ იმას კი გეტყვით, რატომ არის, რომ ზოგი მართლაც უზომო რაოდენობის ალკოჰოლს იტანს, ხოლო ზოგს ორი ჭიქა უღებს ბოლოს.

კვლევა ამ საკითხზე ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს და დაასკვნეს, რომ ორგანიზმის მიერ სპირტის გადატანის დონე პირდაპირ კავშირშია თავის ტვინის გენების მუტაციასთან. აღნიშნული კვლევა ინოვაციური აღმოჩნდა მეცნიერებისთვის, რადგან მიკვლეულ იქნა მიზეზი, რომლის გამოც ზოგიერთი ადამიანი სხვებზე ბევრად სწრაფად და ადვილად თვრება.

მეცნიერებს უკვე დიდი ხნის წინ აქვთ ახსნილი ალკოჰოლით თრობის ზოგიერთი შედეგი. მაგალითად, მეხსიერების დაკარგვა, ნაბახუსევი, კოორდინაციის დარღვევა. რაც შეეხება ალკოჰოლის ზემოქმედებას უშუალოდ ტვინზე, ეს ფაქტი დიდი ხანი ბურუსით იყო მოცული.

მოკლედ, საბოლოო ჯამში, დადგინდა, რომ ტვინზე სპირტის ზემოქმედების შედეგად, ხდება მისი გენების მუტაცია. შესაბამისად, ტვინის რეცეპტორთა პარამეტრები სრულიად განსხვავდება. ამას ის შედეგი მოსდევს, რომ გენების მუტაციის გამო, ტვინის უჯრედებს აღარ აქვთ უნარი, ერთმანეთში ინფორმაცია გაცვალონ და ალკოჰოლიც უფრო დიდი ზემოქმედების მოხდენას ახერხებს. სხვაობა კი ის არის, რომ ზოგიერთი ადამიანის გენებს მუტაცია ბევრად ადვილად ერევა, სხვებს კი უმართლებს, ეს პროცესი დროში იწელება და შესაბამისად, მეტი ალკოჰოლის მიღება „ხარივით მსმელის“ სტატუსს ანიჭებს.

*smartbooka.net*

## ადამიანები საყვარლებსა და მეგობრებს გენეტიკურ დონეზე ირჩევენ?



დაგვეთანხმებით, არაფერი ჯობია ისეთ ურთიერთობებს, რომელშიც უმცირესი ადგილიც კი არ აქვს გამორჩენის სურვილს. მათ, ვინც მეგობრებს ამგვარი წესით ირჩევს, ისეთ სახელს უწოდებენ, ცოტა გვერიდება სახალხოდ გამეორება. რაც შეეხება სხვადასხვა ადამიანთან ურთიერთობის გაბმის მეცნიერულ ახსნას, აქ უკვე მოსარიდებელი არაფერია და ყველაფერს გახსნილად გეტყვით.

თითქმის 10 ათასი მოსწავლის გენოტილის ანალიზმა აჩვენა, რომ ადამიანები ხვდებიან, ყვარობენ და ემეგობრებიან ერთმანეთს გენეტიკურ დონეზე. კვლევის ჩატარება ექვსი გენის შესახებ მიღებული მონაცემების შემდეგ გადაწყდა, რომელთაგან თითოეულში მეცნიერებს ერთი ერთნუკლეოდური პოლიმორფიზი (ენპ) აინტერესებდათ – დეენემის თანმიმდევრობის მინიმალური ვარიაცია.

მას შემდეგ, რაც კვლევის ავტორებმა გაითვალისწინეს გენეტიკური თანხვედრის ეფექტი, რომელიც იძლევა სქესს, ასაკს, რასობრივ კუთვნილებასა და ზოგად წარმომავლობას, ყურადსაღები კანონზომიერებაც გაჩნდა: ადამიანებში, რომლებსაც ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა აქვთ, ხშირია ერთი და იგივე ენპ დოფამინურ გენში დე2 და განსხვავებულია გენში სიპ2ა6. აღნიშნული გენების ზუსტი ფუნქციები ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის, მაგრამ პირველ მათგანს შეუძლია ზემოქმედება ალკოჰოლიზმის განვითარებაზე, მეორე კი ადამიანის გახსნილობას უკავშირდება, სწრაფვას ახალი იდეებისკენ და შთაბეჭდილებებისკენ.

– ადამიანები სექსუალურ პარტნიორებსა და მეგობრებს არა ქვეცნობიერ, არამედ გენეტიკურ დონეზე ირჩევენ, – ამბობენ მეცნიერები.

*facte.ru*

## კატები ვერ ხედავენ წითელს, მაგრამ არჩევენ ნაცრისფერის 25 შეფერილობას

ერთი წუწუნა ადამიანი რომ ამბობს, იცით? – „საბოლოოდ დავრწმუნდი ჩემს უიღბლობაში, როცა შავმა კატამ გზა დამითმო...“

ისე, რა იციან ამ შავ კატასთან დაკავშირებით ამდენი ცრურწმენა?! კაცო, თუკი კატამ გზა გადაგიჭრათ, ესე იგი, ქუჩის მეორე მხარეს აქვს საქმე და ადამიანის კარიერული წინსვლა სულ თავის ჭროლა თვალებზე ჰკიდია.

ჰო, მართლა, იცით, როგორი უცნაურია კატის თვალების მოწყობილობა? მაგალითად, როგორც ადამიანი, მასაც ორი სახეობის ფოტომგრძნობელობის უჯრედი აქვს (კონუსები და ჩხირები). მაგრამ თუკი ადამიანის ერთ ჩხირზე შედარებით მკვეთრი ხედვის რაიონში 4 ჩხირი მოდის, კატების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 25-ია. კატა ადამიანზე ბევრად ცუდად აღიქვამს ფერებს, მაგალითად, წითელს საერთოდაც ვერ ხედავს, ცისფერისგან განსხვავებით. სამაგიეროდ, ნაცრისფერის აღქმაში ისინი რეკორდსმენები არიან და თაგვის შეფერილობის 25 ტიპს არჩევენ.

*surfingbird.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**18 ნოემბერი:** მოულოდნელად საკუთარ თავში აღმოაჩენთ იმას, რასაც სხვებში ეძებდით. ეს თქვენი ერთ-ერთი საუკეთესო თვისება იქნება.

**კურო 22.04-21.05**
**18 ნოემბერი:** პატარა გამარჯვებას მიაღწევთ, რაც მომავალში შეიძლება ტრიუმფადაც იქცეს. თუ ასე არ მოხდა, დაფიქრდით, რამე ხომ არ გაქვთ შესაცვლელი?

**ტყუპები 22.05-21.06**
**18 ნოემბერი:** დღეს საკუთარი აზრის გატანა მოგიწევთ, მთავარია, ფიზიკური ძალა არ იხმაროთ, უმჯობესია, არგუმენტები მოიმარაგოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**18 ნოემბერი:** თუ დღეს რაიმეს არჩევა მოგიწევთ, გადაწყვეტილების მიღება არ იჩქაროთ. თქვენთვის სასურველსა და საუკეთესოს ბოლოს მიაგნებთ.

**ლომი 23.07-22.08**
**18 ნოემბერი:** ძალიან დიდ შეცდომას დაუშვებთ, თუკი ემოციებს აჰყვებით. მნიშვნელობა არ აქვს, ეს ემოციები თქვენია თუ სხვისი. საღი გონება დაგჭირდებათ.

**ქალწული 23.08-22.09**
**18 ნოემბერი:** შესაძლოა, საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებს რეალურად არ აფასებთ. დღეს კარი გაიღება, მთავარია, გაბედოთ და შეხვიდეთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**18 ნოემბერი:** თქვენი გეგმები ვილაცის გავლენით შესაძლოა, ჩაიშალოს. საკმაო ძალისხმევა დაგჭირდებათ, თუკი მათი განხორციელება გსურთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**18 ნოემბერი:** ნუ ელოდებით, რომ დიდება თავისით მოვა. ასე შეიძლება მთელი ცხოვრება გაილიოს. თუ სახელი გინდათ, ენერგიულად და გააზრებულად იმოქმედეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**18 ნოემბერი:** სასურველი არ არის ხალხის მასების აზრის გათვალისწინება, რადგან ჭეშმარიტებისგან ძალიან შორს იქნება.

**თხის რქა 22.12-19.01**
**18 ნოემბერი:** ყურადღებით მოისმინეთ, რას გეუბნებიან და თუ საჭიროა, საკუთარი შეცდომა აღიარეთ. ამ შემთხვევაში ჯიუტობით ვერაფერს მიაღწევთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**18 ნოემბერი:** წუთიც კი არ დაკარგოთ. იმდენად კარგი დღეა, ძვირფასი დროის დაკარგვა დანაშაული იქნება. საქმეებს მიხედეთ.

**თევზები 19.02-20.03**
**18 ნოემბერი:** ის, რასაც რატომღაც მცირე უხერხულობად თვლით, დიდ პრობლემად იქცევა. საკითხი ახლავე მოაგვარეთ, სანამ სიტუაცია გართულდება.


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

**სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.


## არომათერაპია, რომელიც საათზე მეტხანს გრძელდება, გულს აზიანებს



ტაივანელმა სპეციალისტებმა ცნობილი სიბრძნე დაადასტურეს: ყველაფერი დადებითია მხოლოდ ზომიერების ფარგლებში. მათი თქმით, არომათერაპია სასარგებლოა გულისთვის, თუკი ეთერზეთების ორთქლს ადამიანი მაქსიმუმ 1 საათის მანძილზე ისუნთქავს. ის, ვინც ამ წესს დაარღვევს, სამწუხაროდ, გულს დაიზიანებს.

მეცნიერებმა 100 მოხალისეს მდგომარეობა შეისწავლეს, რომლებიც ექსპერიმენტის ხათრით, არომათერაპიას 2 საათის მანძილზე იტარებდნენ. მთელი პროცედურის მანძილზე მედიკოსები მათ არტერიულ წნევასა და გულის შეკუმშვის სიხშირეს აკვირდებოდნენ. ასევე, ფიქსირდებოდა შენობაში მფრინავი ორგანული ნაერთების დონე.

პირველი საათის განმავლობაში როგორც წნევა, ისე გულისცემის სიხშირე, შემცირდა. 120 წუთის გასვლის შემდეგ კი საწინააღმდეგო ეფექტი გაჩნდა – წნევამ მკვეთრად მოიმატა, გახშირდა გულის შეკუმშვის სიხშირეც.

ეს ყველაფერი იმის დამამტკიცებელია, რომ მიუხედავად არომათერაპიის ძალიან ბევრი სასარგებლო შედეგისა, გადამეტება გულს სერიოზულ პრობლემებს უქმნის. ჰოდა, ყურადღებით იყავით!..

*novoteka.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ქალი ღამით სასაფლაოსთან მოხვდა, გავლა ეშინია. იქვე მამაკაცი დაინახა და დახმარება სთხოვა.

მიდიან ერთად, მამაკაცი ანეკდოტებს უყვება, აცინებს.

– როგორი მხიარული ბრძანდებით, შიში სულ დამავიწყეთ...

– ეჰ, თქვენ მაშინ უნდა გენახეთ, ცოცხალი რომ ვიყავი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

»211359457

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.20